www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 20 ოქტომბერი, 2009 წელი. №228 (2266) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

იხილეთ ჩანართი


The New York Times

ნამდვილი მშვიდობა მოუხელთებელია

ჰამიდ ყარზაიმ "არჩევნებზე 50 პროცენტი ვერ მიიღო"

A8



სამი ტენორის მოლოდინში

A10



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# Fact hiding commissions

იულია ლატინინა

2009 წლის სექტემბერში ერთდროულად გამოქვეყნდა ფაქტების დამდგენი ორი საერთაშორისო კომისიის დასკვნა - გოლდსტონის კომისიის, რომელიც გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოსთან შეიქმნა იანვარში, ისრაელის მიერ ღაზას სექტორში ჩატარებული ოპერაციის გამო, და ევროკავშირის კომისიის, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიებაზე გამოცდილ დიპლომატ ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით მუშაობდა.

გოლდსტონის ანგარიშის სკანდალურობა მოსალოდნელი გახლდათ (გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭო მკვეთრად ანტიისრაელური ორგანიზაციაა). გოლდსტონის კომისიამ აღმოაჩინა ის, რომ ღაზაში ისრაელის ოპერაცია მშვიდობიანი პალესტინელების მიზანმიმართული განადგურებისთვის ჩატარებულა და ვერ აღმოაჩინა იმის მტკიცებულებები, რომ "ჰამასი" რაკეტებს საცხოვრებელ სახლებში და მეჩეთებში განგებ ანთავსებდა და რაფახის ჰოსპიტალი სამეთაურო სამხედრო ცენტრად აქცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ჩემს საპროკურორო საქმიანობაში პოლიტიკა არ იქნება წარმმართველი"

"თუ საზოგადოება ჩვენთან ერთად იქნება, მოქმედების ხარისხი და შედეგის ეფექტურობა გაიზრდება," - აცხადებს საქართველოს ახალი მთავარი პროკურორი

ინგა ალავიძე

*ცოტა ხნის წინ საქართველოს მთავარ პროკურორად პარლამენტარი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მურთაზ ზოდელავა დაინიშნა, რომელთან ინტერვიუსაც "24 საათის" დღევანდელ ნომერში გთავაზობთ.*

**- ბატონო მურთაზ, საზოგადოება გიცნობდათ, როგორც პოლიტიკოსს, პარლამენტის წევრს, თუმცა, მთავარ პროკურორად თქვენი დანიშვნა მოულოდნელი იყო. საინტერესოა, თქვენი პროგრამა, რა პროგრამით მოხვედით ამ სტრუქტურაში და როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი საქმიანობა მთავარი პროკურორის რანგში?**

გაგრძელება A6 გვერდზე


*მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა.*

# და მაინც "რუსთავი"!

"24 საათის" რჩეულები გახდნენ ცეკვავა და შსს

ზურაბ თალაკვაძე

დუდუ დადიანის მერვე მემორიალიც ისტორიას, ჩემპიონის თასი კი "რუსთავს" ჩაბარდა. მთავარი ჯილდო თავს ზემოთ აღმართა გუნდის კაპიტანმა კოტე ტუღუშმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა სამი მეოთხედი იომა, ბოლოს კი ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს მასპინძლის ჯანმა, გამოცდილებამ და ლოგიკამ აჯობა.

საინტერესო გუნდი ჰყავს მიხეილ ბერუაშვილს. შეიცვალა შემადგენლობა, უფრო სწორად, გადახალისდა, თუმცა ამ პროცესს "რუსთავისთვის" ისეთი დარტყმა არ მიუყენებია, როგორსაც ბევრი ვარაუდობდა. "რუსთავმა" ფინალური ორთაბრძოლა 91:69 მოიგო.

გაგრძელება A16 გვერდზე


*"24 საათის" პრიზი ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს ლევან ცეკვავას*

## ერგნეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხი განიხილეს

გუშინ სოფელ ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავების ფარგლებში ოთხმხრივი სამუშაო ჯგუფების რიგგარეშე შეხვედრა გაიმართა. ეს დაუგეგმავი შეხვედრა ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის წარმომადგენელ ხარალამპოს ხრისტოპულოსის ინიციატივით შედგა.

შეხვედრის შესახებ ქართულ მხარეს კომენტარი არ გაუკეთებია. ოსი სეპარატისტების ინფორმაციით კი, სხდომაზე მხარეებმა უგზო-უკვლოდ დაკარგული მოქალაქეების მოძიების საკითხი განიხილეს და საუბარი საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში წარიმართა.

ცხინვალის მხრიდან სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელ მერაბ ჩიგოევის განცხადებით, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა პრობლემის გარდა, შეხვედრაზე საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სასამართლოების მიერ გასამართლებული პირების საკითხზე იმსჯელეს. სეპარატისტები ამტკიცებენ, რომ ამ მხრივ ქართული მხარე საკმაოდ არაკონსტრუქციულად მოქმედებს.

ჩიგოევის თქმით, ცხინვალი ფლობს ინფორმაციას, რომ 8 და 13 ოქტომბერს გატაცებული ხუთი პირი - ხუგაევი, ხაჩიროვი, პლიევი, იკაევი და კაბისოვი საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს ჰყავთ დაპატიმრებული. ქართული მხარე და ეუთო-ს წარმომადგენლები, - შენიშნავს ჩიგოევი, - მათ უგზო-უკვლოდ დაკარგულებად მიიჩნევენ.

გუშინვე გავრცელდა საკმაოდ მწირი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეხვედრაზე სამარხების საკითხზეც იმსჯელეს. აღნიშნული ინფორმაციის თანახმად, ოსურმა მხარემ პირობა დადო, რომ სამარხების შესამოწმებელ სამუშაოებს აუცილებლად ჩაატარებს. ***საკუთარი ინფორმაცია***

## მანანა არჩვაძე-გამსახურდია ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების დასადგენად უკვე არსებული გამოძიების დასრულებას ითხოვს

მანანა არჩვაძე-გამსახურდია ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების დასადგენად უკვე არსებული გამოძიების დასრულებას ითხოვს.

როგორც ძრადიო პალიტრას" მანანა არჩვაძე გამსახურდიამ განუცხადა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიკვდილის მიზეზების დადგენა გენერალურ პროკურატურაში დიდი ხანია დაწყებულია. იგი დასრულების პროცესშია. გამოძიებას დასაკითხად დარჩა რამდენიმე პიროვნება და ტექნიკურად გამართვას საჭიროებს, რათა არსებულის საფუძველზე შემდეგ სასამართლო დაინიშნოს.

"ასე, რომ პარლამენტში ახალი კომისიის შექმნას არავითარი აზრი არ აქვს, ვინაიდან ეს უკვე შესრულებული სამუშაოა და თუ მათ გულით სურთ ამ საკითხმა დღის სინათლე ნახოს, მათ უნდა გააკეთონ განცხადება. მოუწოდონ გენერალურ პროკურატურას დაწყებული საქმე, რომელიც თითქმის დასრულებულია, ბოლომდე მიიყვანოს. მისცენ პროკურატურას 2-3 თვე იმისთვის, რომ ტექნიკურად გამართული ჩააბარონ ორგანიზაციას, რომელმაც სასამართლო უნდა დანიშნოს", - აცხადებს მანანა არჩვაძე-გამსახურდია.

მისივე თქმით, გენერალური პროკურატურის მიერ უკვე თითქმის ყველაფერი გამოძიებულია. კერძოდ, პუჩის პერიოდი, საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობა, 1991-92 წწ. და მისი თანამდევი პროცესები. შემდეგ, ხელისუფლების უზურპაცია. 1993 წელი და მისი შემდგომი პერიოდი და ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია.

## ზუგდიდში საკნების აქცია შეწყდა

ზუგდიდში საკნების აქცია შეწყდა. აქციის შეწყვეტის მიზეზებზე "ინტერპრესნიუსს" ესაუბრა სამეგრელოში მოძრაობა "დაიცავი საქართველოს" წარმომადგენელი კახა მიქაია.

მისი განცხადებით, ლევან გაჩეჩილაძესთან შეხვედრის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სამეგრელოს ყველა რაიონში გაიხსნას "დაიცავი საქართველოს" ადგილობრივი ოფისები.

"ჩვენ გადავდივართ აქტიურ მოქმედებაზე, გაფართოვდება მხარდამჭერთა რიცხვი, შეიქმნება უფრო მობილური ჯგუფები, რომლებიც იბრძოლებენ ხელისუფლების შესაცვლელად",- აღნიშნა მან.

კახა მიქაია აცხადებს, რომ საკნებს უკვე დღეს ან ხვალ აიღებენ ზუგდიდის ცენტრიდან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თუკი საჭიროება მოითხოვს, ისინი კვლავ გააგრძელებენ მსგავსს აქციებს.

## რაულ ხაჯიმბას აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტობა სურს

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრემიერი რაულ ხაჯიმბა აფხაზეთის ე.წ. ცესკოში აფხაზეთის პრეზიდენტობის მსურველ კანდიდატად დარეგისტრირდა. სეპარატისტული აფხაზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დღეს ის საინიციატივო ჯგუფი დაარეგისტრირა, რომელმაც კანდიდატად რაულ ხაჯიმბა წარადგინა.

აფხაზურმა ე.წ. ცესკომ განაცხადების მიღება 13 ოქტომბერს დაიწყო და 2 ნოემბერს დაასრულებს. აფხაზეთის "პრეზიდენტობის" მსურველი, ხაჯიმბასთან კიდევ ერთი კანდიდატია დარეგისტრირებული. ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები სეპარატისტულ აფხაზეთში 12 დეკემბერს გაიმართება.

# პარლამენტი პრეზიდენტ გამსახურდიას სიკვდილის გარემოებებს შეისწავლის

თამარ ივანიძე

*პარლამენტის ბიურომ მხარი დაუჭირა დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას მიერ გახმოვანებულ იდეას საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ. შესაბამისი გადაწყვეტილება ბიუროს გუშინდელმა სხდომამ ჯერ მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე მიიღო, დღევანდელ სესიაზე იგი ოფიციალურად გაფორმდება. ამასთან, სესიაზე გადაწყდება კომისიის სტატუსის საკითხი - "საგამოძიებო" იქნება თუ სპეციალური დროებითი კომისია.*

პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისიის შესახებ საუბარი პარლამენტში რამდენიმე თვის წინ დაიწყო და მის ინიციატორად უმრავლესობის წევრებიც დასახელდნენ. თუმცა ამ იდეის ოფიციალურ ინიციატივად გადაქცევა ორი კვირის წინ ოპოზიციონერმა ჯონდი ბაღათურიამ ითავა.

იდეის მხარდაჭერა უმრავლესობამ ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ღიად გამოხატა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, **"საჭიროა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გადაცვალებასთან დაკავშირებით სიმართლეს ფარდა აეხადოს".** როგორც ბიუროს სხდომაზე ცისკარიშვილმა განაცხადა, გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისიის შექმნაზე უმრავლესობის ფორმატში იმსჯელეს და წარმოდგენილი წინადადების შესახებ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. **"ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რა მოხდა რეალურად,"** - აღნიშნა ცისკარიშვილმა. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის საკითხს ბიუროს სხდომაზე უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარმაძემაც დაუჭირა მხარი. მან აღნიშნა, რომ ყოფილი პრეზიდენტის გარდაცვალებისთვის სამართლებლივი შეფასებების მიცემის მცდელობებს წლების განმავლობაში ჰქონდა ადგილი, თუმცა ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. **"აღნიშნული საკითხის მიმართ საზოგადოებაში არსებობს კითხვები და ეჭვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან საქმე ქვეყნის პირველ პრეზიდენტს ეხება,"** - განაცხადა გიორგი თარგმაძემ, რომელიც ითხოვს, რომ საპარლამენტო კომისიას საგამოძიებო ფუნქცია მიენიჭოს.

ასევე საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი გია ცაგარეიშვილი კი აღნიშნულ გადაწყვეტილებას ფარსს უწოდებს. **"აღნიშნული საკითხი უმრავლესობამ თითქმის იმავე შემადგენლობით, წინა მოწვევის პარლამენტში ჩააგდო. საინტერესოა, რატომ გახდა ამ მოწვევის საპარლამენტო უმრავლესობა როგორც ზვიად გამსახურდიას საკითხზე კომისიის შექმნის, ისე ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღების მომხრე?! პასუხი მარტივია - ეს არის მხოლოდ იაფფასიანი პოპულიზმი და წინასაარჩევნოდ იმის ჩვენება, თითქოს მას ადარდებს და ანაღვლებს ეს ფაქტები,"** - განაცხადა ცაგარეიშვილმა. დეპუტატი კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ **"როგორც პარლამენტში, ასევე მთავრობაში არიან ადამიანები, რომლებიც პირდაპირ თანამონაწილეობდნენ 90-იან წლებში განვითარებულ მოვლენებში, შესაბამისად, საინტერესოა, რამდენად იმოქმედებს ეს გარემოება მიუკერძოებელი დასკვნის დადებაზე. კომისიას კოლოსალური სამუშაოს გაწევა მოუწევს და საინტერესოა, რამდენად კვალიფიციურად გაართმევს თავს ამ ურთულეს საქმეს ამ მოწვევის პარლამენტი?!"** - აღნიშნა ცაგარეიშვილმა. კრიტიკული შეფასების მიუხედავად, ცაგარეიშვილი კომისიის შექმნას სესიაზე მხარს დაუჭერს.

ცნობისათვის - ამ წინადადების მხარდაჭერას საპარლამენტო კულუარებში იმით ხსნიან, რომ ხელისუფლება კომისიის თავმჯდომარის ადგილს კონსტანტინე გამსახურდიასთვის ამზადებს, იგი ერთ-ერთია იმ პოლიტიკოსებიდან, რომლებმაც პარლამენტის 21 მაისის არჩევნების მიხედვით დეპუტატის მანდატი მოიპოვეს, თუმცა შემდგომში პროტესტის ნიშნად მასზე უარი თქვეს. მიმდინარე საშემოდგომო სესიაზე პარლამენტის მიერ მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები კი დეპუტატის მანდატზე უარის მთქმელ პოლიტიკურ ძალებს ამ გადაწყვეტილების შეცვლის შანსს აძლევს. ჯერჯერობით ამ შანსით არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უსარგებლია. თუმცა არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილის აზრითაც, სწორედ ეს ცვლილება განაპირობებს კომისიის შექმნის ინიციატივას.

თავის დროზე ზვიადისტური ფრთის წარმომადგენელი, "კონსერვატიული პარტიის" ლიდერი ზვიად ძიძიგური დარწმუნებულია, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების დასადგენად პარლამენტში კომისიის შექმნა **"სახელისუფლებო გუნდს პარლამენტში ოპოზიციის შესატყუებლად სურს".** ძიძიგური იხსენებს, რომ მისი პოლიტიკური გუნდი პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შესასწავლად სპეციალური კომისიის შექმნის ინიციატივით ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში გამოვიდა, თუმცა მაშინ უმრავლესობამ კონსერვატორების წინადადება არ გაიზიარა და საკითხი ჩააგდო. **"დარწმუნებული ვარ, ეს არის პოლიტიკურად ანგარებიანი გადაწყვეტილება. ამ კომისიის მიერ ჩატარებული გამოიძების ობიექტურობა ჩემთვის საეჭვო და არადამაჯარებელია,"** - განაცხადა ძიძიგურმა და აქვე აღნიშნა, რომ იგი პარლამენტში შესვლაზე მიღებული გადაწყვეტილების რევიზიას არ აპირებს.

თავად კონსტანტინე გამსახურდიას პოზიცია კომისიის შექმნის შესახებ საპარლამენტო გადაწყვეტილებაზე ჟურნალისტებს მისი პარტიის წარმომადგენელმა სანდრო ბრეგაძემ გააცნო. მისი თქმით, **"კონსტანტინე გამსახურდია კომისიის შექმნის ფაქტს მიესალმება".** რაც შეეხება ამ კომისიის თავმჯდომარედ კონსტანტინე გამსახურდიას შესაძლო დანიშნვას, ბრეგაძე ამ საკითხის მიმართ გამსახურდიას პოზიციის დაფიქსირებისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ კონსტანტინე გამსახურდია ყველა საკითხზე საკუთარ პოზიციას უახლოეს დღეებში თავად გაახმაურებს.

# ქართულ-შვეიცარიული რთველი სიღნაღში

ლალი ცერცვაძე



კვირაა, 11:30 საათი, ქართულ-შვეიცარიული ბიზნესასოციაცია, შვეიცარიის საელჩოსა და წევრ კომპანიებთან ერთად, კახეთისკენ მიემართება. ამინდი მზიანია, განწყობა - სამუშაო. შვეიცარიის ელჩი საქართველოში ლორენცო ამბერგი და პარტნიორი ორგანიზაციების პრეზიდენტები სიღნაღელ გლეხებს ყურძნის დაკრეფაში უნდა მიეხმარონ.

საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაცია 2005 წელს დაარსებული ორგანიზაციაა, რომელიც ორ ქვეყანას შორის ბიზნესურთიერთობების განვითარებას ისახავს მიზნად. ის 18 კომპანიას აერთიანებს და კახეთში უკვე ტრადიციადქცეულ ვიზიტს არც წელს ივიწყებს.

როგორც წესი, ასეთ ვიზიტებს ასოციაცია სექტემბერში აწყობს. ამჯერად კი კახეთში ჩასულ სტუმრებს რთველი უკვე დამთავრებული ხვდებათ. მიუხედავად ამისა, ქართველი და შვეიცარიელი ბიზნესმენები, ოჯახებთან ერთად, სიღნაღელ მეღვინეებს სტუმრობენ და ყურძნის დაწურვის ცერემონიაშიც მონაწილეობენ.

სტუმრებს ამერიკელი მხატვარი და უკვე 13 წელია, სიღნაღელი მეღვინე ჯონ უერდემანი მასპინძლობს. მასპინძლის სადეგუსტაციო დარბაზის დათვალიერებამდე და კახური ღვინის დაგემოვნებამდე სტუმრებს საშუალება ეძლევათ, ყურძენი თავად დაწურონ.

საწნახელი ძველია და ქართული, ასომთავრული წარწერებით გაფორმებული. შიგნით სამი ადამიანია - შვეიცარიელი ელჩი, ამერიკელი მასპინძელი და წევრი კომპანიის შვეიცარიელი დირექტორი. დანარჩენი სტუმარ-მასპინძლები კი ამ კადრს ფოტოაპარატებზე აღბეჭდავენ. ეს ფაქტი მასპინძლის ხუმრობის საგანიც ხდება: "ჩვენ, სამი უცხოელი, ღვინოს ვწურავთ, ქართველები კი სურათებს გვიღებენ - დრო ცვალებადია." მასპინლის ხუმრობა საერთო მხიარულებას იწვევს.

ღვინის დაგემოვნების შემდეგ სიღნაღის დათვალიერების ჯერიც დგება. ამერიკელი მხატვარი თავის თავზე იღებს გიდობას და ქართველ და უცხოელ სტუმრებს სიღნაღის ისტორიას უამბობს.

სულ ბოლოს სოფელ ტიბაანში მასპინძლის ვენახში კახური სუფრა იშლება. ვენახი ოთხ ჰექტარზეა გადაჭიმული. ერთი მხრიდან ალაზნის ველი მოჩანს. მარჯვნივ ხირსის მონასტრის ხედია. მარცხნივ სამწვადე წალამს ცეცხლი უკიდია. მეოთხე მხარეს კი მარანი დგას, საიდანაც ბოთლებში დაფასოებული სხვადასხვა წლის და ფერის ღვინო გამოაქვთ.

თამადა ამერიკელი მასპინძელია. სადღეგრძელოსა და სადღეგრძელოს შორის ანსამბლი "ზედაშე" ქარულ ხალხურ სიმღერებს მღერის. იქვე ქართული ცეკვებიც სრულდება. კახელები თბილისიდან ჩასულ სტუმრებს სხვადასხვა ისტორიებს უყვებიან - იხსენებენ, რატომ დაერქვა იქაურ მონასტერს ხირსა, რა აკავშირებს იმ ადგილს ერეკლე მეორესთან და რა წარმატებები აქვს მათ დამზადებულ ღვინოს ევროპულ და ამერიკულ ბაზარზე.

ამერიკელი თამადა შვეიცარიელ ელჩს საქართველოს სადღეგრძელოს ფეხზე ადგომით ასმევს. "ამ ქვეყანაში უამრავი ლამაზი მთა და მდინარეა, მაგრამ საქართველოს სილამაზე მთისა და მდინარის, ზოგადად, ბუნების სილამაზეში არ არის. მთავარი ქართველების ერთიანობა, თავიანთი ქვეყნის მიმართ მათი დამოკიდებულება და ის ქართული სულია, რომელსაც აქ ჩამოსული ყველა სტუმარი გრძნობს", - თამადის ამ სიტყვებს სუფრის ყველა წევრი უერთდება და სადღეგრძელო შვეიცარიელების აჭარული ცეკვით სრულდება.

ქართულ-შვეიცარიული ბიზნესასოციაცია, შვეიცარიის საელჩოსთან ერთად, მსგავსი ღონისძიებების გაგრძელებას მომავალშიც გეგმავს. ასოციაციის გენერალური კოორდინატორის ნინო უგულავას თქმით, ასეთი აქტივობები მეღვინეების არა მარტო მატერიალურ, არამედ მორალურ მხარდაჭერასაც ემსახურება.

საღამოს 6 საათისთვის, როცა თვალს უკვე უჭირს ვენახის ბოლოს ალაზნის ველის დანახვა, სტუმრები სოფელ ტიბაანს ტოვებენ და სიღნაღის გვერდის ავლით თბილისისკენ მიემართებიან.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# Fact hiding commissions

პირველი გვერდიდან

გოლდსტონის კომისიისგან განსხვავებით, ტალიავინის კომისიას სირცხვილის რაღაც გრძნობა მაინც შერჩა. მან აღიარა, რომ საქართველოს ოსების გენოციდი არ განუხორციელებია და დაეთანხმა იმას, რომ ოსები ეთნიკურ წმენდას ატარებდნენ, რასაც რუსული ჯარები ხელს არ უშლიდნენ. მაგრამ კითხვაზე, თუ ვინ არის დამნაშავე, კომისიას ასეთი დასკვნა აქვს - "ყველაა დამნაშავე", ამიტომ ეს საკითხი ძალიან რთულია. ძნელი წარმოსადგენია ერკიულ პუარო, რომელიც ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ მსხვერპლის ნათესავებს შეკრებს და დამნაშავის სახელის ნაცვლად მათ იმას ეუბნება, რომ "ეს ამბავი ძალიან რთულია და ნაწილობრივ ყველაა დამნაშავე".

რასაკვირველია, ამ ყველაფრის ახსნა მიკერძოებულობით ან უბრალოდ კორუფციით ყველაზე მარტივი იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, პრობლემა უფრო ფართოა. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ აგრესორის დასჯის საერთაშორისო მექანიზმები ისევე არ მოქმედებს, როგორც მე-16 საუკუნეში, მათი არარსებობის პირობებში კი ნებისმიერი საერთაშორისო ტრიბუნალი "ბასმანის სასამართლოდ" გადაიქცევა.

როგორია დღეს საერთაშორისო მართლმსაჯულების ძირითადი ნაკლოვანებები?

ჯერ ერთი, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, დამნაშავის ციხეში დამწყვდევა შეუძლებელია. რადგან ეს შეუძლებელია, მისთვის, როგორც საერთაშორისო ძალისთვის, ანგარიშის გაწევა კვლავ აუცილებელია. შესაბამისად, ყველა ცდილობს, იგი არ გააღიზიანოს. ამასთან. არც ის სურთ, გააღიზიანონ ყველაზე არაადეკვატური მხარე ანუ, როგორც წესი, კონფლიქტის დამწყები. ევროპისთვის რუსეთს მეტი ბოროტების გაკეთება შეუძლია, ვიდრე საქართველოს. "ჰამასი" ბევრად უფრო არაადეკვატურია, ვიდრე ისრაელი. შესაბამისად, რუსეთი და "ჰამასი" მეტ შეღავათებს იღებენ.

და მეორეც - როგორ ჩანს, თანამედროვე ჰუმანიტარულმა საზოგადოებამ შეიმუშავა აპარატი სახელმწიფოს კრიტიკისთვის, მაგრამ მას არ გააჩნია სამართლებრივი აპარატი პარასახელმწიფოებისა და ტერორისტული ორგანიზაციების შეფასებისთვის. ისრაელი ღიად აცხადებს, რომ ღაზაში ავიაციას იყენებს; საქართველო აღიარებს, რომ 7-8 აგვისტოს ღამით ცხინვალის დაბომბვა დაიწყო. მათი ქმედებები ადამიანის უფლებების დარღვევად ფასდება. მაგრამ, მათი მოწინააღმდეგეების ქმედებები, რომლებიც ისრაელისა და საქართველოს მოქალაქეებს მუდმივად "კა-სამის" ტიპის რაკეტებსა და ყუმბარმტყორცნებს უშენდნენ, არანაირად არ ფასდება და არ განიხილება.

ისე გამოდის, თითქოს დამოუკიდებელი სასამართლო პოლიციელს ასამართლებს, რომელმაც ბანკის მძარცველს ესროლა. "პოლიციელი აღიარებს, რომ ისროლა, შეაბამისად, მან დანაშაული ჩაიდინა. მსხვერპლი კი არ აღიარებს, რომ ბანკს ძარცვავდა, ამიტომ იგი უდანაშაულოდ უნდა ვცნოთ".

ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს, რომელიც თვალყურს ადევნებს საქართველო-სამხრეთ ოსეთისა და "ჰამასი"-ისრაელის კონფლიქტებს, დაებადება კითხვა შესაბამისი ტერიტორიების მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის შესახებ.

ისრაელი სრულფასოვანი სახელმწიფოა, რომლის მოქალაქეებსაც უფლება აქვთ, რაც უნდათ, ის აკეთონ და რომელიც მზად არის, პალესტინის დამოუკიდებლობა ცნოს, ისრაელის არსებობის უფლების აღიარების სანაცვლოდ. "ჰამასი" არ ცნობს ისრაელის უფლებას არსებობაზე და თავად მისი არსებობის ფაქტს აგრესიას უწოდებს. ამ აზრის გაზიარებაზე უარს კი კომპრომისზე უარის თქმად მიიჩნევს.

"ჰამასის" მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არ არსებობს არავითარი ეკონომიკა და არავითარი ფული, გარდა იმისა, რასაც "ჰამასი" აკონტროლებს. ისრაელის ტერიტორიის სარაკეტო დაბომბვები კი, ფაქტობრივად, ისრაელის განადგურების ხერხს კი არ წარმოადგენს, არამედ არის "ჰამასის" საშუალება არაკონტროლირებადი ეკონომიკის გასაჩენად, ყველა იმედის მოსასპობად და მოსახლეობაზე სრული კონტროლის დასამყარებლად.

ასეა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაშიც. საქართველო ნორმალური ქვეყანაა, სწრაფად ზრდადი ეკონომიკით. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა 70 ათასიდან 15-20 ათასამდე შემცირდა. მთელი ქვეყანა ღატაკია, ერთადერთი სამუშაო კი სანგრებში ჯდომაა. ამავე დროს, მოწოდებები "თბილისის აღებისკენ" და "გორის მორგის გვამებით გავსებისკენ" საოცარ თანხვედრაშია იდეოლოგიასთან, რომლის თანახმადაც ქართველი ფაშისტების მიერ განადგურებისგან ოსების ხსნა მხოლოდ ბრძენ ბელად კოკოითის შეუძლია.

მაგრამ ტალიავინის კომისია სამხრეთ ოსეთის რეჟიმის შესახებ ერთ სიტყვასაც არ ამბობს. საერთაშორისო კომისიებმა სახელმწიფოების ქმედებების შეფასება იციან, თუმცა არ ეხერხებათ ისეთი რეჟიმების შეფასება, რომელთა სულისკვეთება ანტისახელმწიფოებრივია, ანუ რომლებიც იმისთვის არსებობენ, რომ თავისი მოქალაქეები, მათთვის სიმშვიდისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ნაცვლად, მაქსიმალურ სიღატაკესა და დაუცველობაში ამყოფონ.

ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ის არის, რომ საერთაშორისო ბიუროკრატია სიტუაციის შეფასებისთვის ცნებების იმ აპარატს იყენებს, რომელიც უფლებათადამცველმა მოძრაობამ შეიმუშავა. მაგრამ დასავლურ უფლებათადამცველ მოძრაობას ერთი პრინციპული ნაკლი აქვს. დასავლელი უფლებათადამცველები ისტორიულად მემარცხენეების ანუ, როგორც ლენინი უწოდებდა მათ, "სასარგებლო იდიოტების" შთამომავლები არიან.

მათ უყვართ ნებისმიერი ბურჟუაზიული სახელმწიფოს კრიტიკა მისი "დათრგუნვის აპარატის" გამო და მიესალმებიან ყველას, ვინც ამ სახელმწიფოს უპირისპირდება. ისინი ზედმიწევნით იცავენ გუანტანამოს პატიმართა ან პრეზიდენტ ფუხიმორის მსხვერპლთა უფლებებს და განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ ბენ ლადენის მომხრეებსა და "სენდერო ლუმინოსო"-ს ტერირისტებს იცავენ. ისრაელი მათთვის მიუღებელია, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფო და "ჰამასს" იმავე მიზეზით თანაუგრძნობენ, როგორითაც გუანტანამოს პატიმრებს.

ამის შედეგად პარადოქსული სიტუაცია იქმნება: ის რეჟიმები, რომლებიც იტყუებიან, ქურდობენ და მეზობელი ტერიტორიის მცხოვრებლებს მხოლოდ იმისთვის ხოცავენ, რომ საკუთარი მოსახლეობა სიღატაკესა და მორჩილებაში ჰყავდეთ, საერთაშორისო იუსტიციას არ ექვემდებარებიან. მსჯავრდებულები კი ის სახელმწიფოები ხდებიან, რომლებიც მათ საპასუხო დარტყმებს აყენებენ. თუ საუბარია ტერორისტზე, რომელმაც მძევლები გაიტაცა, ჩვეულებრივი სამართალი ბრალს უყენებს ტერორისტს და სპეცრაზმს ამართლებს. მაგრამ, თუკი მძევლები ტერორისტული რეჟიმის ნათესავები, ქვეშევრდომები და თანამონაწილეები არიან, გამოდის, საერთაშორისო სამართალი ტერორისტს ამართლებს და მის მოწინააღმდეგეს სდებს ბრალს.

გოლდსტონისა და ტალიავინის კომისიების მუშაობა მოწმობს, რომ აგრესორის დასჯის საერთაშორისო მექანიზმი კვლავინდებურად არ არსებობს. ამისთვის ერთადერთი ქმედითი ხერხი ომია. რასაკვირველია, გამარჯვებით დასრულების შემთხვევაში.

# ქართულ-ამერიკული ქარტიის ემისარი

ნათია მსხილაძე

*გუშინ უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილის ალექსანდრ ვერშბოუს საქართველოში ვიზიტის პირველი დღე პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრით დაიწყო და ოფიციალური ვახშმით დასრულდა. წინასწარი ინფორმაციით, ალექსანდრ ვერშბოუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში, უსაფრთხოების საკითხებს განიხილავს.*

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ 2009 წლის 9 იანვარს ხელმოწერილ ქარტიაში მოცემული დებულებების განხორციელებაზე სამუშაოდ 2009 წლის 22 ივნისს ერთობლივი საბჭო დააფუძნეს

საბჭოს პირველი შეხვედრა ვაშინგტონში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯეიმს სტეინბერგის თავმჯდომარეობით, უკვე გაიმართა. თავდაპირველად, შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატები სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს უნდა წარმოედგინა, თუმცა მას ხელი ჰქონდა მოტეხილი და შეხვედრას ვერ დაესწრო. **"საბჭო ჩვენს ქვეყნებს შორის ხანგრძლივი და ღრმა მეგობრობის ახალი ეტაპია. ეს არის ისტორიული დღე საქართველოსთვის, ისევე, როგორც ქარტიაზე ხელმოწერის დღე,"** - განაცხადა ვაშინგტონში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

ჯეიმს სტეინბერგმა კი აღნიშნა, რომ **"ეს შეხვედრები ხაზს უსვამს იმ ვალდებულებას, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია ამ მნიშვნელოვანი შეთანხმების - საქართველოსთან ჩვენი ქარტიის განხორციელების კუთხით, რადგანაც ჩვენ ვაღრმავებთ ამ სტრატეგიულ პარტნიორობას."**

თავად აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ, თბილისში ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს საკითხზე განცხადება გააკეთა: **"ჩვენ არ ვაპირებთ, დავეთანხმოთ რუსეთის ემბარგოს საქართველოსთვის იარაღის მიწოდების შესახებ. მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ამ ქვეყანასთან და დავეხმაროთ მას თავის დაცვაში. საქართველოსადმი აშშ-ს მხარდაჭერა უპირობოა და შეერთებული შტატები საქართველოსთან თანამშრომლობას აგრძელებს."**

უსაფრთხოების საკითხზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრის დროს იქნება თუ არა საუბარი კავკასიასა და საქართველოში აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების ნაწილების შესაძლო განთავსებაზე, ოფიციალური თბილისის განმარტებით, მუშა ჯგუფის გადასაწყვეტია. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ნალბანდოვის თქმით, **"ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა უკვე განაცხადა - თუ აშშ-ს მხრიდან ამგვარი თხოვნა იქნება, ჩვენ ამ წინადადების განხილვისთვის მზად ვიქნებით, თუმცა შეერთებულ შტატებს მსგავსი რამ ჯერჯერობით არ უთხოვია."**

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილის აზრით, ამერიკა-საქართველოს ქარტიის ფუნდამეტური საკითხი საქართველოს თავდაცვის სფეროს გაძლიერებაა. **"აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობა იმის გარანტიაა, რომ რუსეთის ოკუპაციური ჯარები ქვეყანას დატოვებენ. ვერშბოუს ვიზიტი აშშ-სა და საქართველოს თანამშრომლობის ნათელი დასტურია,"** - აღნიშნა მინაშვილმა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის შეფასებით, საქართველოში აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილის ალექსანდრ ვერშბოუს ვიზიტით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ამერიკა სტრატეგიულ საკითხებში საქართველოს გვერდით დგას.

მისივე თქმით, ვერშბოუს მაღალი ავტორიტეტი აქვს, რუსეთში ამერიკის ელჩიც ოყო და კარგად იცის, რა ქვეყანასთან აქვს საქმე.

## სახალხო დამცველის ოფისში რეორგანიზაცია იწყება

სახალხო დამცველის ოფისში 6 ნოემბრიდან რეორგანიზაცია დაიწყება.

ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" სახალხო დამცველის ოფისიდან აცნობეს. მათი განმარტებით, რეორგანიზაციის ძირითადი ასპექტია სახალხო დამცველის კონტროლის გაფართოების მექანიზმი, რაც ეროვნულ-პრევენციული ჯგუფის შექმნას უკავშირდება. ჯგუფი ნოემბრის შუა რიცხვებიდან სრულად ჩამოყალიბდება.

ეროვნულ-პრევენციული ჯგუფი სასჯელაღსრულების დაწესებულებების, წინასწარი დაკავების იზოლატორების, ბავშვთა სახლების, ფსიქიატრიული დაწესებულებების და მოხუცებულთა თავშესაფრების მონიტორინგს განახორციელებს.

სახალხო დამცველის ოფისში, კერძოდ, გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტში წლებია არსებობს 5-კაციანი ჯგუფი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგს აწარმოებს. ეს ჯგუფი გამოეყოფა დეპარტამენტს, მოხდება მისი გაზრდა და ახლებური ჩამოყალიბება.

## პანსიონური მომსახურების კოლეჯი ჯანდაცვის სამინისტროს დაექვემდებარება

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, პანსიონური მომსახურების კოლეჯი განათლების სამინისტროს ნაცვლად ჯანდაცვის სამინისტროს დაექვემდებარება.

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლების რეორგანიზაცია 2010 წლის პირველ სექტემბრამდე უნდა მოახდინოს, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამავე ვადაში უზრუნველყოს პანსიონური მომსახურების პროფილის მქონე სააღმზრდელო დაწესებულებების დაფუძნება.

ამ ინიციატივას პარლამენტში საკომიტეტო მოსმენებზე განიხილავენ და იდეის განხორციელების გადაწყვეტილებას საკომიტეტო განხილვების შემდეგ მიიღებენ.

## სამხედრო ძალების რაოდენობა უცვლელი რჩება

საქართველოში სამხედრო ძალების რაოდენობა მომავალ წელსაც უცვლელი იქნება. სამხედრო ძალები კვლავ 37 ათასი კაცით იქნება განსაზღვრული. ამასთან დაკავშირებით, გუშინ ბიუროს სხდომაზე ინიცირებული იქნა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა, "საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ".

კანონპროექტის მიხედვით, პრეზიდენტი პარლამენტს სამხედრო ძალების რაოდენობის ისევ 37 ათასი კაცით განსაზღვრას სთხოვს

## კონკურსი ქართულ კალიგრაფიაში

ქართული ანბანის კალიგრაფიის ცოდნაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კონკურსს აცხადებს. ამის შესახებ უწმინდესმა გიშინ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში I საერთაშორისო სიმპოზიუმზე განაცხადა. მისი თქმით, სახელმწიფო და ეკლესია უფრო მეტ ყურადღებას უნდა იჩენდეს ქართველოლოგების მიმართ.

"კულტურულ ქვეყნებში და ერებში დიდ ყურადღებას აქცევენ კალიგრაფიას. მაგალითად, ვიცი, რომ იაპონიაში იმპერატორიდან დაწყებული, პრემიერ მინისტრი და ყველა მეცადინეობს ამ დარგში. მე მინდა გამოვაცხადო კონკურსი ქართული ანბანის კალიგრაფიისა და გამარჯვებულები პრემიებს მიიღებენ", - ბრძანა პატრიარქმა.

## შოთა ბურჯანაძე ქუთაისის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს

"მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ერთ-ერთმა ლიდერმა, შოთა ბურჯანაძემ გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მან ქუთაისის ხელმძღვანელობა ტრანსპორტის სფეროში არსებული პრობლემების გამო გააკრიტიკა. ბურჯანაძის თქმით, ქუთაისის მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საღამოს 20:00 საათის შემდეგ, ქალაქში არანაირი სატრანსპორტო საშუალება აღარ მუშაობს და ისედაც "მიძინებულ" ქალაქში ცხოვრება საერთოდ ჩერდება. ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლება ამ პრობლემის გადაჭრას ვერ ახერხებს და საკითხის მოგვარების არანაირი პროექტი არ გააჩნია.

პრესკონფერენციაზე შოთა ბურჯანაძე შეეხო ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულ ახალ სქემას, რომლის მიხედვითაც, ქუთაისში სამარშრუტო ტაქსები ავტობუსებმა უნდა ჩაანაცვლოს. ბურჯანაძის აზრით, ავტობუსით იმგზავრებს თუ სამარშრუტო ტაქსით, ეს ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და არა რომელიმე ჩინოვნიკმა.

## კვლევა-მონიტორინგი ფოტოხაფანგებით

გარემოს დაცვის სამინისტროს ცნობით, თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ფოტო-ხაფანგებით კვლევა-მონიტორინგი ხორციელდება.

ფოტო-ხაფანგების მეშვეობით გადაღებულია ნიამორის 75 ფოტო, მგლის - 15, დათვის - 5, შვლის - 2, ჯიხვის - 3 და შურთხის 10 ფოტო. თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე კვლევა ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება.

კვლევა კონსერვაციის ცენტრ Nacres-ის მიერ, გარემოს დაცვის მსოფლიო ფონდის WWF-ის პროექტის - "ჯიქის კონსერვაცია სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში ტარდება.

# ქართული ლიბერალური ეკონომიკის განვითარების შეუქცევადობის წინაპირობები

ა. ფანჩულიძე
დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი
ანტიკრიზისული საბჭოს აღმასრულებელი მდივანი

საქართველოს პარლამენტში 2009 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ეკონომიკური თავისუფლების აქტის შესახებ ჩვენი ქვეყნის შემდგომ ცხოვრებაში უდაოდ დიდ იდეურ - პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას შეიძენს.

**საქართველოს პრეზიდენტი გვთავაზობს მაქსიმალურად ლიბერალურ თავისუფლებაზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის შეუქცევადად განვითარების იდეას.**

ჩვენს ქვეყანაში მაქსიმალურად ლიბერალური ეკონომიკა 2003 - 2009 წლებში პრაქტიკაში იქნა აპრობირებული. ხელისუფლებამ კარგი გაკვეთილები მიიღო ყველა იმ პოზიტიური და ნეგატიური შედეგებიდან გამომდინარე, რომელიც თან სდევდა ამ პროცესს.

პრეზიდენტი პირველ ქართველ ლიბერტარიანელად ილია ჭავჭავაძეს მოიხსენიებს და საქართველოში ეკონომიკური ლიბერალიზმის დამკვიდრების აუცილებლობას მილტონ ფრიდმანის, ურეი როიბარდის, ფრიდრიხ ჰაიეკის და სხვა ეკონომისტების იდეებით ამყარებს, აგრეთვე ის მკაფიოდ აყალიბებს, რომ **"მთავრობა უნდა იყოს მაქსიმალურად პატარა და მინიმუმამდე უნდა იყოს მისი ჩარევა ეკონომიკაში"**

საჭიროა წყაროებზე დაყრდნობით კონსტატაცია გაუკეთოთ რამოდენიმე შეხედულებას:

ჰაიეკი და ფრიდმანი მიიჩნევდნენ, რომ მთავრობის უპირველესი მოვალეობა "მყარი ფულის" უზრუნველყოფაა, რადგანაც ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკისთვის ფულს საჭიროა მყარი და სტაბილური ღირებულება ჰქონდეს, რასაც ინფლაციის შემცირებით ან ჰაიეკის აზრით საერთოდ მისი აღმოფხვრით უნდა მივაღწიოთ.

ალტერნატიული ეკონომიკური იდეოლოგია - კეინზიანიზმი კი ინფლაციას პროვოცირებს, რადგანაც მთავრობამ მეტი ფინანსები უნდა "შეიყვანოს" ეკონომიკაში სოციალური დანახარჯების სახით, ვიდრე "გამოიტანოს" გადასახადების აკრეფით ე. ი. ადგილი ექნება ფულადი რესურსების ზრდას, რაც წარმოშობს ძალიან დიდ ფულს ძალიან მცირე რაოდენობის საქონელზე.

თავისუფალი ბაზარი თვითმართვადია მისი წარმატების გასაღები "დაე იმოქმედონ" (laissez - faire) დოქტრინის დამსახურებაა. აღნიშნული დოქტრინა 1970 წლებში ეკონომიკური ლიბერალიზმის ახალი ძალით აღორძინებას უკავშირდება, რომელიც ნეოლიბერალიზმის, ანუ

ნეოკლასიკური ლიბერალიზმის სახელწოდებით არის ცნობილი. ის აშშ-ში "რეიგანიზმის", ხოლო გაერთიანებულ სამეფოში "თეტჩერიზმის" სახით მოგვევლინა. ისინი ახალი მემარჯვენე იდეოლოგიის ნაწილს წარმოადგენენ.

ნეოლიბერალური იდეების მთავარ მამოძრავებელ ძალას ეკონომიკური გლობალიზაცია წარმოადგენს, რომელმაც ერთმანეთს გადააჯაჭვა ეროვნული და გლობალური ეკონომიკა, სადაც წარმოება ინტერნაციონალიზებულია, ხოლო კაპიტალი ერთი ქვეყნიდან მეორეში თავისუფლად ხშირად დაუბრკოლებლად გადაედინება.

აქედან გამომდინარე **პრეზიდენტი ანვითარებს შემდეგ მოსაზრებას, საჭიროა ვისწავლოთ გლობალური ეკონომიკური აზროვნება და შევეგუოთ იმ აზრს, რომ "მაჩხაანელი მევენახის კონკურენტი არის ჩილესა და ბორდოში, გურული თხილის წარმოების კონკურენტი არის თხილის პლანტატორი თურქეთში და თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ამ მასშტაბის აზროვნებას, ჩვენ ვერ შევძლებთ ეკონომიკის განვითარებას."**

თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპზე დამყარებული ნეოგლობალური ეკონომიკის იდეას ეზიარა გლობალური ეკონომიკური მართვის ინსტიტუტები: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და 1995 წლიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (GATT).

ეკონომიკური თავისუფლების აქტი შემოთავაზებულია როგორც კონსტიტუციური კანონპროექტი "ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ"

განვიხილოთ თითოეული ცალცალკე და მოვიშველიოთ პრეზიდენტის ციტატები:

**თავისუფლება - მთავრობის მცირე ზომა ("მცირე სახელმწიფო") დაბალი გადასახადი, სახელმწიფო ჩარევისა და ბიუროკრატიული წნეხისაგან მეწარმისა (ბიზნესსაქმიანობის) და მოქალაქის განთავისუფლება.**

**შესაძლებლობა - თავისუფალი ეკონომიკის მისაღწევად ხელი უნდა შეუწყოთ ყველას, უნდა უზრუნველყოთ გამჭვირვალე მმართველობა, ხელმისაწვდომი განათლება, შრომის უფლება. თანაბარი შანსი ყველას - დასაქმებისა და წარმატებისათვის.**

**"თანაბარი შესაძლებლობების საზოგადოება ე.ი. ნიჭზე და უნარზე დაფუძნებული საზოგადოება და არა პრივილეგიაზე, ნაცნობობაზე, მეგობრობაზე და რაღაც სხვა, სხვადასხვა კრიტერიუმებზე".**

**ღირსება - "სახელმწიფო დახმარებებია მათთვის, ვინც ვერ ახერხებს არსებული შესაძლებლობების გამოყენებას სხვადასხვა მიზეზების გამო: ასაკის გამო**, ჯანმრთელობის გამო და ა. შ.

საქართველოში პოლიტიკურ ძალთა სიჭრელის გამო ამა თუ იმ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა საზოგადოებაში ხშირად იწვევს დაბნეულობას და რაოდენ საინტერესო და თავისთავად აქტუალურიც არ უნდა იყოს თემა, ძნელდება საერთო ხედვის ჩამოყალიბება. ხშირად ამ საერთო დაბნეულობას ხელს უწყობენ მტრული რუსული ძალები, რათა საზოგადოებაში მიაღწიონ გათიშულობას.

ამიტომ ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ის წინააღმდეგობები, რომელიც შეიძლება გააჩნდეს რამოდენიმე ძირითად იდეოლოგიურ ჯგუფს. გავაანალიზოთ მათი წინადადებები, გადავხედოთ განვლილ ცხოვრებას, გამოვყოთ პოზიტიური და ნეგატიური ქმედებები, გავითვალისწინოთ მიღებული გაკვეთილები, რეალობა და საფრთხეები.

ჩამოვაყალიბოთ წინადადებები ისე, რომ საზოგადოებამ ნათლად დაინახოს მაქსიმალური ლიბერალური ეკონომიკის განვითარების აუცილებლობა და ირწმუნოს მისი განვითარების შეუქცევადობა.

წყაროებზე დაყრდნობით:

-ახალ მემარჯვენეებში ნეოლიბერალური და ნეოკონსერვატული შეხედულებები მართალია გარკვეულწილად განსხვავებულია და ხშირად მათი თავსებადობა კამათს იწვევს, მაგრამ ახალ მემარჯვენეობას სწორედ ეკონომიკური ლიბერალიზმის სოციალურ კონსერვატიზმთან შერწყმის მცდელობა გამოარჩევს.

ახალი მემარჯვენე იდეების ყველაზე აშკარა გამოვლინება რეიგანისა და თეტჩერის ადმინისტრაციებია, ისინი განსხვავებული ხარისხით, მაგრამ მაინც ემხრობოდნენ როგორც ლიბერალურ, ისე კონსერვატულ ახალ მემარჯვენეობას.

"თეტჩერიზმის" ორმაგი ბუნება გაერთიანებულ სამეფოში ენდრიუ გემბლმა (GAMBLE, 1988) შეაჯამა, როგორც "თავისუფალი ეკონომიკისა და ძლიერი სახელმწიფოს" პრინციპი.

ახალ მემარჯვენეთა მიზანი, ძლიერი თუმცა კი მინიმალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაა.

ტრადიციული, სოციალური პრინციპები: წესრიგი, ძალაუფლება და დისციპლინა ახალი მემარჯვენეობით დაბალანსდა (შეძლო დაბალანსება) თავისუფალი ბაზრის იდეასთან. ამ მაგალითით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსერვატიზმში ნეოლიბერალური იდეების შეჭრამ კარგი შედეგი გამოიღო.

- ქრისტიანულ-დემოკრატიული იდეოლოგიის პარტიები ემხრობიან "სოციალური საბაზრო ეკონომიკის" იდეას, კერძოდ დასაყრდენს პოულობენ ფრიდრიხ ლისტის შეხედულებებში.

ფრიდრიხ ლისტი (FRIEDRICH LIST, 1789 - 1846) პოლიტიკისა და პოლიტიკური ძალაუფლების ეკონომიკურ მნიშვნელობას გამოკვეთდა, როდესაც უცხოური კონკურენციის მძაფრ პირობებში წარმოების ახალ დარგთა დასაცავად მთავრობის ჩარევის საჭიროებას აღიარებდა, მაგრამ თავისთავად სოციალური ბაზარი ისეთი ეკონომიკაა, რომელიც საბაზრო პრინციპებზე იგება და მთავრობის კონტროლისაგან უმთავრესად

თავისუფალია. მათთვის ბაზარი არის სიმდიდრის შექმნის საშუალება უფრო ფართო სოციალური მიზნების მისაღწევად.

- რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის პარტიებს ისინი კაპიტალიზმის გარდაქმნაზე ანუ "გაჰუმანურებაზე" ფიქრობენ, ანუ ერთის მხრივ საბაზრო ეკონომიკისა და მეორეს მხრივ ბაზარში მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერვენციას შორის ბალანსის მხარდამჭერები არიან. სოციალ-დემოკრატიული პოზიციები მეტ - ნაკლებად თანამედროვე ლიბერალებმა და პატერნალისტმა კონსერვატორებმაც (ერთი ერის კონსერვატიზმი და ქრისტიანული დემოკრატია) გაიზიარეს.

საქართველომ დამოუკიდებლობის გზაზე მრავალი ჭირ - ვარამი გამოიარა. აგრესია, რომელიც რუსეთმა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში თავს მოგვახვია, ძალიან ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს: სამასორმოცდაათ ათასამდე იძულებით გადაადგილებული, (ლტოლვილი საკუთარ სახლში), რუსეთიდან პროვოცირებული შიდა დაპირისპირება და სამოქალაქო ომი, ეროვნული ხელისუფლების დამხობა, ანაბრების წაგლეჯვა, კუპონის ინფლაცია, სილატაკე და შიმშილი, ანარქია და განუკითხაობა. შემდგომ წლებში მართალია ცალკეულ მამულიშვილთა და პროფესიონალთა ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ეროვნული ვალუტის - ქართული ლარის შემოღება, სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნა და აღრიცხვიანობის დაკანონება, მაგრამ რეგულირებადი ეკონომიკა, რომელსაც გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში დაუცველი ფენის ინტერესების დაცვა ევალებოდა ტოტალური კორუფციის ჭაობში დაიხრჩო. წლიდან წლამდე მაღალ "ჩინოსანთა" პირადი და მათი ოჯახების ინტერესებიდან გამომდინარე ასეულობით კანონს უკვეთავდნენ საქართველოს პარლამენტს, სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ "აპურებდა" უსაშველოდ დიდ სახელმწიფო ბიუროკრატიულ მანქანას, ხაზინა იყო ცარიელი და ვერ არიგებდა ვერც პენსიებს და ვერც ხელფასებს, უშუქობა, უგაზობა და უგზოობა დიდ პრობლემებს უქმნიდა ისედაც გაჩანაგებულ ეკონომიკას. საქართველოს პარლამენტმა ვითომ ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მილიონობით ლარი ჩამოაწერა ცნობილ პიროვნებებს, ყოველივე ამას პარალელურად თან სდევდა მაფიისა და ქურდული სამყაროს აყვავება, ბიზნესის რეკეტი, უცხოელ ბიზნესმენთა გატაცებები, ფეხქვეშ იქნა გათელილი მეწარმისა და მოქალაქის უფლებები; სახელმწიფო მანქანა უსაშველოდ დიდი იყო, მაგრამ სუსტი და უძლური. ის ხელს ვერ უწყობდა ბიზნესის განვითარებას, ზედმეტი იყო საუბარი ბაზრის თავისუფლებაზე და ეს ყველაფერი განვითარდა რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ მიდგომები რადიკალურად შეიცვალა, საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ **"ჩვენ ვთქვით, რომ ნაცვლად რეგულირებული ეკონომიკისა ჩვენ წავალთ ლიბერალური ეკონომიკის**

**მიმართულებით. ჩვენ ვთქვით, რომ გამოსავალი გადასახადის გაზრდა კი არა მისი გამარტივებაა".**

გავაკეთოთ ანალიზი, როგორ განხორციელდა ეს ყველაფერი და რა გაკვეთილები მიიღო ხელისუფლებამ.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ მმართველმა გუნდმა მიზნად დაისახა ამოეძირკვა კორუფცია, მოეწესრიგებინა საბაჟო საქმიანობა, აღედგინა ინფრასტრუქტურა, აეშენებინა გზები, აღმოეფხვრა ენერგო - დეფიციტი, გაეძლიერებინა თავდაცვისუნარიანობა, დაემყარებინა სამოქალაქო წესრიგი და სხვა. რა თქმა უნდა ყოველივე ამისათვის საჭირო იყო უცხოეთიდან დიდი ინვესტიციები, შესაბამისი ბიუჯეტი და ადეკვატური ქმედებები.

დაიწყო აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების ოპტიმიზაცია: სამინისტროების გამსხვილება, რეფორმა საშუალო და სკოლამდელი ასაკის სასწავლო დაწესებულებებში, ჯანდაცვის სისტემაში, მეცნიერებათა აკადემიაში, სახელმწიფო უნივერსიტეტში და უმაღლეს სასწავლებლებში, რის გამოც მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევრობა.

პარალელურად გაიყიდა მსხვილი სამრეწველო ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული ობიექტები, ოპტიმიზაციის შედეგად გამონთავისუფლებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, სკოლების, საბავშვო ბაღების, ჯანდაცვის ობიექტების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობები.

სახელმწიფო ბიუჯეტი სწრაფად გაიზარდა, მოწესრიგდა გზები, აღმოიფხვრა ენერგო დეფიციტი, ნაწილობრივ აღდგა ინფრასტრუქტურა, მნიშვნელოვანი ასიგნებები მიიღეს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, მაგრამ მცირე იყო სოციალური სფეროსთვის გამოყოფილი თანხები. უმუშევრობამ პიკს მიაღწია, პენსიები და შემწეობები ვერ აკმაყოფილებდა მოქალაქეთა მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო მანქანა დაიხვეწა და გაძლიერდა მან დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქურდულ სამყაროს და გაიმარჯვა მასზე. ამ პროცესში ვერ ავცდით სამართალდამცავთა მხრიდან ძალაუფლების გადამეტებას, რასაც ბუნებრივია საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა.

სახელმწიფოს ძალიან ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი პენიტენციალურ სისტემაში, რეფორმას საჭიროებდა და საჭიროებს სასამართლო ხელისუფლება, მოსაწესრიგებელია საარჩევნო კანონმდებლობა.

ორიენტირებული იყო რა ბიუჯეტის შევსება სახელმწიფო აქტივების გაყიდვაზე, თავიდან სათანადო ყურადღება არ მიექცა ბიზნესისათვის სახელმწიფო დაბეგვრის სისტემის მოწესრიგებას, რასაც უნდა გაეადვილებინა სახელმწიფო სტუქტურებიდან გამონთავისუფლებული მოქალაქეების შრომითი მოწყობა. რის გამოც სიღარიბის ზღვარს მიღმა ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედი აღმოჩნდა.

სახელმწიფო გადასახადები შემცირდა მოგვიანებით (საგადასახადო ტვირთი კვლავ საჭიროებს შემცირებას), მოგვიანებით გაიზარდა პენსიები, გაიცა ჯანმრთელბის დაზღვევის ვაუჩერები.

საზოგადოება, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების ქვედა რგოლებიდან ბიუროკრატიისა და უკონტროლობის გამო ვერ ღებულობდა სათანადო ინფორმაციას, აგრეთვე ის ვერ მონაწილობდა საკუთარ სოფელში, რაიონში, ქალაქში გადაწყვეტილების მიღების პროცესში (აღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ აღმოიფხვრა სოფლის დახმარების პროგრამით).

დაშვებული იქნა შეცდომები, მოხდა საკუთრებისა და მემკვიდრეობის ხელყოფა, ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების დარღვევას (ამ პრობლემის აღმოფხვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ანტიკრიზისული საბჭო, რომელიც 2008 წლის ოქტომბერში იქნა შექმნილი, იხილეთ parliament.ge ’ კომისიები, საბჭოები ’ ანტიკრიზისული საბჭო ’ ბიულეტენი N2).

ჩვენ განვიხილეთ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ეკონომიკური მართვის სისტემის პოზიტიური და ნეგატიური შედეგები. აშკარაა, რომ პირველ შემთხვევაში სახელმწიფო მოხელეები, ისინი ვინც მნიშვნელოვნად უნდა ჩარეულიყვნენ ეკონომიკის მართვაში, ბაზრის კონიუქტურაში და სწორად გაენაწილებინათ სახელმწიფო დოვლათი, აღმოჩნდნენ "მგლების" როლში. შედეგმაც არ დააყოვნა მივიღეთ ქაოსი და განუკითხაობა. სახელმწიფო ვერ შედგა, ის ადვილად იმართებოდა რუსეთიდან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გზით.

ლიბერალური ეკონომიკური პრინციპების დანერგვის პროცესში პირველივე წელს დავინახეთ, რომ თუ სახელმწიფო მაქსიმალურად შეეცდებოდა არ ჩარეულიყო ბაზრის ცხოვრებაში და შეუქმნიდა მას თავისუფალი განვითარების საშუალებას ეკონომიკა აუცილებლად გაძლიერდებოდა, რაც მიღწეულ იქნა. აღმასრულებელმა ხელისუფლემამ არაერთხელ შემოიჭირა "ქამარი", სახელმწიფო მანქანა შემცირდა და გაძლიერდა, რაც მთავარია ახდა საუკუნეების ოცნება ქართული სახელმწიფო შედგა, რადგანაც ის ვერ დაანგრია 2008 წლის რუსულმა აგრესიამ, მდგრადი აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკა, საბანკო სექტორი ფუნქციონირებდა შეუფერხებლად.

რა თქმა უნდა იყო შეცდომებიც, არ იქნა გათვალისწინებული რიგი საფრთხეები, მაგრამ მთავარია შემდგომი ნაბიჯების გადადგმისას გავითვალისწინოთ დაშვებული შეცდომები, ანალიზი გავუკეთოთ გლობალურ პროცესებს და ძლიერი ქართული სახელმწიფოს შემდგომი მშენებლობის პროცესში განვთავისუფლდეთ "საყმაწვილო სენისაგან".

თავისუფალი ეკონომიკური პოლიტიკის შეუქცევადობა ბევრად არის დამოკიდებული შიდა პრობლემების მოგვარებაზე, ესენია: საზოგადოების ინფორმირებულობა, მისი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დემოკრატიის შეუქცევადობა, სასამართლო რეფორმა, ახალი საარჩევნო კოდექსის მიღება, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციას სამივე საფეხურზე

გახდის გამჭვირვალეს და მიუკერძოებელს, კონსტიტუციური ცვლილებები ხელისუფლების გადანაწილებასთან დაკავშირებით და სხვა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# საქართველოს ეკონომიკის ნეგატიური ნიშნული - 5.5 პროცენტია

## თუმცა 2010 წელს 2-პროცენტიანი ზრდა იქნება

თინა შავაძე

გარდამავალი ეკონომიკის შესახებ ევრობანკის 2009 წლის ანგარიში, რომელიც სრული სახით მომდევნო თვეში გამოქვეყნდება, ასახავს 2010 წელს ქვეყნებს შორის წარმოების ზრდის სფეროში მოსალოდნელ მნიშვნელოვან განსხვავებებს, რაც რეგიონში საშუალოდ 2.5-პროცენტიანი ზრდით დადასტურდება.

2009 წელს მოსალოდნელია, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკა წლის პირველ ნახევარში წარმოების მკვეთრი ვარდნის გამო, საშუალოდ, 6.3 პროცენტით შეიკუმშოს. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შემჩნეული პოზიტიური ზრდის ნიშნები ცხადყოფს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ევრობანკის) ბევრ სამოქმედო ქვეყანაში ვარდნა დასრულების პირას არის და აღმასვლა იწყება. თუმცა, ზემოთ აღნიშნული აღმასვლის ტენდენცია 2010 წელს სუსტი და ფრაგმენტული იქნება.

ევრობანკის მთავარი ეკონომისტი ერიკ ბერგოფი აცხადებს : "ასევე ნათელია, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის სოციალური ხარჯები რეალურად მომდევნო წელს იქნება შესამჩნევი, როდესაც კომპანიების გაკოტრების და უმუშავრობის ტენდენცია გაიზრდება. საშუალოვადიან პერიოდში ევრობანკის სამოქმედო რეგიონში ეკონომიკური ზრდაც, სავარაუდოდ, ბოლო ათწლეულში განვითარებულზე დაბალი იქნება."

მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს წლიური ზრდა ამჟამინდელი პროგნოზით ევრობანკის მაისის პროგნოზთან შედარებით 1-1/2 პროცენტით მაღალი იქნება, ეს მაინც იმაზე მიუთითებს, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ვარდნა მოსალოდნელზე ღრმა იყო და ამით არ არის განპირობებული 2010 წელს წარმოების უფრო ძლიერი განვითარება.

2010 წელს ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები მოიცავენ საექსპორტო ბაზრების უფრო სუსტი ტემპით გამოსწორებას (განსაკუთრებით ევრო ზონაში) და გამკაცრებულ საკრედიტო პირობებს, რადგან ბანკები რეგიონში თავიანთი აქტივების შეზღუდვას განაგრძობენ და რადგან შინამეურნეობებისა და მცირე საწარმოების დაკრედიტება კვლავ შეზღუდულია, იმატებს პრობლემური სესხების რაოდენობა.

საქართველოში ეკონომიკის შეკვეცის განაკვეთი 2009 წელს მოსალოდნელია, 5.5 პროცენტი იყოს, 2008 წელს 2.1-პროცენტიანი ზრდის შემდეგ. მთლიანი შიდა პროდუქტი 2010 წელს მოსალოდნელია, 2 პროცენტით გაიზარდოს.

ევრობანკის უფროსი ეკონომისტის ანიტა ტაჩის განცხადებით " კრიზისმა საქართველოს ეკონომიკას ძლიერად დაარტყა. მოსალოდნელია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ნეგატიურ ნიშნულზე შენარჩუნდეს და 2009 წელს -5.5 პროცენტი შეადგინოს - მიუხედავად მთავრობის ფისკალური მასტიმულირებელი მექანიზმებისა, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ბანკების დაკრედიტების მკვეთრი ვარდნის დაბალანსებას ისახავენ მიზნად. 2010 წელს მდგომარეობის გამოსწორების ტემპი შენელდება და დამოკიდებული იქნება უცხოური კერძო კაპიტალის განახლებულ შემოდინებასა და ბანკების დაკრედიტების საქმიანობის განახლებაზე, რაც ამჟამად პრობლემური სესხების დიდი მოცულობების გამო იზღუდება."

### ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების ტენდენცია და მაჩვენებლები ცალკეულ ქვეყნებში განსხვავებული იქნება

იმ ქვეყნების ეკონომიკაში, რომელთა საბანკო სექტორებში და ადგილობრივ ბაზრებზე რწმენის დაბრუნების მხრივ პრობლემები კვლავ იარსებებს, 2010 წელსაც უნდა გაგრძელდეს შეკვეცა ან ზრდის ბრტყელი ნიშნული დაფიქსირდეს.

ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც მყარ ვალუტაზე დამოკიდებულება არსებობს, ფასების და ხელფასების განაკვეთებით რეალური გაცვლითი კურსის კორექტირების საჭიროებამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს ზეწოლა მთლიან მოთხოვნაზე. იგივე შეეხება დამატებითი ფისკალური კორექტირების საჭიროებასაც. ამან შესაძლოა, შეანელოს ისეთი ქვეყნების ეკონომიკური განვითარება, როგორიცაა ბულგარეთი, ლატვია და ლიტვა.

ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების ტემპი განსაკუთრებით გაურკვეველია რუსეთში და ყაზახეთში, რომლებიც ძლიერი ფისკალური პოზიციით სარგებლობენ, თუმცა იმავდროულად გააჩნიათ სუსტი საბანკო სისტემა და გირაოთი დატვირთული პრობლემური სესხების დიდი მაჩვენებელი.

ხსენებულ ქვეყნებში სიტუაციის გამოსწორების ალბათობა დამოკიდებული იქნება ხელისუფლების წარმატებულ სვლებზე საბანკო სისტემის გაწმენდის კუთხით და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების სიძლიერეზე, განსაკუთრებით სამომხმარებლო ფასებზე ამ უკანასკნელის გავლენის ქვეშ.

მოსალოდნელია, 2009 წელს რუსეთის ეკონომიკა წლიური 8.5 პროცენტით შეიკუმშოს, მიმდინარე წლის ბოლოს მისი გახსნისა და 2010 წელს, დაახლოებით, 3-პროცენტიანი წლიური ზრდის პერსპექტივის დანახვის შემდეგ. ყაზახეთს მიმდინარე წელს ნაკლებად შეეხება წარმოების ვარდნა (დაახლოებით 1.5 პროცენტი), თუმცა მდგომარეობის გამოსწორებაც სუსტი იქნება - დაახლოებით +1.5 პროცენტი.

ეკონომიკური ზრდა 2010 წელს შედარებით სწრაფი იქნება და, სავარაუდოდ, 2-დან 5 პროცენტამდე მიაღწევს ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც საერთაშორისო დონეზე კონკურენტული პოტენციალის მქონედ არიან აღიარებულნი და რომლებსაც კრიზისამდე შედარებით გამართული საბანკო სისტემები გააჩნდათ. ესენია ალბანეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია.

სამომხმარებლო პროდუქტებით გაჯერებულ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ. აზერბაიჯანი, მონღოლეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი, რომელთა ფინანსური სისტემები უფრო მცირე ზომისაა, კრიზისმაც ნაკლები გავლენა იქონია და ზრდაც მეტწილად სამომხმარებლო პროდუქტებით იქნება განპირობებული. მოსალოდნელია, რომ მათ 2010 წელს 5-პროცენტიანი ან პროცენტულად უფრო მაღალი ზრდის მაჩვენებელი მიიღონ.

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთმა კრიზისის დასაწყისში განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიიღო, ამ ქვეყანაში შესაძლებელი გახდა სირთულეების დაძლევა ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერის და გამართული ეროვნული პოლიტიკის წყალობით. თუმცა მოსალოდნელია, მისი ეკონომიკური ზრდა შენელებული დარჩეს 2010 წელს აუცილებელი ფისკალური კორექტირებების და განგრძობადი საკრედიტო მომჭირნეობის საფუძველზე. მომავალ წელს მოსალოდნელია მცირედი ნეგატიური ზრდა 2009 წლის ბოლოსა და 2010 წლის დასაწყისში სუსტი ეკონომიკის მიზეზით.

# ქართული ლიბერალური ეკონომიკის განვითარების შეუქცევადობის წინაპირობები

A4 გვერდიდან

დაშვებული შეცდომების ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მართალია გაძლიერდა ეკონომიკა, გაიზარდა ბიუჯეტი, მაგრამ შემდეგ სოციალური პრობლემების გადაჭრის პროცესში მეტ-ნაკლებათ სამართლიანობის დეფიციტი შეიქმნა. პრეზიდენტის სიტყვებით: **"დღეს სახელმწიფო ბიუჯეტის 30%-მდე მივმართეთ სოციალურ უზრუნველყოფაზე და პენსიებზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე. მიუხედავად ამისა, მე ვიცი, რომ ეს რა თქმა უნდა არ არის განაწილებული ყველაზე სამართლიანი გზით, მაგრამ ისინი მაინც ნაწილდება მიზნობრიობის შეფასების შედეგად შედგენილ პროგრამებზე, რომელთა შედეგად საფინანსო საშუალებები მიმართული უნდა იყოს მხოლოდ იმათ დახმარებაზე, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს".**

პრობლემები არა მარტო სოციალური უზრუნველყოფის ჭრილშია გადასაწყვეტი, არამედ საჭიროა დავაჩქაროთ რეფორმები პროდუქციის უსაფრთხოების (ხარისხის) და გარემოს დაცვის სფეროში.

საკითხები, რომელიც ამ კუთხით არის მოსაგვარებელი ბევრს აშინებს, ეს ხომ არ გამოიწვევს თავისუფალ ბაზარში ჩარევას? პირიქით რაც უფრო მალე გავუსწორებთ თვალს ამ პრობლემებს მით უფრო სწრაფად დავრწმუნდებით იმაში, რომ თანამედროვე მდგრადი მართვის სისტემები

(ტერიტორიის (სივრცის) განვითარების დაგეგმვა, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა, მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვა, და სხვა) იმდენად ელასტიური და არა დოგმატურია, რომ მეწარმეთათვის უზრუნველყოფენ შანსების გათანაბრებას, პროცესების გამჭვირვალობას, გამორიცხავენ საზოგადოების გაუცხოებას. ის იცავს საკუთრებას და მემკვიდრეობას, ქმნის წესრიგს, უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვისათვის. ინფრასტრუქტურული პროექტების სწორი დაგეგმვის გზით იდეალურ შესაძლებლობას ქმნის თავისუფალი ბაზრის განვითარებისათვის. მართვის ამ სისტემების დანერგვა ამცირებს ბიუროკრატიას და უფრო ოპტიმალურს ხდის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის რგოლებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გლობალური კლიმატის ცვლილებების შედეგებს ყოველდღიურად ხედავს საზოგადოება, ეს პრობლემები 30 წლის წინ იმდენად არ აწუხებდა მოსახლეობას, როგორც დღეს. ამ პრობლემაზე ყურადღების მოდუნება ორ - სამ წელიწადში შეიძლება სახელმწიფოს ძვირად დაუჯდეს და ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილის კატასტროფების სალიკვიდაციოდ მიმართვა და ძალიან ბევრი პროგრამის შეჩერებაც კი მოუხდეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოსავალი ერთშია. ჩვენ დროულად უნდა დავიწყოთ კლიმატის ცვლილების ადაპტაციის და შერბილების სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, რათა სრულყოფილად გავერკვეთ პრობლემათა არსში და განვახროციელოთ ადეკვატური ზომები.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის, სამართლიანი სოციალური და ოპტიმალური გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთიანობა არის ქვეყნის შეუფერხებელი მდგრადი განვითარების გარანტი. ამისათვის კი პირველ რიგში საჭიროა მაქსიმალურად ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის შეუქცევადობის დამკვიდრება. რისთვისაც **საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს: "თავისუფლების აქტით გთავაზობთ, რომ საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან კონსტიტუციურად განისაზღვროს, რომ არ იქნება 30 %-ზე მეტი ..... ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდებამ მთლიან შიდა პროდუქტთან კონსტიტუციურად დაფიქსირდეს, რომ იქნება არა უმეტეს 3 %-სა, ხოლო მთლიანი სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან - არა უმეტეს 60%-სა".**

**აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტი გამოდის ინიციატივით: "გადასახადის გაზრდის ან ახალის დაწესების უფლება სახელმწიფოს მიერ არ უნდა იქნეს გამოყენებული ხალხის თანხმობის გარშე".**

**ამავე დროს ეკონომიკური თავისუფლების აქტით სახელმწიფოს აეკრძალება კომერციული ბანკების წილების ფლობა.**

კულუარული თუ ღია პოლიტიკური დებატების დროს ყველა პოლიტიკოსი თანხმდება, რომ მიზნობრიობის შეფასების საფუძველზე სახელმწიფოს ესაჭიროება სოციალური პროგრამების გაფართოება აგრეთვე სხვა მრავალი ღონისძიებების დაფინანსება. პრეზიდენტს, ხელისუფლებას და მრავალ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ექსპერტსა და პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ ეს შესაძლებელი იქნება მაქსიმალურად ლიბერალური შეუქცევადი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებით.

ასეთი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით საერთაშორისო თანამეგობრობას და ფინანსურ ორგანიზაციებს არ ეშინიათ გაგვიწიონ ფინანსური დახმარებები. ყველასათვის მარტივია ბიზნესის წამოწყება, ინვესტორებს არ ეშინიათ თანხების დაბანდება ჩვენს ქვეყანაში და სხვა.

იმისათვის, რომ შემდგომში ეს პროცესები იყოს გამჭვირვალე და ყველა კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიას ეჭვი არ შეჰქონდეს გამოყოფილი თანხების მიზანმიმართულ და სწორ მართვაში, მათ უნდა გააჩნდეთ ამ პროცესებზე მონიტორინგის განხორციელების საშუალება. საქართველოს მთავრობა დღეს ამ ნაბიჯებზე შეგნებულად თვითონვე მიდის. ისევ პრეზიდენტის სიტყვებს მოვიშველიებ: **"თანამედროვე ისტორიაში იშვიათად მოიძებნება ისეთი შემთხვევები, რომ მთავრობა თავად მიისწრაფოდეს საკუთარი ზომის შეზღუდვისკენ მონიტორინგის და კონტროლისკენ."**

ნებისმიერი პრობლემატური საკითხი, რომელიც გამოვლინდება მონიტორინგის შედეგად, სასწრაფოდ უნდა ეცნობოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის რგოლს და ნებისმიერი სადაო საკითხის ან ახალი წინადადებების შესახებ პრემიერ მინისტრს და პრეზიდენტს.

საზოგადოება პერიოდულად უნდა ეცნობოდეს მონიტორინგის შედეგებს, რომელიც შეთანხმებული იქნება ყველა კვალიფიციურ პოლიტიკურ სუბიექტთან და საინფორმაციო ბიულეტენზე მათი ექსპერტების ხელმოწერა იარსებებს.

ასეთი ფორმატით მუშაობს დღეს საქართველოს ანტიკრიზისული საბჭო, ფორმატმა გაამართლა, რადგანაც დღითი - დღე იზრდება საზოგადოების

მხრიდან თანამშრომლობის რაოდენობრივი მაჩვენებელი, საბჭოს მოსახლეობაში გააჩნია ნდობის მაღალი ხარისხი.

მონიტორინგის მასალების სისწორეში ეჭვი არ შეაქვს საბჭოში შემავალ არცერთ პოლიტიკურ პარტიას (არც ოპოზიციურს და არც ხელისუფლებას) რაც თავის მხრივ გამორიცხავს ამა თუ იმ საკითხის შეფასებისას აზრთა სხვადასხვაობას.

ანტიკრიზისული საბჭოს მიერ ჩატარებული მონიტორინგის წყალობით ხელისუფლებამ მრავალი პრობლემა გადაუწყვიტა იძულებით გადაადგილებულ პირებს, კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში და შიდა ქართლში მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების პროცესში. გარდა ამისა დახმარება მიიღო სოციალურად შეჭირვებულმა ათასზე მეტმა ადამიანმა.

საქართველოს ანტიკრიზისული საბჭო სწორი ინსტიტუციური მიგნებაა და საჭიროებს გაძლიერებას, მისი შემადგენლობა ღია უნდა იყოს ყველა კვალიფიციური პოლიტიკური პარტიისათვის, ის უდაოდ უდიდეს როლს ითამაშებს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

**დღეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა საჭიროებს კიდევ უფრო გაძლიერებას: ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას, "ნატოში" შესვლას, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას და სიღარიბის**

**დაძლევას. მიგვაჩნია, რომ ამის გარანტი იქნება: მაქსიმალურად ლიბერალური ეკონომიკა მდგრადი მართვის ელემენტებთან ბალანსში, ხელისუფლების ქმედებების მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და დემოკრატიული გარდაქმნები.**

# "ჩემს საპროკურორო საქმიანობაში პოლიტიკა არ იქნება წარმმართველი"

პირველი გვერდიდან



- ვერ ვიტყვი იმას, რომ ძალზე პოპულარული პოლიტიკოსი ვიყავი, საზოგადოებამ პარლამენტში საქმიანობისას კი გამიცნო, მაგრამ მანამდე პროკურორი ვიყავი. ვმუშაობდი მთავარ პროკურატურაში იურიდიული სამმართველოს უფროსად. ასე, რომ ამ სისტემის ნაწილი ვარ. სურვილი მაქვს, ჩემი საქმიანობით ამ სტრუქტურის კიდევ უფრო გამართვაში შევიტანო წვლილი. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პარლამენტმა უკვე მიიღო და მომავალი წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შედის, რაც სამართალწარმოებისთვის სრულიად ახალი ეტაპია. ჩვენ გადავდივართ ახალ რელსებზე, რაც ძირეულად განსხვავდება დღეს მოქმედი პროცესისგან. ამიტომ, ყველა პროკურორს, ყველა სამართალდამცველს უზარმაზარი პასუხისმგებლობით მოუწევს ახალი სისტემისთვის ფეხის აწყობა. ამისთვის მიმდინარეობს პროკურორების გადამზადება და ამ მიმართულებით კიდევ ძალზე ბევრია გასაკეთებელი.

შემოდის ახალი მიდგომები, უმთავრესი კი, შეჯიბრებითობის სისტემაზე გადასვლაა, რაც საჭიროებს პროკურორების ახალი მიმართულებით განვითარებას. პროკურორებს მოუწევთ სრულყოფილი პაექრობა დაცვის მხარესთან და ამიტომაც, მათ უნდა გამოიმუშავონ ახალი სისტემისთვის საჭირო თვისებები.

ახალი კოდექსი დახუნძლულია სიახლეებით და მის მოქმედებაში მოყვანას სჭირდება მოტივირებული, კვალიფიციური, პროფესიონალი პროკურორები. მართალია, ჩვენ ასეთი პროკურორები გვყავს, მაგრამ დაგეგმილია სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც მათ ახლებურ ჩამოყალიბებას ითვალისწინებს - უნდა მოხდეს მათი კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლება და ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან ადაპტირება, რათა მომავალი წლის 1 ოქტომბრიდან წარმატებით შეუდგნენ საქმიანობას.

**- პროკურატურა აპოლიტიკური სისტემაა, თქვენ კი "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი აქტიური სახე ხართ. რამდენად თავისუფალი იქნება მთავარი პროკურორი პოლიტიკური კონიუნქტურისგან?**

- გითხარით, რომ პროკურორად მუშაობის გამოცდილება მაქვს და ამ სისტემას კარგად ვიცნობ. ვიცი, როგორ უნდა საქმიანობდეს პროკურორი და ისიც ვიცი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურა და პროკურორი იყოს აპოლიტიკური. ამას ძალიან კარგად ვაცნობიერებ და გარწმუნებთ, რომ ჩემს საპროკურორო საქმიანობაში პოლიტიკა არ იქნება წარმმართველი.

**- ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ჩადებულია ნორმები, რომლის მიხედვითაც, პროკურორს მოუწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. მაგალითად, საქმის უწყვეტი განხილვა, როცა პროკურორმა ადგილზე, დამოუკიდებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. როგორ ფიქრობთ, რეალურად იმუშავებს ეს ნორმა? პროკურორები შეძლებენ დამოუკიდებლად, ზემდგომთან შეთანხმების გარეშე გადაწყვეტილების მიღებას?**

- დამოუკიდებლობა პროკურორის საქმიანობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. პროკურორი გამოძიების ზედამხედველია და მისი საქმიანობის ძირითადი მომენტი სწორედ გადაწყვეტილებების მიღებაა. დამოუკიდებლობის დეფიციტი პროკურატურაში არასდროს ყოფილა - პროკურორები თავად ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს. ამიტომაც, ამ მიმართულებით პრობლემას ვერ ვხედავ.

**- მთავარ პროკურორად დანიშვნისას განაცხადეთ, რომ პროკურატურაში მისვლის შემდეგ მოახდენთ სისტემის ლიბერალიზაციას, კონკრეტულად რას გულისხმობდით?**

- სისტემის ლიბერალიზაციაში რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობდი იმას, რომ მოხდება სისხლის სამართლის კოდექსის ტოტალური დეკრიმინალიზაცია, ან გარკვეული სანქციების მასობრივი დაკლება. გარკვეული ლიბერალური მიდგომა პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით სახელმწიფოში ისედაც არსებობდა - მათ შორის, პატიმრებთან მიმართებაში.

საქმე ისაა, რომ საზოგადოებამ იცის, იყო პერიოდი, როცა ქვეყანაში არსებული ქაოტური სიტუაციიდან გამომდინარე, დანაშაული ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, იგი ნებისმიერი მოქალაქის ცხოვრებაში ყოველდღიურად იჭრებოდა, ხალხი ქუჩაში თავისუფლად ვერ დადიოდა, ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება უმძიმესი იყო, ამიტომაც, ხელისუფლებამ დანაშაულის მიმართ მკაცრი, ნაკლებად ლიბერალური მიდგომები დააწესა. დაიწყო ძალზე სერიოზული ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ, რამაც სერიოზული ეფექტი გამოიღო. მას შემდეგ, რაც კრიმინალური ვითარება სახელმწიფოში დალაგდა, ახლა შეგვიძლია ვილაპარაკოთ ლიბერალიზაციაზე. მაგალითად, ვგეგმავთ, რომ შეიცვლება საპროკურორო მიდგომა ნარკოტიკების მომხმარებლებთან მიმართებაში.

გვსურს შეიცვალოს დამოკიდებულება არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ. მათ უნდა მივცეთ საშუალება მოახდინონ რესოციალიზაცია, რაშიც პროკურატურა აქტიურად არის ჩართული. არასრულწლოვანი პატიმრები პროკურატურის შეფობის ქვეშ არიან - დასაქმდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებში, ყველა პირობა შევუქმენით იმისთვის, რომ დაიწყონ ხელახალი ცხოვრება, შეძლონ საზოგადოების ფერხულს სრულფასოვნად აუბან ფეხი. თუ ჩვენ პატიმრების, განსაკუთრებით, არასრულწლოვნების მიმართ უნდობლობას გამოვიჩენთ, ვაიძულებთ, დარჩნენ კრიმინალურ სამყაროში. მათ ვაძლევთ შანსს, რომ საკუთარი თავისთვის, ქეყნისთვის და ოჯახებისთვის გააკეთონ მაქსიმუმი, მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია.

ცოტა ხნის წინ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სასჯელაღსრულების სამინისტროს 8 არასრულწლოვანისთვის ნასამართლეობის მოხსნის რეკომენდაციით მიმართა. დაპირება, რომ ყველაზე აქტიურ და შრომისმოყვარე მოზარდებს პროკურატურა ნასამართლეობის მოხსნისათვის შუამდგომლობას გაუწევდა, ბავშვებმა მანავში, საზაფხულო სკოლის ფუნქციონირებისას მიიღეს. პრობაციონერებს, რომელბიც ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ პროექტ ძსაზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში, პროკურორებმა სასჯელაღსრულების მინისტრთან რეკომენდაცია გაუწიეს.

მოზარდებს შორის ყველაზე უფროსი 18 წლისაა, ყველაზე უმცროსის ასაკი კი - 14 წელია - მათი დიდი ნაწილი ქურდობისათვისაა ნასამართლევი.

მაგალითისთვის გეტყვით, 22 წლის გელა ქუხილავა, რომელიც საპატრიარქოს შუამდგომლობით და მთავარი პროკურატურის ხელშეწყობით, 7 აპრილს ხარების დღესასწაულზე, პატიმრობიდან გათავისუფლდა, პროკურატურის ინიციატივითვე დასაქმდა. გელა ქუხილავა კომპანია ძუშბა-დისტილერში" მუშაობს და საკუთარი შემოსავალი აქვს. ძეგვის ბავშვთა სახლში მცხოვრები გელა ქუხილავა ერთი წლის წინ ქურდობისთვის დააკავეს, პროკურატურის დახმარებით კი მას საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და ნორმალური ცხოვრების დაწყების შანსი მიეცა. მსგავსი მაგალითები კიდევ ბევრი გვაქვს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია და ლიბერალიზაციაში ამ მომენტსაც ვგულისხმობდი.

**- ლიბერალიზაციის გარდა რა ცვლილებებს გეგმავთ? იგეგმება თუ არა საკადრო ან სხვა სტრუქტურული ცვლილებები პროკურატურის სისტემაში?**

- რადიკალური, ტოტალური საკადრო ცვლილებები არ იქნება. თუმცა გეტყვით, რომ სიახლე, რომელიც 2003 წლიდან დაინერგა - სტაჟიორთა კონკურსი დღესაც გრძელდება, რაც ძალზე ეფექტური პროცესია და ამ კონკურსის შედეგად, პროკურატურა 30-40 ახალი კადრით შეივსება. კონკურსი ამ დღეებშიც ჩატარდა და ახლაც მივიღებთ ახალი ტიპის პროკურორებს.

გარდა ამისა, ვგეგმავთ, პროკურატურაში შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც შევლენ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები და მათ ექნებათ შესაძლებლობა ეს სისტემა შიგნიდან დაინახონ და თავადაც გახდნენ მიმდინარე პროცესების მონაწილე. ამით გამჭირვალობის პრინციპს ვნერგავთ, რადგანაც, საზოგადოების მონაწილეობა სამართალდამცველი სტრუქტურების საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი მომენტია. როგორც არ უნდა მოინდომონ იმ სტრუქტურების წარმომადგენლებმა, რომლებიც დანაშაულის წინააღმდეგ იბრძვიან, რაც არ უნდა გააკეთონ, მათი შრომა არ იქნება ნაყოფიერი თუ მასში არ იქნება ჩართული საზოგადოება. თუ რიგითი მოქალაქეები, არ გააცნობიერებენ, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მხოლოდ სამართალდამცველი უწყებების საქმე არ არის და ქვეყანაში წესრიგისა და სიმშვიდის დამყარებაზე უნდა იზრუნოს თითოეულმა მოქალაქემ, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ.

ბოლო წლებში კრიმინალის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას სერიოზული შედეგი მოჰყვა - ადამიანები დღე-ღამის ნებისმიერ დროს თავისუფლად გადაადგილდებიან, ავტომობილებს თავისუფლად აჩერებენ ნებისმიერ ადგილას, მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სხვა მატერიალურ მდგომარეობას საფრთხე აღარ ექმნება. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ერთად ვმოქმედებთ შედეგს ვიღებთ და თუ ერთად მოქმედების ხარისხი გაიზრდება, ეფექტიც მეტი იქნება.

სწორედ ამ მოქმედების შედეგია ის, რომ დანაშაულის სტატისტიკა ძალზე დამაიმედებელია - დანაშაულის რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოვახდინოთ პრევენციული ღონისძიებები ზოგიერთი მიმართულებით.

**- არსებული ინფორმაციით, სხვა კატეგორიის დანაშაულისგან განსხვავებით, რომელთა რაოდენობამაც იკლო, იმატა ნარკოდანაშაულმა, განსაკუთრებით, რეალიზაციის ფაქტებმა. შეიძლება იმის თქმა, რომ სამართალდამცველებს არ აქვთ ერთიანი გეგმა, რომლითაც ამ დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურად იმუშავებენ?**

- არა, ეს ასე არ არის. ვერ დაგეთანხმებით, რომ ამ კატეგორიის დანაშაულის რაოდენობა იზრდება - ჩვენ ვერ მოვახერხეთ ამ დანაშაულის დამარცხება. აღსანიშნავია, რომ რეალიზაციის ხარისხი ყოველთვის უტოლდება მოთხოვნილების ხარისხს. ნარკოტიკებზე მოთხოვნილება ქვეყანაში არ შემცირებულა, რაც ბუნებრივად იწვევს იმას, რომ რეალიზაციაზე - ამ საშინელ საქმიანობაზე ვიღაცეებმა მოითბონ ხელი. ამ შემთხვევაშიც საზოგადოებას მინდა ვთხოვო, ითანამშრომლონ სამართალდამცველებთან, რადგანაც ეს არის საფრთხე, რომელმაც შეიძლება შეაღწიოს ნებისმიერი მოქალაქის ოჯახში. იმ დროს, როცა სამართალდამცველები ცდილობენ, მოიპოვონ ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც, რეალიზატორის მხილება მოხდება, მოქალაქეები უნდა დაეხმარონ მათ. თუ ეს ასე არ მოხდება, ის პოტენციური საფრთხე, რომელიც განსაკუთრებით თბილისში "მოძრაობს", შეაღწევს ყველა ოჯახში.

ერთიცაა, თუ ადრე რეალიზატორს შეეძლო გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისთვის, დღეს ეს შეუძლებელია. ყველა დანაშაული აღირიცხება, რაც რეალურ სტატისტიკურ სურათს ქმნის. წლების წინ არსებული სტატისტიკა კი, რეალურ სურათს ვერ იძლეოდა, დანაშაული არ რიგისტრირდებოდა და მონაცემებში არ ხვდებოდა. გეტყვით იმასაც, რომ რეალურად ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, ბევრი მიმართულებით სერიოზული მუშაობაა საჭირო. ეს არ არის მხოლოდ სამართალდამცველების პრობლემა, ეს პირველ რიგში, საზოგადოების პრობლემაა და მათი დახმარების გარეშე ვერაფერს გავხდებით. ეს არის კომპლექსური პრობლემების ჯაჭვი, რომელსაც სჭირდება ხანგრძლივი მუშაობა სხვადასხვა მიმართულებებით. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი, სამართალდამცველების და საზოგადოების ერთობლივი მუშაობის შედეგად წარმატებულ შედეგს მივაღწევთ.

**- ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ლიბერალიზაციაზე. საინტერესოა, წვრილმანი დანაშაულებისადმი თუ შეიცვლება საპროკურორო მიდგომა? მაგალითისთვის მოვიყვან, გორელი ქალიბატონი, რომელმაც 20 კილო ჯართი შეაგროვა, რათა სამი შვილი გამოეკვება - ქურდობისთვის დააპატიმრეს და რამდენიმეწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. აგვისტოს ომის შემდეგ კი ის გამოუშვეს ციხიდან. როგორია თქვენი დამოკიდებულება მსაგავსი ფაქტებისადმი? წვრილმანი დანაშაულებისადმი ლიბერალური გახდება პროკურატურა? არადა, ხშირ შემთხვევაში ასეთი დანაშაულისთვის პროკურორები ძალზე მკაცრ სადამსჯელო სანქციას ითხოვენ.**

- ვერ დაგეთანხმებით. ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის, ჩვენ არ ვართ კანონის დრაკონულად აღსრულების მომხრეები. თუმცა, დანაშაულის რეაგირების გარეშე დატოვება დაუშვებელია, მაგრამ ზედმეტად სიხისტე და სიმკაცრე ჩვენი პოლიტიკა ნამდვილად არ არის. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ ჩართულები ვართ პროცესში, რომელსაც ლიბერალიზაცია ჰქვია. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არის მეორე მხარეც - დაზარალებული, რომლის წინაშე პასუხისმგებლობაც სახელმწიფოს აკისრია. მომავალი წლიდან ამოქმედდება დაზარალებულთა სარეაბილიტაციო ცენტრები. ის გაიხსნება ქუთაისში, ბათუმში და თბილისში, რაც გულისხმობს იმას, რომ სპეციალისტები დაზარალებულებს დაეხმარებიან მიღებული ფსიქოლოგიური სტრესების მოხსნაში.

**- საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ პროკურატურა სასამართლოზე ზეწოლას ახორციელებს. შეიცვლება ეს პრაქტიკა პროკურატურაში თქვენი მოსვლის შემდეგ?**

- ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ძალიან ბევრი დაინტერესებული პირი ცდილობდა, რომ შეელახა სასამართლოს და პროკურატურის იმიჯი - აჟიოტაჟის შექმნით ცდილობენ დაამკვიდრონ მოსაზრება, რომ პროკურატურა ერევა სასამართლოს საქმიანობაში. თუმცა, თამამად შემიძლია თქმა, რომ ეს ასე არ არის. შეგიძლიათ არ ენდოთ ჩემს ნათქვამს და გაეცანით სასამართლოს გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკას, რომელიც ძალზე მაღალია. ნახეთ სხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემებიც და ჩემს ნათქვამში დარწმუნდებით.

სწორედ მსგავსი ეჭვების გაქარწყლებას ემსახურება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელითაც ადამიანები, ჩვეულებრივი მოქალაქეები გახდებიან მართლმსაჯულების მონაწილეები და ერთგვარად მონიტორინგსაც განახორციელებენ მართლმსაჯულებაზე. მხედველობაში მაქვს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც გარკვეული პირების პიარის შედეგად საზოგადოებაში დამკვიდრებულ "კლიშეს" გააქარვებს. ამას ემსახურება შეჯიბრებითობის პრინციპიც. მოსამართლე იქნება მხოლოდ არბიტრი, რომელიც მხარეების მიერ წარმოდგენლ პოზიციებს ობიექტურად შეაფასებს. ეს და სხვა სარეფორმო ღონისძიებები, რომელსაც პროკურატურა და სასამართლო ატარებს, ვფიქრობ, რომ მსგავს ეჭვებს ბოლომდე გააქარწყლებს.

ამას ემსახურება კიდევ ერთი სიახლე, რომელიც პრეზიდენტის მიერაა ინიცირებული და ითვალისწინებს მოსამართლესთან უკანონო კომუნიკაციის შემთხვევაში პოლიტიკური თანამდებობის პირების დასჯას, თუ ისინი ჩაერევიან სასამართლოს საქმიანობაში.

**- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ახსენეთ. სამოქალაქო სასამართლო მალე საქართველოშიც ამოქმედდება. თუმცა, ამ სიახლის თაობაზე ორი მოსაზრება არსებობს. თუ ექსპერტთა ერთი ნაწილი მას რევოლუციად და დემოკრატიის ღია ფორმად მიიჩნევს, მეორე ნაწილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ საქართველოში, სადაც კვლავ არსებობს ნაცნობ-მეგობრობის ინსტიტუტი, სადაც შეიძლება მსაჯულთა გადაბირება, ეს ინსტიტუტი ვერ გაამართლებს.**

- არსებობს ძალიან ბევრი მოსაზრება. თუმცა, ჩემი აზრით, ეს ინსტიტუტი საქართველოში აუცილებლად გაამართლებს. ეს არის ერთგვარი ტესტი და ქართული საზოგადოება ჩააბარებს ამ გამოცდას. საზოგადოება, რომელმაც, ბოლო წლებში, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არა ერთი გამოცდა ჩააბარა, ამასაც წარმატებულად გაართმევს თავს. ამ საზოგადოებამ დაამარცხა კორუფცია, გააძლიერა დემოკრატიული ინსტიტუტები - ეს არის ახალი საზოგადოება, რომელსაც შეუძლია ეს გამოწვევაც წარმატებით მიიღოს.

ფოსტა

# შესახლება ანუ თავსატეხი ქართველი სამართალმცოდნეებისთვის

## წერილი პრეზიდენტს და სახალხო დამცველს

*საზოგადოება რაიმე განყენებული, აბსტრაქტული ცნება არ არის. ის კონკრეტულ ადამიანებს გულისხმობს. სხვათა შორის, არც სამართალია ცარიელი სიტყვა, ისიც კონკრეტული ადამიანების ბედს წყვეტს. ამიტომაც მოგმართავთ ერთ კონკრეტულ საკითხზე.*

ჩემს წინაშეა ორი დოკუმენტი - სასარჩელო განცხადება თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე და გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ერთის ავტორია მოქალაქე გუშარაშვილი, მეორისა - მოსამართლე ჭაჭუა.

ორივე ეს დოკუმენტი შედგენილია 1998 წელს და გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. უფრო ზუსტად, პატივცემული მოსამართლე ამდგარა და საქართველოს სახელით გამოტანილ თავის გადაწყვეტილებაში სიტყვასიტყვით გადაუწერია გუშარაშვილის განცხადების ტექსტი.

ამით იმის თქმას არ ვაპირებ, რომ ამ ორი ავტორიდან ერთი (მოქალაქე გუშარაშვილი) ნათელმხილველია და მეორე (მოსამართლე ჭაჭუა) - ჭკუანაღრძობი. საქმე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია: საქართველოში ჯერ კიდევ არიან მოსამართლეები, რომლებსაც ერი, ქვეყანა და სამართალი ფეხებზე ჰკიდიათ და, რაც მთავარია, XXI საუკუნის საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს სამართლებრივი სისტემა, რომელიც მოსამართლის ბრიყვული შეცდომის უმტკივნეულოდ გასწორების საშუალებას მოგვცემდა.

არადა, საქმე მართლაც ძალიან მარტივია.

ქალბატონი ნანული გუშარაშვილი სასამართლოს თავისი მეუღლის (რომელთანაც 16 წელიწადია აღარ ცხოვრობს) მამის - ირაკლი ბერიაშვილის და მეუღლის ბებიის ბინაში შესახლებას სთხოვს. არგუმენტებსაც იშველიებს: ერთად ვცხოვრობდით, ერთი საოჯახო მეურნეობა გვქონდა, სხვა თავშესაფარი არ გამაჩნია, ეკონომიკურად ძალიან მიჭირს, ყოფილი ქმრის ოჯახი არასოდეს არაფრით დამხმარებია და ა. შ. მართალია, ცოტას ეშმაკობს კიდეც, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის - მარტოხელა დედას მართლაც უჭირს. გაჭირვება კი, მოგეხსენებათ, კაცს ზოგჯერ ტყუილსაც წამოაცდენინებს.

ამ განცხადების კითხვისას, ეტყობა, გულჩვილმა მოსამართლე ჭაჭუამ, თავმჯდომარე რამიშვილთან ერთად, ბევრი ცრემლი ღვარა და ვერდიქტიც შესაბამისი გამოიტანა:

**"აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ 197-2000 მუხლებით და გადაწყვიტა: სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ნანა გუშარაშვილი თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად შესახლებული იქნას ქ. თბილისში, ზემო ვეძისის ქ. 7, ბ. 51-ში. 22 მაისი, 1998 წ."**

დავიწყოთ იმით, რომ ასეთი მისამართი ბუნებაში არ არსებობს. ამიტომ, როცა სასამართლო ამბობს, მოპასუხეს შევატყობინეთ, მაგრამ არ გამოცხადდა და ამის გამო საქმეც მის დაუსწრებლად განვიხილეო, ეს არის სიცრუე.

არც საქართველოს სამოქალაქო სამართლის და არც სამოქალქო სამართლის საპროცესო კოდექსებში 2000 მუხლი, საერთოდ არ არსებობს. 197-ე მუხლი კი მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს. რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების კი არა, არამედ, ზოგადად, გადაწყვეტილების.

სახლი, რომელშიც ჭაჭუას წყალობით უნდა შესახლდნენ ქალბატონი ნანული და მისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი (რომელსაც მალე 18 წელი შეუსრულდება), 1998 წელს მართლაც ეკუთვნოდა ირაკლი ბერიაშვილს - ნანული გუშარაშვილის ყოფილი მეუღლის, ირაკლი ბერიაშვილის მამას. უფროსი ბერიაშვილი იქ ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს მეუღლესთან, ქალიშვილთან, დედასთან, თავის მეორე ვაჟიშვილთან და მის ოჯახთან ერთად.

ეს ნიშნავს, რომ ქველმოქმედების დაუოკებელი სურვილით შეპყრობილმა ბატონმა ჭაჭუამ მოსარჩელე შეასახლა არა მეუღლის, არამედ მამამთილის, მამამთილის დედისა და სხვათა კუთვნილ სახლში. სხვათა შორის, უმცროს ირაკლი ბერიაშვილს გუშარაშვილამდე და მის შემდეგაც ბინიანი და უბინაო, რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ცოლების მთელი თანავარსკვლავედი ჰყავს.

რაც შეეხება სახლის ახლანდელ მფლობელობას, ის 2007 წლიდან ეკუთვნის არა ირაკლი ბერიაშვილ-უფროსს, არამედ მის მეუღლეს (მეორე ქორწინებიდან), ქალბატონ ნანა ჯოხარიძეს. ანუ 1998 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ქალბატონი გუშარაშვილი უნდა შესახლდეს თავისი ფორმალური ქმრის მამის მეორე ცოლის კუთვნილ ბინაში.

გადაწყვეტილება შესახლებაზე მიღებულია 1998 წელს, ხოლო ოფიციალურ აღსრულებამდე საქმე თერთმეტი წლის შემდეგ მიდის. ოღონდ, ახლა არავინ, არც სასამართლომ, არც აღმასრულებელმა, არც ბერიაშვილებმა, არც გუშარაშვილმა და, მგონი, თვით მამა ღმერთმაც არ იცის, როგორ უნდა გაკეთდეს ეს პრაქტიკულად. გადაწყვეტილებაში ერთადერთი მოკლე ფრაზაა - "შესახლებულ იქნას." ზრდასრული ადამიანი, მოგეხსენებათ, ბეღურა არ არის, ხეზე ბუდე მოიწყოს და დასასვენებლად სარეცხის გასაფენ თოკზე ჩამოჯდეს. სასამართლო გადაწყვეტილებასა და სააღსრულებო ფურცელში ცხოვრების პირობებზე არაფერია ნათქვამი. არც შეიძლება რომ იყოს!

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო სახალხო დამცველო!

რაც აქამდე მოგახსენეთ მოსამართლე ჭაჭუას შესახებ, იავნანაა იმასთან შედარებით, რასაც ახლა ვიტყვი: საქართველოს კანონმდებლობა არც 1998 წელს იცნობდა და არც ახლა იცნობს ისეთ სამართლებრივ ნორმას, გნებავთ, ცნება დავარქვათ, როგორიცაა "შესახლება!" ამიტომაცაა, რომ მოსამართლე თავის გადაწყვეტილებაში სსს კოდექსის მუხლზე საერთოდ არ მიუთითებს. ვიმეორებ, ქართულ სამართალში ცნება "შესახლება" არ არსებობს!

აქედან გამომდინარე, ის, რაც მოსამართლე ჭაჭუამ ჩაიდინა, უვიცობის გარდა, წმინდა წყლის ავანტიურიზმია.

ვითარების ტრაგიკომიკურობას უკიდურესად ამძაფრებს ის ფაქტი, რომ სასამართლოს ბრიყვული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და გაშვებულია მისი გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადები.

ძალიან მეეჭვება, რომ შექმნილი პიკანტური ვითარებიდან ოპტიმალური გამოსავალი იცოდნენ უზენაესი სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს, სამართლის ინსტიტუტის, სხვა პატივცემული დაწესებულებების ტიტულიანმა სპეციალისტებმა და მაღალჩინოსნებმა. ვგულისხმობ, საკითხის ისეთ გადაწყვეტას, როცა არც კანონი დაირღვევა და არც ვინმე დაზარალდება.

*მიხეილ დარახველიძე*

უცხოეთი

# მოსამართლეს ბოროტმოქმედთან ერთად გაასამართლებენ

*როგორც ბრიტანული გამოცემა "დეილი ნიუსი" წერს, 16 წლის მოზარდს მძიმე დანაშაულის ხელმეორედ ჩადენისკენ მოსამართლე ედრიან სმიტმა "უბიძგა".*
*16 წლის ბრიტანელი ბოროტმოქმედის მიერ ჩადენილ დანაშაულებს, სავარაუდოდ, 58 წლის მოსამართლის ედრიან სმიტის კარიერა შეეწირება.*

საქმე ისაა, რომ სკანდალურ გამოძიებაში ჩართული შოტლანდიის პროკურატურა კატეგორიულად მოითხოვს დადგინდეს, თუ რატომ მიუსაჯა 58 წლის კვალიფიციურმა მოსამართლემ სექსუალურ მანიაკს მსუბუქი სასჯელი და იმის ნაცვლად, რომ ბოროტმოქმედი ციხეში ჩაესვა, რატომ მიუსაჯა პირობითი სასჯელი და მას სახლში დაბრუნების უფლება მისცა.

ბოროტმოქმედი არასრულწლოვანისთვის მსუბუქი სასჯელის მისჯის გამო, მოსამართლეს არა მარტო პროკურატურა, არამედ დაზარალებული ბავშვების მშობლები უჩივიან. სამეფო პროკურატურის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, სამართალდამცველები მოსამართლე სმიტის საქმეს გამოიძიებენ.

საქმე ისაა, რომ სმიტის მიერ "შეწყალებულმა" არასრულწლოვანმა გათავისუფლებიდან ცოტა ხანში ახალი დანაშაული ჩაიდინა. ეს საქმეც სწორედ მოსამართლე ედრიან სმიტს უნდა განეხილა, თუმცა, პროკურატურის პროტესტმა გაჭრა და საქმე სხვა მოსამართლეს გადაეცა.

**"თუ არასრულწლოვანი დიდ დანაშაულს ჩაიდენს, პასუხი დიდი ადამიანივით უნდა აგოს,"** - აცხადებს მეორე მსხვერპლის, 6 წლის ბიჭუნას მამა.

**"ჩემი შვილი 6 წლისაა. არ ვიცი, როგორ აისახება მის ცხოვრებაზე ის ფსიქოლოგიური ტრავმა, რაც მან მიიღო. ამ ბოროტმოქმედებაში თავისი წილი დანაშაული მოსამართლესაც აქვს, რომლის მიერ გამოტანილმა მსუბუქმა სასჯელმა ჩემს შვილს, შესაძლოა, მთელი ცხოვრება დაუმახინჯოს,"** - აცხადებს დაზარალებული ბავშვის მამა და მოსამართლის დასჯას კატეგორიულად მოითხოვს.

16 წლის ბრიტანელი ბოროტმოქმედის პირველი მსხვერპლი 7 წლის ბიჭი იყო. **"აღსანიშნავია ისიც, რომ განაჩენი მოსამართლემ მას მერე გამოიტანა, რაც პირველი მსხვერპლის, 7 წლის ბავშვის მამამ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მისი სარწმუნოებიდან გამომდინარე, დამნაშავეს ჩადენილ დანაშაულს პატიობდა,"** - წერს "დეილი ნიუსი".

განაჩენის გამოტანიდან 10 დღის შემდეგ, ბოროტმოქმედმა თავის საცხოვრებელ სახლში კიდევ ერთი მსხვერპლი შეიტყუა. 6 წლის ბიჭი, რომელიც დაკარგულ ბურთს ეძებდა. მშობლებმა, რომლებიც შვილს ეძებდნენ, დაინახეს, რომ მათი შვილი პედოფილის სახლიდან გამოვიდა.

16 წლის პედოფილს არა მხოლოდ ძალადობის, არამედ არასრულწლოვანის გატაცების მუხლითაც გაასამართლებენ.

სამეფო პროკურატურის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მსგავსი მსუბუქი განაჩენები მოსამართლე სმიტს არაერთხელ გამოუტანია. პროკურატურის ინფორმაციით, 2007 წელს მან 42 წლის მოძალადე ფილიპ ტილსტოუნს, მსუბუქი განაჩენი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პროკურატურის ინფორმაციითვე, 36 წლის შანტაჟისტ და გამომძალველ ჯონ კილს, რომელმაც თაღლითობით რამდენიმე მილიონიამი ქონება დააგროვა, მოსამართლე ედრიან სმიტმა მხოლოდ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

და ბოლოს, მოსამართლე სმიტმა, ბრიტანელ ცოლ-ქმარს, რომლებმაც სასიკვდილოდ სცემეს 48 წლის სტივენ ხიუსი, რის შემდეგაც ამ უკანასკნელს რამდენიმე ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, 15-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ანალოგიური ფაქტები, არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, არამედ რუსეთის ფედერაციაში, უფრო მძიმე გარემოებაშიც დაფიქსირებულა. 2008 წლის ბოლოს კრასნოიარსკში 13 წლის გოგონა მამინაცვლისგან დაფეხმძიმდა. მოსამართლემ მამას პირობითი სასჯელი მიუსაჯა, რომელსაც ბოროტმოქმედი სახლში ცოლთან და გერთან თანაცხოვრებისას იხდიდა. 48 წლის მშენებელს კი, რომელიც ძალადობას ახორციელებდა საკუთარ გერზე, მხოლოდ წელიწადნახევრიანი შინა პატიმრობა მიუსაჯეს.

### ვახტანგ მაისაიას სასამართლო პროცესი დახურულ რეჟიმში წარიმართება

ჯაშუშობაში ბრალდებულ სამხედრო ექსპერტ ვახტანგ მაისაიას სასამართლო პროცესი დახურულ რეჟიმში წარიმართება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ვახტანგ მაისაიას საქმის არსებითი განხილვა გუშინ დაიწყო.

როგორც სასამართლოში განმარტავენ, სასამართლო პროცესის დახურვა დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებთან, რომელიც საქმის განხილვის დროს იქნება წარმოდგენილი.

ვახტანგ მაისაიას რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ედება ბრალი. ის 2009 წლის 5 მაისს დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**

### ადმინისტრაციული მართლმსაჯულების 10 წელი საქართველოში

სასტუმრო "რედისონში" ადმინისტრაციული მართლმსაჯულების 10 წლისთავთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა.

კონფერენციას საქართველოს უზენაესი სასამართლო და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) მასპინძლობს. მასში საქართველოს, გერმანიის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას.

კონფერენცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში პატრიცია ფლორმა გახსნეს.

კონფერენციის ფარგლებში განიხილეს საქართველოში 10 წლის განმავლობაში განხორციელებული ადმინისტრაციული სამართლისა და სასამართლო რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპები და შედეგები, ასევე კონფერენციის ფარგლებში გაიმართა დისკუსია, სადაც ქართველ მომხსენებლებთან ერთად რეფორმის ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე უცხოელმა მომხსენებლებმაც ისაუბრეს.

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა, საქართველოში ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას 10 წელი შეუსრულდა. 1999 წელს მიიღეს ადმინისტრაციული საპროცესო და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსები.

"ამით მოქალაქეებს უფლება მიეცათ, სასამართლოში გაასაჩივრონ ადმინისტრაციული დოკუმენტები და მათი ქმედებები. ადმინისტრაციული მართლმსაჯულება სამართლებრივი სახელმწიფოს გასაღებს წარმოადგენს. ამით იღება მოქალაქეებისთვის აღმასრულებელი ხელისუფლების კარი" ,- განაცხადა კუბლაშვილმა და განმარტა, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სასამართლოებში სულ უფრო მეტი ადმინისტრაციული საქმე იხილება. მათი რაოდენობა ბოლო წლებში 10 000-სს აღწევს. საქმეთა 60 პროცენტი კერძო კომპანიების და მოქალაქეების მოგებით სრულდება. კოტე კუბლაშვილმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების ხარვეზებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2005 და 2007 წლებში ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში სერიოზული ცვლილებები შევიდა, რითაც ხარვეზები გამოსწორდა. ამასთან, მომზადებულია ახალი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელიც პარლამენტის მხარდაჭერის შემთხვევაში, შესაძლოა, ერთ წელში ამოქმედდეს. **საკუთარი ინფორმაცია**

### მსჯავრდებულთა შვებულებებში გასვლის პროცესში საზოგადოება ერთვება

მსჯავრდებულთა შვებულებებში გასვლის პროცესში საზოგადოება ერთვება. კერძო კომპანია "მეგაფუდი" პირველია, რომელიც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივას გამოეხმაურა და N3 დაწესებულების მსჯავრდებულს თავდებში დაუდგა.

მსჯავრდებული, რომელიც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის იხდის სასჯელს, 3 დღის განმავლობაში ოჯახთან ერთად იცხოვრებს, რის შემდეგაც დაწესებულებაში დაბრუნდება.

მსჯავრდებულის მხრიდან შვებულების პირობის დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა, 10 ათასლარიანი ჯარიმა კომპანია "მეგაფუდ"-ს დაეკისრება.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ "მეგაფუდის" მაგალითს სხვა კომპანიები და საზოგადოების წარმომადგენლებიც მიბაძავენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ინდმეწარმე დააკავეს

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის - სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დამზადება-გამოყენების ფაქტზე ინდივიდუალური მეწარმე უშანგი მაკარაძე დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, მაკარაძემ ფიქტიურად მიაწოდა შპს "არქმშენდიზაინს" 12 ათასი ლარის ღირებულების საქონელი, რის სანაცვლოდაც მას ანგარიშ-ფაქტურაში დაფიქსირებული თანხის 5 პროცენტი გადაეცა. სახელმწიფო ბიუჯეტმა კი მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიიღო.

წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან შვიდ წლამდე. **ინტერპრესნიუსი**

## პრეზიდენტობის მხოლოდ ერთი კანდიდატი მოლდოვაში

18 სექტემბერს ამოიწურა მოლდოვის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დოკუმენტების შეტანის ვადა. საარჩევნო მარათონში მონაწილეობის სურვილი, მმართველი კოალიციის წევრის, "დემოკრატიული პარტიის" ლიდერ მარიან ლუპუს გარდა, არავის გამოუთქვამს. ამის შესახებ პარლამენტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ იონ პლეშკამ განაცხადა.

ლუპუს კანდიდატურას პარლამენტის 26-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. თავიდან იონ პლეშკამ განაცხადა, რომ მხოლოდ ერთი კანდიდატის არსებობის მიუხედავად, არჩევნები დათქმულ დღეს - 23 ოქტომბერს ჩატარდებოდა, რაც, მისი აზრით, კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა. მაგრამ შემდეგ მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. "კომუნისტები" უალტერნატივო არჩევნებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. მათი მტკიცებით, კონსტიტუციაში არსებული ფრაზა "ვერც ერთი კანდიდატი" გულისხმობს, რომ ქვეყნის ლიდერი კონკურენციის პირობებში უნდა აირჩიონ, თუმცა თვითონ კანდიდატურა არ წარუდგენიათ.

მოგვიანებით პარლამენტის საპრეზიდენტო არჩევნების კომისიის თავმჯდომარემ იონ პლეშკამ პოზიცია შეიცვალა, საერთაშორისო გამოცდილება მოიშველია, საარჩევნო პროცესის გაგრძელება თავის თავზე არ აიღო და განაცხადა, რომ უალტერნატივო არჩევნებს არ ჩაატარებს. მან გადაწყვიტა, მოხსენებით მიმართოს პარლამენტის პლენარულ სხდომას და შემდეგ კი ხმის უმრავლესობით მიღებული დადგენილების შესაბამისად იმოქმედოს. მან არ გამორიცხა, რომ არჩევნების სხვა თარიღი დაინიშნება და შესაბამისად სხვა კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება კვლავ მიეცემათ. მაგრამ მმართველი ბლოკის - "ალიანსი ევროპული ინტეგრაციისთვის" ერთ-ერთმა ლიდერმა დიმიტრი დიაკოვმა განაცხადა, რომ "არც კონსტიტუცია, არც სხვა კანონები არ განსაზღვრავს, თუ რამდენი კანდიდატი უნდა იყოს დასახელებული. ჩვენ წარვადგინეთ კანდიდატურა და საჭიროდ არ მივიჩნევთ სხვა [ალტერნატიული] კანდიდატურის დასახელებას."

მოლდოვის ყოფილ პრეზიდენტს, "კომუნისტ" ვლადიმერ ვორონინს უკვე ეკავა ქვეყნის ლიდერის პოსტი ორი ვადით. მას უფლებამოსილება 2009 წლის გაზაფხულზე ამოეწურა, თუმცე იმის გამო, რომ აპრილში არჩეულმა პარლამენტმა ქვეყნის მეთაურის არჩევა ვერ შეძლო, ვორონინი პრეზიდენტის მოვალეობას ამ დრომდე ასრულებდა.

იმისათვის, რომ პრეზიდენტის არჩევა ამჯერად მაინც მოხერხდეს, კანდიდატმა 61 დეპუტატის ხმა უნდა მიიღოს. თუმცა ახალ საპარლამენტო კოალიციას ამისთვის საკმარისი მანდატები არ გააჩნია. "კომუნისტებმა" გადაწყვეტეს, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადონ და საკუთარი კანდიდატი სწორედ ამიტომ არ წამოაყენეს. ისინი ამ მეთოდით, როგორც ჩანს, თვით პროცესის ჩიხში შეყვანას ცდილობენ.

კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის ამ შემადგენლობას ორჯერ შეუძლია სცადოს პრეზიდენტის არჩევა, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება.

თუ მმართველ კოალიციას თუნდ "საიდუმლოდ გადაბირებულმა" "კომპარტიის" რვა დეპუტატმა მაინც არ დაუჭირა მხარი, მაშინ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მმართველი კოალიცია ერთ კანდიდატს დაასახელებს თუ ორს, მათ 53 ხმა პრეზიდენტის ასარჩევად არ ეყოფათ (61 ხმა სჭირდებათ). ამიტომ შეიძლება არც ნერვიულობენ და ამ არჩევნებს უყურებენ როგორც აუცილებელ პროცედურებს იანვარში ახალი საპარლამენტო არჩევნების დასანიშნად. თორემ უბრალო უმრავლესობა აქვთ და არჩევნებს ფორმალურად მაინც ჩაატარებენ.

## არჩევნების ცინიკური გაყალბება რუსეთში

მოსკოვის საქალაქო სათათბიროს საარჩევნო კომისიის საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, უბანზე, სადაც "იაბლოკოს" ლიდერმა სერგეი მიტროხინმა მისცა ხმა, პარტია "იაბლოკოს" არც ერთი ხმა არ მიუღია და, ამავე დროს, არც ერთი ბიულეტენი არ ყოფილა გაფუჭებული.

1020 ბიულეტენის მიხედვით, 904 ხმა პარტია "ედინაია როსიამ" მიიღო, 87 ხმა "კომუნიტურმა პარტიამ", ხოლო 29 - პარტიამ "სამართლიანმა რუსეთმა."

მიტროხინი, რომელმაც მოქალაქეობრივი ვალი თავის ოჯახთან ერთად სწორედ 192-ე უბანზე მოიხადა, აცხადებს, რომ საუბნო კომისიის წევრებს მისი, როგორც ადამიანის და როგორც მოქალქის იგნორირება სურთ. მიტროხინმა ისიც დაამატა, რომ "იაბლკო" აუცილებლად მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს და მათ იმ დამნაშავეთა დასჯას მოსთხოვს, რომლებიც არჩევნების ფალსიფიცირებას ცდილობენ. მიტროხინის სიტყვებით, უბანზე, სადაც ქვეყნის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა მისცა ხმა, "იაბლოკომ" ამომრჩეველთა 18 პროცენტის მხარდაჭერა მოიპოვა. "ბუნებრივია იქ შედეგების ფალსიფიცირება ვერავინ გაბედა," - აცხადებს "იაბლოკოს" ლიდერი. მისივე თქმით, "ეტყობა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, ჩემთვის ეჩვენებინათ, რომ მე არ ვარსებობ არც როგორც ამომრჩეველი და არც როგორც მოქალაქე". მიტროხინის შეფასებით, "იაბლოკოს" ხმების, დაახლოებით, ორი მესამედი "ჩამოაჭრეს" და მმართველ "ერთიან რუსეთს" გადასცეს". პარტია არჩევნების შედეგებს აფასებს არა როგორც დამარცხებას, არამედ როგორც ხმების მოპარვას და იბრძოლებს ხელახალი არჩევნების დასანიშნად.

არჩევნების გაყალბების მსგავს სურათზე ისაუბრა გაზეთ "რუსკი ნიუსუიკის" ჟურნალისტმა მარია ჟელეზნოვამ, რომელიც ერთ-ერთ საუბნო კომისიაში მუშაობდა. მან თავის სტატიაში სხვადასხვა დარღვევები აღწერა, მათ შორის იყო მოსახსნელი ძირის მქონე საარჩევნო ურნა და "შეკვრის" სახით ჩაყრილი ბიულეტენები, რომლებშიც მმართველი პარტიისთვის იყო ხმა მიცემული და თან ერთნაირი მონიშვნებით. როდესაც ხმის დათვლისას ჟურნალისტმა ამაზე საჩივარი დაწერა, ის საქმეს ჩამოაშორეს. იმ უბანზე საიტზე გამოქვეყნებული მონაცემები პრინციპულად განსხვავდებოდა დათვლისას არსებული მონაცემებისგან. ამომრჩეველთა რაოდენობა უცვლელი იყო, "ედინაია როსიას" 160 ხმა ჰქონდა მიმატებული. არ იყვნენ დაზარალებული "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია" და "პატრიოტები", "კომპარტიას" ჩამოკლებული ჰქონდა 101 ხმა, ხოლო "იაბლოკოს" ჩამოაკლეს 42 ხმა მიღებული 52-იდან (ანუ წაართვეს 80 პროცენტზე მეტი).

გუშინ მოსკოვის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვალენტინ გორბუნოვმა განაცხადა, რომ პროკურატურას მიმართა სამი უბნის შედეგების შემოწმების მოთხოვნით, რომელთაგანაც მას ოქმების დამოწმებული ასლები არ მიუღია. მათ შორის არის სკანდალურად ცნობილი მიტროხინის უბანიც. ამის შემდეგ ალბათ ამ კონკრეტულ საკითხს "გაარკვევენ", მაგრამ არჩევნების შედეგებზე ეს რაიმე სერიოზულ გავლენას, ცხადია, ვერ მოახდენს.

ჩვენი აზრით, შეუძლებელია ეს ყველაფერი შემთხვევით მომხდარიყო და საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობას და ქვეყნის ხელისუფლებასაც არ სცოდნოდა, თუ სად აძლევდა ხმას მიტროხინი. "იაბლოკოს" ლიდერის მიერ გაკეთებული კომენტარი, როგორც ჩანს, კარგად ასახავს რეალობას. ეს არის ოპოზიციისადმი რუსეთის ხელისუფლების ცინიკური განაცხადი - "საკანონმდებლო ორგანოებში არ შეგიშვებთ, მათ შორის არც ადგილობრივ დონეზე!"

*მოამზადეს მარიკა იაშვილმა და ივა შილაკაძემ*

# ჰამიდ ყარზაიმ "არჩევნებზე 50 პროცენტი ვერ მიიღო"

მარიკა იაშვილი



ჰამიდ ყარზაიმ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ვერ გაიმარჯვა. ამის შესახებ ინფორმაციას დასავლური მასმედია ავრცელებს. მათთვის ცნობილი გახდა, რომ ავღანეთის პრეზიდენტმა, რომელიც მეორე ვადით იყრიდა კენჭს, ხმათა 50 პროცენტი ვერ მოაგროვა.

არჩევნების წინასწარი მონაცემებით, ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა ამომრჩეველთა 50 პროცენტი + 1 მხარდაჭერა ადვილად მოიპოვა, რაც, ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად, ლიდერის პოსტის დასაკავებლად სრულიად საკმარისი იყო. თუმცა ოფიციალურ პირთა განცხადებით, ავღანეთის საჩივართა შემსწავლელ საარჩევნო კომისიაში შესულ საჩივრებზე დაყრდნობით დაასკვნეს, რომ ყარზაიმ საჭირო ხმები ვერ მოიპოვა.

იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცემები დადასტურდება, არჩევნების მეორე ტური უნდა ჩატარდეს, სადაც ყარზაის თავის მთავარ კონკურენტ აბდულა აბდულასთან ხელახლა მოუხდება დაპირისპირება.

ყარზაი თავის გამარჯვებაზე არჩევნების ჩატარებიდან მალევე ალაპარაკდა, თუმცა ევროკავშირის დამკვირვებელთა განცხადებით, მის მიერ მიღებულ ხმათა თითქმის მეოთხედი სერიოზულ ეჭვს იწვევს.

ცოტა ხნის წინ ამერიკის მთავრობამ ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ ავღანეთში დამატებით სამხედრო ძალებს იმ დრომდე არ გაგზავნის, სანამ არჩევნების საბოლოო შედეგები არ გახდება ცნობილი და ამ მხრივ ვითარება არ დარეგულირდება.

არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების შემსწავლელმა კომისიამ გაერო-ს მხარდაჭერით ფუნქციონირება მას შემდეგ დაიწყო, რაც მასობრივი დარღვევის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა.

კომისია თავისი მუშაობის შედეგებს დამოუკიდებელ საარჩევნო კომისიას გადასცემს, რის შემდეგაც კენჭისყრის საბოლოო შედეგები გახდება ცნობილი. დამოუკიდებელი საარჩევნო კომისია ყარზაის მხარდამჭერ ორგანოდ მიიჩნევა, თუმცა მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსთა განცხადებით, ის კანონის მიხედვით ვალდებულია, საჩივრების შემსწავლელი კომისიის დასკვნები გაითვალისწინოს.

გავრცლებული ინფორამციით, ჰამიდ ყარზაი არჩევნების მეორე ტურის შესაძლო ჩატარების გამო ძალზე უკმაყოფილოა. ის მიიჩნევს, რომ გამარჯვება მოპარეს და არ არის გამორიცხული, მეორე ტურის ჩაშლა სცადოს.

უკვე რამდენიმე დღეა, დასავლელი დიპლომატები უშედეგოდ ცდილობენ, ყარზაი მეორე ტურის აუცილებლობაში დაარწმუნონ. მთელ მსოფლიოს იმედი ჰქონდა, რომ არჩევნები ავღანეთს სტაბილურობას მოუტანდა, თუმცა საწინააღმდეგო რამ მოხდა და ახლა ქვეყანაში დამატებითი პოლიტიკური დაძაბულობა და გაურკვევლობა გაჩნდა.

# ირანთან ბირთვული მოლაპარაკებები განახლდა

ივა შილაკაძე



გუშინ ავსტრიის დედაქალაქ ვენაში "მაგატეს" (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო) შტაბ-ბინაში დახურულ კარს მიღმა განახლდა მოლაპარაკებები, ერთი მხრივ, ირანსა და, მეორე მხრივ, რუსეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს შორის ირანის ურანის მარაგის უცხოეთში გამდიდრების შესახებ. ეს "ტექნიკური" მოლაპარაკებები თვის დასაწყისში ჟენევაში, ირანისა და "ექვსეულის" (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი და გერმანია) შეხვედრაზე დაიგეგმა, როდესაც ირანი პრინციპულად დათანხმდა თავისი ურანის უცხოეთში გამდიდრებას (ამაზე დაწვრილებით წერდა "24 საათი").

ირანს გამდიდრებული ურანის მარაგი მხოლოდ წელიწადნახევარს ეყოფა იმ რეაქტორისთვის, რომელშიც სამედიცინო მიზნებისთვის იზოტოპები მზადდება. "ექვსეული" ირანს შემდეგ სქემას სთავაზობს: ის ურანი, რომელიც ისლამურ რესპუბლიკას ნატანზის გამამდიდრებელ ქარხანაში 3,5 პროცენტამდე აქვს გამდიდრებული, გადასცეს რუსეთს - საჭირო 19,75 პროცენტამდე მისაყვანად. შემდეგ ეს ურანი გადავა საფრანგეთში, სადაც მისგან ამერიკული ტექნოლოგით დამზადდება საწვავი საბოლოო სახით. ირანს 116 კგ სუფთა საწვავი სჭირდება. ამისთვის 1200 კგ ნაწილობრივ გამდიდრებული ურანია საჭირო, რაც მას დღეს უკვე აქვს. უკიდურეს შემთხვევაში, ირანს ურანის გამდიდრება თვითონაც შეუძლია და მოლაპარაკებებზე ეს მისი კოზირი იქნება, ოღონდ დასავლეთს ირანის კონტროლი ზემოთქმული სქემით უფრო გაუადვილდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ ორივე მხრიდან შეთავაზებული იქნება მყარი გარანტიები და რეალური ფასი, შეთანხმების მიღწევა არ გართულდება. დასავლეთის ქვეყნების დელეგაციები საკმაოდ მაღალი რანგის ჩინოვნიკებით არიან წარმოდგენილები (აშშ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის დონეზე), რაც ირანისთვის იმის მაჩვენეელი უნდა იყოს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ობამას ადმინისტრაცია ამ საკითხს.

**გუშინ გაჩნდა ახალი ინფორმაცია ირანის სისტან-ბელუჯისტანის პროვინციაში მომხდარი ტერაქტის შესახებ, რომელსაც ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მაღალჩინოსნები და ადგილობრივი თემების უხუცესები შეეწირნენ. თუ გუშინ ირანის ხელისუფლება ამაში დასავლეთის სპეცსამსახურების, კერძოდ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელს ხედავდა, დღეს მთავარი დამნაშავე უკვე პაკისტანის სპეცსამსახურები და რეგიონში მოქმედი სუნიტური ტერორისტული ორგანიზაცია "ჯუნდალა" გახდნენ. ამ ტერაქტის მსხვერპლთა რიცხვიც გაიზარდა, გუშინ 29 კაცი სახელდებოდა, დღეს უკვე 35 დაღუპულის შესახებ ვრცელდება ცნობები. როგორც ჩანს, მძიმედ დაჭრილებიდან ზოგი გარდაიცვალა. როგორც ინგლისისა და ამერიკის, ასევე პაკისტანის ოფიციალურმა პირებმა ამ აფეთქებაში თავიანთი მონაწილეობა გამორიცხეს და ტერაქტი დაგმეს. ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ხელმძღვანელობა მკაცრი პასუხის გაცემას აპირებს და იმუქრება, რომ სისტან-ბელუჯისტანის პროვინციას ტერორისტებისგან მთლიანად გაწმენდს.**

# რევიუ



AFP © 2009

თითქმის მზად არის. რამდენიმე შტრიხი და არნოლდ შვარცნეგერის კოლექციას ვლადიმერ პუტინიც შეუერთდება. ძალიან ლოგიკური და დროული შეხვედრა იქნება, აღნიშნული კოლექცია საბჭოთა ბელადებს, უკლებლივ ყველას აერთიანებს. კალიფორნიის გუბერნატორი წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირისა და რუსეთის მმართველების ბიუსტებს აგროვებს. პუტინის სკულპტურული პორტრეტის ავტორი პეტერბურგელი მოქანდაკე ალექსანდრე ჩერნოშჩეკოვია.

## ა-ნა და ან’ნა

თამარ კიკნაველიძე

რატომ ასეთი სათაური? იმიტომ, რომ ეს სახელი რუსთაველის თეატრის სცენიდან, ორი დღის განმავლობაში, ისეთი ინტენსივობით მესმოდა, რომ სხვადასხვა ტემბრით წარმოთქმული "ანა" ამეკვიატა. მათზე გაკეთებული აქცენტის მიზეზს კი ქვემოთ მოგახსენებთ.

### ბრავო, ა-ნა!

ა-ნა - აი, ასე ეძახის ზაზა პაპუაშვილის გმირი, ბიდერმანი, მოახლეს, რომელსაც რობერტ სტურუას ახალ სპექტაკლში, სახელწოდებით "ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი", ია სუხიტაშვილი განასახიერებს. ეს ბრავო მას ეკუთვნის. ის ყველაზე დასამახსოვრებელი იყო, გამოირჩეოდა პლასტიკითა და მეტყველებით, გმირის ხასიათის გახსნითა და წარმოჩენით. მსახიობი მთელი სპექტაკლის განმავლობაში მუშაობს, მაშინაც კი, როდესაც სცენის სიღრმეში, მაყურებლისგან მოშორებით, ცეცხლისწამკიდებლის მიერ მოკლულ მტრედს ასაფლავებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ანას გმირი სპექტაკლში გაცილებით აქცენტირებული, გამოკვეთილი და დამუშავებულია,



ვიდრე პიესაში. ასე რომ, ბრავო ია! მან ძალისხმევა არ დაიშურა იმისათვის, რომ სპექტაკლში, რომელიც დაუმთავრებელისა და დაუმუშავებელის შთაბეჭდილებას ტოვებს, საკუთარი გმირი წარმოეჩინა. ამაში, ალბათ, კოსტუმი, ვარცხნილობა და ცხვირზე მორგებული სათვალეც დაეხმარა... თუმცა, მხატვრობასა და სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზე ქვემოთ დავწერ.

პიესა ვახსენე და შეუძლებელია არ აღინიშნოს მაქს ფრიშის ნაწარმოებისადმი რობერტ სტურუას დამოკიდებულება. მან რუსთაველის თეატრის 131-ე სეზონის გახსნამდე ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სპექტაკლიდან ბევრი სცენა ამოვიღე, რადგანაც ისინი დამუშავებას საჭიროებდნენო... დრო არ ეყო? რამ შეუშალა ხელი? რას შეცვლიდა, ან დაამატებდა? ამ კითხვებზე პასუხი საინტერესოა, მაგრამ ველარ გამოასწორებს იმას, რაც დაიდგა.

რეჟისორმა უარი თქვა სცენაზე, რომელიც ჯოჯოხეთში თამაშდება და პიესის აზრს გამოხატავს: ბიდერმანსა და ბაბეტას ჯოჯოხეთიდან უშვებენ, რადგანაც იქ აღარავინაა, ყველა სამოთხეშია.

გაგრძელება A11 გვერდზე

## ეროვნულ არქივი კოლექცია ირანში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ძველ საბუთთა განყოფილების განყოფილების წარმომადგენლები თეირანში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში "კავკასიის უძველესი ისტორია" მონაწილეობენ. ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სპარსული საბუთების გამოფენა.

კონფერენცია თავრიზის უნივერსიტეტში 20-21 ოქტომბერს გაიმართება და კავკასიისა და ირანის ისტორიული, პოლიტიკური, კულტურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობების საკითხებს შეეხება. ღონისძიების ორგანიზატორები არიან: ირანის კულტურის ინსტიტუტი და თავრიზის უნივერსიტეტი.

საქართველოს ეროვნული არქივი კონფერენციაზე წარდგება მოხსენებით: "ეროვნულ არქივში დაცული სპარსული საბუთების წარმომავლობის, შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ კავკასიის ხალხთა ისტორიაში".

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სპარსული საბუთების გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება: შაჰ-თამაზ I-ის, შაჰ-აბას I-ის, შაჰ-სეფი I-ის, შაჰ-აბას II-ის, შაჰ-სულეიმან I-ის, შაჰ-სულთან ჰუსეინის, ნადირ-შაჰის, ქერიმ-ხანის, აღა-მაჰმად ხანის, ფათალი-შაჰის, აბას მირზას ფირმანების, ოქმებისა და არზების, სულ 36 დოკუმენტის ფოტოასლი.

სპარსული საბუთების მასალად გამოყენებულია აღმოსავლური წარმოშობის ქაღალდი, აგრეთვე, ნარინჯისფერი და ყვითელი ქაღალდი ოქროს ვარაყით. დოკუმენტების უმრავლესობა მოხატულია ლურჯი, წითელი და მწვანე ფერის ორნამენტებით.

ეროვნულ არქივში დაცული სპარსული საბუთების კოლექცია შედგება 1237 დოკუმენტისგან, რომელიც მოიცავს: შაჰის ფირმანებს (ბრძანებებს), ოქმებს, ნასყიდობის წიგნებს, წერილებს, სავაჭრო გარიგებათა ხელწერილებს, არზებს შაჰის ან საქართველოს მეფის რეზოლუციებით. **24 საათი**

## გაეროს პროექტი "ბაია გალერეაში"

საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფი ყოველწლიურად აწყობს გაეროს კვირეულს (17-24 ოქტომბერი) სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესა და გაეროს დღესთან დაკავშირებით. უკვე ტრადიციად იქცა სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა გაეროს კვირეულის ფარგლებში.

გაეროს კვირეულის ფარგლებში, საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფი გვიწვევს ფოტოგამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართველი და უცხოელი ფოტოგრაფების მიერ გადაღებული საქართველოში გაეროს მუშაობის ამსახველი ფოტოები.

გამოფენა გაიხსნება **"ბაია გალერეა"**-ში 22 ოქტომბერს, 17 საათზე და გაგრძელდება 31 ოქტომბრის ჩათვლით. მისამართი შარდენის ქ.N10. **24 საათი**

## მაიკლ ჯექსონის This Is It

მაიკლ ჯექსონის ოფიციალურ საიტზე მის მიერ გამოუცემელი სიმღერა This Is It განთავსდა და მაშინვე რამდენიმე რადიოსადგურის ეთერშიც დაატრიალეს. პოპ მუსიკის მეფის თაყვანისმცემლებს შესაძლებლობა ექნებათ ახალი სიმღერის ალბომი 26 ოქტომბრიდან შეიძინონ. This Is It-ში ჯექსონთან ერთად მისი ძმები მღერიან, თუმცა ამ დროისათვის უცნობია როდის გაკეთდა ბექ-ვოკალის ჩაწერა ჯექსონის სიცოცხლეში თუ მისი გარდაცვალების შემდეგ. ახალი სიმღერა ჯექსონისადმი მიძღვნილი ფილმშიც გაჟღერდება, სადაც ასახულია მისი მზადება ლოდონში გასამართი კონცერტებისთვის. თავად სიმღერის მსოფლიო პრემიერა 28 ოქტომბერს გაიმართება. **24 საათი**

## ART - ექსპერიმენტები თუმანიშვილის თეატრში

დღეს 19 საათზე გაიმართება საღამო, სადაც წარმოდგენილი იქნება იურა მეჩითოვის ფოტოები, რომელიც გადაღებულია პარიზში 1991 წელს და ჯერ არასდროს უხილავს ფართო აუდიტორიას. ეს ყველაფერი ნაჩვენები იქნება ფოტო სლაიდის სახით, რის შემდეგაც მაყურებლის წინაშე წარსდგება ლევან ცერცვაძე, პოეტური ჯგუფი "ვარდისფერი ავტობუსის" ერთ-ერთი წევრი, რომელიც ჩაატარებს პოეზიის საღამოს და წაიკითხავს "ეროტიკულ ლექსებს". საღამოს გახსნის მუსიკალური დუეტი, რამაზ ხატიაშვილის და პავლე ხობშონოსოვის შემადგენლობით. ისინი რამდენიმე ცნობილ მუსიკალურ კომპოზიციას შეასრულებენ. ბილეთის ფასი 2 ლარი. **24 საათი**

# სამი ტენორის მოლოდინში

### ერთი თხოვნა - უბრალოდ გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

სოფო კილასონია



"სამი ტენორი" - Facebook-ი და ყველა "ნეტი" ერთბაშად აჭრელდა, ბევრი აღელდა - მესამე, მესამე ვინ არისო? - ამ შეკითხვა-კომენტარებით მივხვდი, რომ საზოგადოების უკვე ძალიან დიდი ნაწილი ტელევიზორებთან აღარ ზის, თორემ ეცოდინებოდათ, რომ არც დომინგო და არც კარერასი თბილისისკენ არ მოიჩქარის. თბილისისთვის სულ სხვა ტრიო შედგა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ოპერის მოყვარულთათვის ეს კონცერტი ამის გამო უინტერესოა. კარერასის ხმა თბილისში უკვე გაისმა, პლასიდოს ჯერ კიდევ ველით, მაგრამ სანამ ფონდი "იავნანა" ამ ბედნიერებას გვარგუნებს, მანამდე მოგვიწოდებს, რომ დღეს საღამოს ფილარმონიაში მივიდეთ, არაჩვეულებრივი კონცერტი მოვისმინოთ და კიდევ ერთხელ ვიგრძნოთ და გავიაზროთ თითოეული ჩვენთაგანის ქველმოქმედების მნიშვნელობა. თუნდაც მცირედით...

კონცერტი, რომელსაც ერთობ ლეგენდარული სახელი უწოდეს - "სამი ტენორი", დღეს საღამოს პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის "იავნანა" ორგანიზებით დიდ საკონერტო დარბაზში გაიმართება. ის რაც ჩვენთვის საოპერო მუსიკის საღამოა, ორგანიზატორთათვის თუ მონაწილეთათვის უპირველესად საქველომოქმედო აქციაა.

მაყურებლის წინაშე ნიუ იორკის "მეტროპოლიტენ ოპერის", "ლა სკალასა" და ლონდონის "კოვენტ გარდენის" იტალიელი სოლისტები - მარკო ბერტი და პიერო ჯულიაჩი ცნობილ ქართველ მომღერალთან, ბადრი მაისურაძესთან ერთად წარსდგებიან. შესრულდება ქართველი მაყურებლისათვის ცნობილი და საყვარელი ნაწარმოებები, პროგრამაში შესულია ნეაპოლიტანური სიმღერებიც. სავარაუდოდ პროგრამა "მსუბუქი" იქნება და ფართო საზოგადოებას მოხიბლავს.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრს ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს. საქველმოქმედო კონცერტი ტელემარათონის ფორმით წარიმართება, აქციაში მონაწილეობა ტელემაყურებელსაც შეეძლება, ნომერი 30-30 ქველმოქმედების მსურველი ყველა ადამიანისთვის ჩართული იქნება. ფონდი "იავნანა" უკვე ერთი წელია ყოველთვიურად ეხმარება აგვისტოს ომის შედეგად დაობლებულ 123 ბავშვს. 20 ოქტომბრის აქციით შემოსული თანხა აღნიშნული პროექტის გაგრძელებას მოხმარდება.

**მარკო ბერტი** თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ აღიარებულ იტალიელ ტენორად არის მიჩნეული. მარკოს კარიერა "ლა სკალაში" დაიწყო, სადაც მან მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ წარმოდგენებში - "ლუსია დი ლამერმური", "ბეატრიჩე დი ტენდა", "ბოჰემა", "რონდინი" და "მაკბეტი". მსოფლიო აღიარება მოიპოვა მაკდუფის პარტიის შესრულებით 1999 წლის ედინბურგის ფესტივალზე განხორციელებულ დადგმაში, რასაც მოჰყვა გამოსვლები მსოფლიოს საუკეთესო თეატრებში - "კოვენტ გარდენი", ჰიუსტონის "გრანდ ოპერა", ბარსელონასა და ვერონას თეატრები, სეზონის გახსნა ნიუ იორკის "მეტროპოლიტენ ოპერაში" და სხვა.

ნიუ იორკში გამართულ პუჩინის ფონდის კონკურსზე გამარჯვების შემდეგ, **პიერო ჯულიაჩისთვის** მსოფლიოს ყველა საოპერო თეატრის კარი გაიღო. "ბოჰემაში", "ტოსკისა" და "ტურანდოტში" განსახიერებული როლებისათვის, ის ვერდის ნაწარმოებების ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს. "არენა დე ვერონაში" მან მონაწილეობა მიიღო ძეფირელის "ტრავიატაში", რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ამ დადგმას 25 000 მაყურებელი დაესწრო.

ალბათ აქვე, ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობისთვის, ყველასათვის კარგად ნაცნობი და აღიარებული ქართველი მომღერლის ბადრი მაისურაძის ბიოგრაფიასაც უნდა გადავხედოთ. 1989 წელს ბადრი მაისურაძემ დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (პროფესორ გოჩა ბეჟუაშვილის კლასი). მისი დებიუტი შედგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლში "მინდია", სადაც მან მთავარი პარტია შეასრულა. 1994 წელს ბარსელონასა და შვედეთში გამართულ ვოკალისთა კონკურსებზე ბადრი მაისურაძე 2 მთავარი პრიზის მფლობელი გახდა, რასაც მოჰყვა მისი წარმატებული საერთაშორისო კარიერა. ბადრი მაისურაძე მღერის მსოფლიოს უდიდეს საოპერო თეატრებში - მადრიდის სამეფო თეატრი, ბერლინის "დოიჩე ოპერა", ვენის სახელმწიფო თეატრი, მოსკოვის დიდი თეატრი და სხვა.

დღეისთვის დაგეგმილი კონცერტის, როგორც პროექტის რადიოპარტნიორია ფორტუნა Fm- 106,9. სამი ტელეკომპანია - პირველი სტერეო, მზე, საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია, აქციას პირდაპირი ეთერით გადასცემს

გუშინ პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე გაიხსნეს ყველა ის ღონისძიება, რომელიც აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული ოჯახებისა და დაობლებული ბავშვების დასახმარებლად განახორციელეს. ჩამოსათვლელი ბევრი ჰქონდათ,თუნდაც ჩატარებული აქციები და კონცერტები. ამ აქციების შედეგები ასეთია: ყოველთვიური დახმარება დაენიშნა ომის დროს დაობლებულ 123 ბავშვს, 4 ოჯახისთვის შეძენილი იქნა საკუთარი სახლი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 7 წლის დიტო რაზმაძე ფონდ "იავნანას" შვილობილი გახდა. დიტო რაზმაძემ გორის დაბომბვისას დაკარგა ფეხმძიმე დედა და მამა, მას "იავნანამ" ბინა შეუძინა და ვალდებულება აიღო 18 წლამდე გაუწიოს მეურვეობა.

გუშინ საღამოს მასმედიის ყველა თუ არა, ყოველი მეორე წარმომადგენელი პაატა ბურჭულაძისგან მხოლოდ ერთ საკითხთან დაკავშირებით ითხოვდა კომენტარს, - ბურჭულაძის მონაწილეობით გამართული კონცერტი მოსკოვში. ჟურნალისტების ინტერესსა და შეკითხვებს ქართველი ბანი მოკლედ და ლაკონურად გამოეხმაურა. იმღერებს ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ბავშვების დახმარებაზე იქნება საუბარი. დაბოლოს, ქართულ საზოგადოებას ერთი რამ სთხოვა - უბრალოდ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

# ახალი გამოცემები პატარებისთვის

ელფის გამომცემლობამ პატარა მკითხველს ორი ახალი გამოცემა მოუმზადა: "ჩემი პირველი ლექსიკონი" და "ჩემი პირველი ატლასი". ორივე გამოცემა უკვე გაყიდვაშია და წარმატებითაც სარგებლობს.

"ჩემი პირველი ლექსიკონი" სახალისო ილუსტრაციებით დამშვენებული ლექსიკონია, რომელიც პატარებს გარე სამყაროს უკეთ გაცნობაში, ლექსიკის მარაგის მარტივი გზით გამდიდრებასა და სწავლისადმი ინტერესის გაღვივებაში შეუწყობს ხელს. ლექსიკის შერჩევისა და განმარტებისას გათვალისწინებულია ბავშვის ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი. ბავშვები ხალისით დაათვალიერებენ ლექსიკონის ნახატებს და შეეცდებიან, გაითავისონ სიტყვების მნიშვნელობა, რითაც საფუძველი ჩაეყრება წიგნთან მუშაობის კულტურას. გარდა ამისა, ლექსიკონი დიდ როლს შეასრულებს ბავშვის ლექსიკონთან მუშაობის თვისებების ჩამოყალიბებაში. თითოეულ ასოზე განმარტებულია ექვსი სიტყვა, რასაც ერთვის საბავშვო მხატვრის, ლუდმილა ჩერნოვას მხიარული და ფერადი ილუსტრაციები. სიტყვათა განმარტებები შედგენილია მარტივად და ბავშვისთვის გასაგები ენით. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვის ყურადღება თანდათან ნახატიდან ტექსტზე გადავა. პირველკლასელები კი, რომელთათვისაც ყველა ნახატი ნაცნობია, სიტყვების მნიშვნელობასა და კითხვაზე გაამახვილებენ ყურადღებას.




წიგნი ბავშვებს სიტყვებისა და მათი მნიშვნელობის უკეთ დამახსოვრებაში დაეხმარება. აქვეა ანბანი, რიცხვები და გეომეტრიული ფორმები. წიგნს დართული აქვს ქართული ანბანი ილუსტრაციებით, რომელიც შეგვიძლია ამოვჭრათ და ბავშვს კედელზე გავუკრათ.

"ჩემი პირველი ატლასი" სწორედ ის წიგნია, რომლის დახმარებითაც ბავშვები საქართველოს ყველა კუთხეში იმოგზაურებენ, გაეცნობიან თვითოეულის კუთხის ტრადიციებს, დაათვალიერებენ ისტორიულ ძეგლებს, შეისწავლიან ქვეყნის ფლორას, ფაუნასა და ხალხურ საკრავებს. დარწმუნდებიან, რომ ისინი მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს ქვეყანაში - საქართველოში ცხოვრობენ. წიგნს ბოლოში დართული აქვს ნახატები: ქართული ხალხური საკრავები, საქართველოს გარეული ცხოველები, გარეული ფრინველები, მწერები, ხეები, ბუჩქები და ქვეწარმავლები. წიგნს ასევე ერთვის ამოსაჭრელი პლაკატი - საქართველოს რუკა საბავშვო ილუსტრაციებით.

# ა-ნა და ან'ნა

A9 გვერდიდან



სპექტაკლში კი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ როგორ ხდება ცოლ-ქმარი საკუთარი სახლის გადაწვის თანამონაწილე. ამ დროს საინტერესოა ერთი სცენა, სადაც სტურუამ საკუთარი პოზიცია ნათლად გამოხატა და კითხვას, რატომ მონაწილეობენ ბიდერმანები ბოროტმოქმედებაში, ასეთი პასუხი მოუძებნა: იმიტომ, რომ მათ არ უნდათ სიკვდილი, ეშინიათ ჯოჯოხეთის და იმის, რაც შეიძლება მოხდეს. აი, ასე პასუხობს რეჟისორი შეკითხვას, რომელიც დრამატურგმა დაგვისვა იმისათვის, რომ გვეფიქრა - რატომ წარმოიშვა ფაშიზმი ისეთი კულტურული ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც გერმანიაა და რატომ ვერ ეწინააღმდეგებიან ბიდერმანები მოძალადეებს...

პიესაში აქცენტირებულია პერსონაჟთა სოციალური უთანასწორობა, მაგალითად: ცეცხლისწამკიდებლებისთვის გამართულ სადილზე ბიდერმანი (ზაზა პაპუაშვილი) ანას უბრძანებს, რომ მაგიდიდან აიღოს ყველაფერი, რაც "ზედმეტია" (ვერცხლი, ბროილი, ხელსახოცები), რათა "სტუმრებმა" თავი ისე იგრძნონ, როგორც საკუთარ სახლში. ეს თემა სპექტაკლში გამოკვეთილი არ არის.

პიესის შეკვეცამ პერსონაჟთა ნაკლებობაც განსაზღვრა. წარმოდგენაში ვერ ნახავთ პროფესორს, რომელიც თემიკო ჭიჭინაძეს უნდა განესახიერებინა - ეს როლი რეჟისორმა ბოლო მომენტში ამოიღო, ასევე, ექიმს, რომელთანაც ბაბეტა (ნინო კასრაძე) მხოლოდ ტელეფონზე საუბრობს, მაიმუნს, ფიგურას, ველზევულს... რამ გადააწყვეტინა სტურუას მისი დადგმა? ალბათ, სათქმელმა, მისი გამოხატვის სურვილმა და არა ნაწარმოების გაცოცხლებამ. თუმცა, რეჟისორის მიერ ინტერპრეტირებული ნამუშევრებისგან განსხვავებით, ეს სპექტაკლი მხატვრული თვალსაზრისით სუსტი აღმოჩნდა.

მაქს ფრიშმა დამრიგებლური პიესა მორალის გარეშე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწერა. მისი განხორციელების პარალელურად, ჩვენი ინტერესი სტურუა-მესხიშვილი-ყანჩელის ტანდემმაც გამოიწვია. ამაზე კომპოზიტორმა გვითხრა, რომ სპექტაკლზე სამუშაოდ დრო გამოვინთავისუფლე, რეპეტიციებს ბ-ნ რობერტთან ერთად ვესწრებოდი და ახალი მუსიკა შევქმენიო... თუმცა, წარმოდგენის მსვლელობისას მოვუსმინეთ თემებს, რომლებიც ცნობილია და პერიოდულად გვხვდება სპექტაკლებში: "შობის მეთორმეტე ღამე", "დარისპანის გასაჭირი" და ა.შ. არ მინდა დავიჯერო, რომ კომპოზიტორმა მთელი ძალისხმევა ქოროს "ამღერებასა" და მის გავარჯიშებას მოანდომა... სიახლის თვალსაზრისით არც გოგი ალექსი-მესხიშვილის სცენოგრაფია გამოირჩეოდა. მისი ხელწერა შესამჩნევი იყო, მაგრამ არა განსხვავებული: ფერადი, მოძრავი ვერტიკალები და სიბრტყე, რომელზეც ჭრელ კოსტუმებში გამოწყობილნი მოქმედებენ. სცენის შუაგულში მოქცეული პანო, აკრობატების გამოსახულებით, სივრცეს ორ ნაწილად ყოფს და ეფარება ბატუტს, რომელსაც, როგორც ვიცი, სპექტაკლზე მუშაობის დასაწყისში მეტი დატვირთვა ჰქონდა. ახლა მას განწყობის შესაქმნელად უფრო იყენებენ, ვიდრე დანიშნულებისამებრ და პანოს ყოველი აწევ-დაწევისას მაყურებელს უნელდება ილუზია იმისა, რომ იქ, სცენის შუაგულში, რაღაც მოხდება.

მოქმედება რთულად ვითარდება დასაწყისში, რომელიც გაწელილია. არ ჩანს ჟანრი და არც პერსონაჟთა ხასიათი იკითხება. ქორო, რომელმაც მოსახლეობის სიმშვიდესა და დაცვაზე უნდა იზრუნოს, უსუსური უფროა, ვიდრე ირონიზირებული. სპექტაკლის დასრულების შემდეგ ბევრს გაუჩნდა კითხვა - რატომ? მხოლოდ იმის სათქმელად, რომ გვირჩევნია თავი მოვიტყუოთ, ვიდრე სიმართლე გავაცნობიეროთ და გავიბრძოლოთ იმის წინააღმდეგ, რაც საკუთარ სახლსაც კი გადაგვაწვევინებს? პირადად ჩემთვის ის საინტერესო აღმოჩნდა იმიტომ, რომ დავინახე ორი თაობა და მათი შესაძლებლობები, დავაკვირდი იმათ, რომლებმაც უნდა შეცვალონ ძველი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი და დაუვიწყარი, მაგრამ წარმავალი. ამ მიმართულებით სასიხარულოა იამზე სუხიტაშვილის წარმატება, რასაც ვერ ვიტყვი ბესო ზანგურზე, რომელსაც კარგი ფაქტურა აქვს, მაგრამ აკლია დამაჯერებლობა. მისი ჟესტები, მიმიკა და მეტყველების მანერა ერთი სპექტაკლიდან მეორეში გადადის. განმეორების, თუ განსახიერებულის ტყვეობაში ყოფნის პრობლემა მხოლოდ ამ მსახიობის შემოქმედებისთვის არ არის დამახასიათებელი. იგივე რუსთაველის თეატრის წამყვან არტისტზე, ზაზა პაპუაშვილზეც შეიძლება ითქვას. მისი საშემსრულებლო მანერა ასოციაციებს ბადებს პერსონაჟებთან, რომლებითაც თავი დაგვამახსოვრა. ყანჩელის მუსიკის, ან მესხიშვილის სცენოგრაფიის არ იყოს, სტურუას დადგმებში ისიც ხშირად მეორდება და მონატრებული გმირების გახსენების საშუალებას გვაძლევს... როგორია ზაზა ბიდერმანში? სპექტაკლის II ნახევარში უკეთესი და უფრო საინტერესო, ვიდრე დასაწყისში. ეს ნაწილი დადგმაში ცუდად არის დამუშავებული და შესაძლებელია, მსახიობთა ერთფეროვნებაც ამის ბრალია. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლში მონაწილეთა შესაძლებლობები მაქსიმალურად არ არის გამოვლენილი, ზაზა პაპუაშვილისა და ნინო კასრაძის რამდენიმე სცენა, მაგალითად: სასადილო მაგიდაზე, საინტერესოა. მათი გმირების ხასიათი იკვეთება მაშინ, როდესაც მოქმედება განვითარებას იწყებს და პერსონაჟები, ცეცხლის წამკიდებლებთან ერთად, საკუთარი სახლის გადაწვის გეგმას განიხილავენ. პიესაში ნინო კასრაძის გმირი, ბაბეტა, გულით ავადმყოფია, სპექტაკლში კი სნეულის არაფერი ეტყობა და არშიყსაც ასწრებს, თანაც შმიტცთან. თუმცა, ეშინია მარიოსი, რომელსაც დავით დარჩია განასახიერებს და კიდევ, ქ-ნი კრესტლინგის. ეს უკანასკნელი სცენაზე იშვიათად ჩნდება, მაგრამ დარეჯან ხარშილაძე მას დამაჯერებლად განასახიერებს.

რა არის ის, რაც ყველას დაამახსოვრდა? ბიდერმანის მიერ რამდენჯერმე გამეორებული ფრაზა - "ცეცხლის წამკიდებელი რომ იყოს, იტყოდა?" და სახელი - ა-ნა, რომლის შემსრულებელმაც მოწონება დაიმსახურა.

## გამეორება ცოდნის დედაა?

რაც შეეხება ან'ნას, ის მთავარი გმირია სპექტაკლში, სახელწოდებით "ანა კარენინა", რომელიც რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში განახორციელა. ამაზე მოკლედ ვიტყვი, რადგანაც ეს დადგმა რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სცენაზეც წარმოადგინა და ბევრს ნანახი აქვს. მართალია, შეიცვალნენ მსახიობები, მაგრამ უცვლელი დარჩა რეჟისურა და ხერხი, რომელიც სიხარულიძემ ნაწარმოების მხატვრული გადაწყვეტისას გამოიყენა.

სიუჟეტი ფილმის გადასაღებ მოედანზე ვითარდება. თუმცა, რეჟისორის როლის შემსრულებელი დავით გაჩეჩილაძე მოქმედებას წამოძახილით "გადაღებულია" მაშინ წყვეტს, როდესაც რაღაც უნდა მოხდეს, ან განვითარდეს. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ხერხი გამოიყენეს იმისათვის, რომ საქმე არ გაირთულონ და ცალკეულ სცენებად შემოგვთავაზონ ის, რისი განხორციელებაც ძალისხმევასა და ოსტატობას მოითხოვს, როგორც შემსრულებლებისგან, ასევე რეჟისორისგან. ამ უკანასკნელის არჩევანი გამართლებულია მაშინ, როდესაც სათქმელი არ ეწირება ფორმას, ხერხს, რომელიც შემსრულებლებს უხერხულობას უქმნის. აქ ყველაზე საინტერესო მომენტები წყდება, ან "ვითარდება" იქ, სადაც მაყურებლის თვალი ვერ აღწევს, კერძოდ: რკინის მასიური დეკორაციის მიღმა, სცენაზე დარჩენილი მსახიობები კი ემოციებს "იზოგავენ" წამოძახილამდე "გადაღებულია".

რომანიდან აღებული 33 სცენა სამ მოქმედებაშია გადანაწილებული და 4 საათი გრძელდება. დროის დიდი ნაწილი მიაქვს შემსრულებელთა კიბეებზე სიარულს და მუსიკალურ გაფორმებას, რომელიც რეჟისორს ეკუთვნის. დინამიურს პაუზებით სავსე სცენები ენაცვლება. მათ მსახიობთა ნაწილი თვალს პარტერიდან ადევნებს. პირველი რიგის გარდა, მოქმედება, სცენის პარალელურად, ლოჟებშიც ვითარდება და მონაწილეები დარბაზიდანაც შემოდიან.

კარგია, რომ თეატრი სავსეა ახალგაზრდა მსახიობებით. თუმცა, მათი შესაძლებლობების წარმოჩენა აქ ვერ მოხერხდა. გამონაკლისია კიტის როლის შემსრულებელი ნინო ჭოლაძე, რომელმაც დამაჯერებლად გაითამაშა სცენა, სადაც ვრონსკის (გიორგი ზანგური) მიერ გამოვლენილი გულგრილობით იტანჯება და დოლის (დალი ბასილაძე) მკლავებში მოთქვამს.

რატომ დადგა რეჟისორმა იგივე? რატომ მიუბრუნდა იმას, რაც უკვე განახორციელა? ეს საკითხი ქართულ თეატრში აქტუალურია და ამაზე გაზეთ "24 საათში" არაერთხელ დაიწერა. ასეთი გადაწყვეტა ყველაზე დიდ სირთულეს უქმნის მთავარ პერსონაჟს, რომლის სახელსაც სპექტაკლში ხშირად გაიგონებთ. ან'ნა - აი, ასე ეძახიან გმირს, რომელსაც ენდი ძიძავა განასახიერებს. მას მოძრაობაში ხელს უშლის კოსტუმი (კოსტუმების მხატვარი - თეო კუხიანიძე), აფერხებს რიტმი, რომელსაც ხან ანა კარენინას ემოციები უნდა შეუსაბამოს, ხანაც გადასაღებ მოედანზე დარჩენილი მსახიობის. მისი სიყვარულის ამბავი ნაკლებად დამაჯერებელი და ხელოვნურია, ისევე როგორც ვრონსკის მიერ წარმოთქმული "ან'ნა" და ანას პასუხი "გამატარეთ"...

რატომ მიუბრუნდა რეჟისორი ტოლსტოის "ანა კარენინას"? რატომ აღმოჩნდა ის მისთვის აქტუალური მას შემდეგ, რაც ერთხელ უკვე განახორციელა? ამ კითხვებს რეჟისორი ასე პასუხობს: "ეს არ არის მხოლოდ XIX საუკუნის რუსეთის პრობლემა. ტოლსტოიმ კონკრეტული დრო და სივრცე აიღო, მასალა კი იმდენად გენიალურია, რომ ის აბსოლუტურად საყოველთაოა და მას ეროვნება არა აქვს. მიმაჩნია, რომ დღეს, როგორც არასდროს, ხელოვანი უნდა დაინტერესდეს ადამიანით, მისი ბედით, შინაგანი სამყაროს ამოცნობით, რადგან სწორედ ადამიანია სამყაროს ყველა პრობლემის საწყისი და ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გამოსავალი. ჩემი თვალით ამოკითხული და დანახული ამბავი პოეტური სიყვარულის ნიმუშია, რომელმაც საუბედუროდ, ვერ გაუძლო საზოგადოების ზეწოლას და თავისი სიწმინდისა და მგზნებარების მიუხედავად, ამ საზოგადოების განსჯის მსხვერპლი გახდა. აი, ეს არის ჩემთვის მთავარი".

## ქართველების SHOWCASE

აღსანიშნავია, რომ ორივე ზემოთნახსენები სპექტაკლი წარმოდგენილი იყო თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ Georgian Showcase - ში. როგორც წესი, მსგავსი ჩვენებები ეწყობა იმისათვის, რომ სათანადოდ წარმოჩინდეს ეროვნული პროდუქცია, რომელმაც უცხოელები უნდა დააინტერესოს. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, ქართული სპექტაკლები არასწორად იყო შერჩეული. ასეთ ფესტივალებზეც კი უცხოელებს ჩააქვთ ის, რაც მათი ქვეყნის, ან შემოქმედებითი გაერთიანების "სავიზიტო ბარათია" და მაყურებელს სთავაზობენ წარმოდგენებს, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ წარმატებით განახორციელეს. ქართველებმა კი დავახვედრეთ პრემიერები, რომლებიც პირველად ჩვენც მათთან ერთად ვნახეთ. რობერტ სტურუას სპექტაკლის გარდა, ასეთი თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრში რეჟისორ დავით დოიაშვილის მიერ დადგმული "მაკბეტიც" აღმოჩნდა... ამ საკითხზე თუ ფესტივალის ორგანიზატორებმა იფიქრეს, მაგრამ უკეთესი, თუნდაც წინა წლებში განხორციელებული, მაგრამ რეპერტუარში შემორჩენილი, ვერაფერი ნახეს, ეს უკვე იმის მანიშნებელია, რომ არ გვაქვს პროდუქცია, რომელსაც ყველგან ვაჩვენებთ. საფესტივალო სამზადისი კი უპირველესად იმას გულისხმობს, რომ შევქმნათ ისეთი, როგორიც ქართული თეატრისადმი ინტერესს გამოიწვევს.



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იუწყება , რომ თავისი წესდების 47-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პოეტ-აკადემიკოსობის კანდიდატად წამოყენებულია ცნობილი პოეტი **მუხრან მაჭავარიანი**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე რვა ლოტად.**

**ლოტი №1 – პერსონალური კომპიუტერი 50 ცალი;**

**ლოტი №2 – სერვერი 1 ცალი;**

**ლოტი №3 – პერსონალური კომპიუტერი 1 ცალი;**

**ლოტი №4 – მრავალფუნქციური პრინტერი 47 ცალი;**

**ლოტი №5 – პორტატული კომპიუტერი 1 ცალი;**

**ლოტი №6 – პორტატული კომპიუტერი 1 ცალი;**

**ლოტი №7 – "პლოტერი" 1 ცალი;**

**ლოტი №8 – სერვერის კვების წყარო 1 კომპლექტი.**

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს გრაფიკის შესაბამისად:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | რაოდენობა | მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს |
|---|---|---|---|
| **ლოტი №1** | **პერსონალური კომპიუტერი** | **50 ცალი** | **20 დღისა** |
| **ლოტი №2** | **სერვერი** | **1 ცალი** | |
| **ლოტი №3** | **პერსონალური კომპიუტერი** | **1 ცალი** | |
| **ლოტი №4** | **მრავალფუნქციური პრინტერი** | **47 ცალი** | |
| **ლოტი №5** | **პორტატული კომპიუტერი** | **1 ცალი** | |
| **ლოტი №6** | **პორტატული კომპიუტერი** | **1 ცალი** | |
| **ლოტი №7** | **"პლოტერი"** | **1 ცალი** | |
| **ლოტი №8** | **სერვერის კვების წყარო** | **1 კომპლექტი** | |

2. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტით, ორ ეგზემპლარად (*ორიგინალი და ასლი*) უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 10 ნოემბრის** **<u>12 საათიდან - 15 საათამდე</u>** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი .№6. ოთახი №13.

3. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **<u>2009 წლის</u> 10 ნოემბერს <u>15 საათზე</u>** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არსებობს საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა.

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ

ე) ცნობას საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (იურიდიული პირის შემთხვევაში).

ვ) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

***ზ)*** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ***<u>1%-იანი საბანკო გარანტია</u>***:

5. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-4 პუნქტში
მითითებული ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და ასევე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

6. მე-4 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დათარიღებული უნდა იყოს განცხადების გამოქვეყნების დღის შემდეგი რიცხვით;

7. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

8. სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი არ განიხილება

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ ***<u>2009 წლის 20 ოქტომბრის 10 საათიდან 2009 წლის 9 ნოემბრის 18 საათამდე,</u>*** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი .№6.

10. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს შეუძლია მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

11. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

13. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ანგარიშის №200122900, დანიშნულების კოდი: 300773174, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ს/კ: 205142200.

14. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი .№6. ლევან ჯანგულაშვილი ტელ: 895-67-44-71; გერონტი ფრუიძე 899-38-14-06

***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სატენდერო კომისია***



## დიდი წარმატება, სწორი არჩევანით იწყება!

შპს "ინტელექტ ცენტრი" ერთ-ერთი მრავალპროფილიანი სასწავლო ცენტრია საქართველოში, სადაც თავმოყრილნი არიან ერთ გუნდად შეკრული პროფესიონალთა მთელი ჯგუფი.

შპს "ინტელექტ ცენტრის" ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც პროფესიულ ზრდაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ან ახალი სპეციალობის შეძენაში ესაჭიროებათ ისეთი აუცილებელი სპეციალობების დაუფლება, რომლებიც ჩვენს სასწავლო ცენტრში ისწავლება და რაზეც დღეისათვის ნებისმიერ ინტელექტუალურ სამსახურში, (ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო სექტორი,) მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს.

ჩვენი მსმენელები არიან არა მხოლოდ ფიზიკური პირები, არამედ ჩვენთან ახალ სპეციალობას იძენენ, ან კვალიფიკაციას იმაღლებენ სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლები.

ინტელექტ ცენტრის" კურსდამთავრებულები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სპეციალობით, სადაც სრულყოფილად იყენებენ ჩვენთან მიღებულ ცოდნას.

გთავაზობთ სასწავლო პროგრამებს:

1. კომპიუტერული პროგრამების სრული პაკეტი-როგორც დამწყებთათვის ასევე სხვადასხვა სპეციალისტად მოსამზადებელი კურსები
2. საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია - საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.
3. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები - (oris, super-fin, info)
4. ინგლისური ენა - საკომუნიკაციო, ბიზნეს და სპეციალიზირებული სასერტიფიკატო კურსები ( FCE ; PRE TOEFL; TOEFL; IELTS; GRE; )
5. ბიზნეს ადმინისტრირება -(მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, სამეწარმეო სამართალი, საგადასახადო საქმე, ფსიქოლოგიური ტრენინგი)
6. მენეჯერული მართვა და აღრიცხვა - მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამა
7. ფინანსური მენეჯმენტი
8. საგადასახადო საქმე
9. სპეციალური ცხრათვიანი კომპლექსური კურსები
10. ბიზნეს ფსიქოლოგიური ტრენინგები - (გაყიდვების ფსიქოლოგია, მარკეტინგის ფსიქოლოგია და პროექტის მენეჯმენტი)
11. უნარ-ჩვევების მოსამზადებელი კურსები

კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

სწავლის ღირებულების გადახდა შესაძლებელია, როგორც ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, აგრეთვე გადარიცხვით.

შპს "ინტელექტ ცენტრი" აგრეთვე გთავაზობთ

ბუღალტრულ, საგადასახადო, ფსიქოლოგიურ, ბიზნეს კონსულტაციებს

და სრულ კომპიუტერულ სერვისს.

ჩვენთან არსებული ვებ სტუდია დაგიმზადებთ პროფესიონალურ ვებ გვერდებს, შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისთვის საჭირო სპეციალურ პროგრამას და მონაცემთა ბაზას.

დაინტერესების შემთხვევაში იხილეთ ჩვენი ვებ გვერდი www.intelc.ge

მის: კარგარეთელის ქ. N9, მე-2 სართ. ალმაშენებლის 133-ის კუთხეში

ტელ: 958112; 958113; 893618212;

www.intelc.ge

e-mail:intellectcenter@yahoo.com

ნინო მღებრიშვილი - სასწავლო ცენტრის მენეჯერი

# სპორტი

## დიდი რუსეთის პატარა ქართველი რეკორდსმენი

ჩაიარა მორიგმა საფეხბურთო უქმეებმა და ისევ ქართულ საფეხბურთო ლეგიონზე გვიწევს საუბარი. ტრადიცია დავარღვიოთ და საქართველოს საზღვრებს გარეთ მოთამაშე ფეხბურთელების ავკარგიანობის მიმოხილვა, საუკეთესო ხუთეულის ქვეყნების ნაცვლად, რუსეთით დავიწყოთ, რადგან რუსულ პრემიერლიგაში ჩვენთვის მართლაც მნიშვნელოვანი რამ მოხდა.

"სპარტაკის" ქართველი ვუნდერკინდი ჯანო ანანიძე რუსეთის ფეხბურთის ისტორიაში შევიდა. მოსკოვური დერბის 41-ე წუთზე ჯანომ "ლოკომოტივის" კარში გაიტანა გოლი და ამ მომენტისთვის იგი 17 წლისა და 8 დღის გახლდათ. ასე რომ, ანანიძემ რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა. ახლა სწორედ ის არის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვისაც ოდესმე რუსეთის პირველობაზე გოლი გაუტანია. სპარტაკელთა მესამე გოლი სწორედ ქართველის ზუსტი გადაცემით გავიდა. საბოლოოდ "სპარტაკმა" "ლოკომოტივი" 3:0 დაამარცხა.




"სახალხო გუნდის" რიგებში ჯანომ მთელი 90 წუთი ითამაშა. ასევე ბოლომდე ითამაშა რკინიგზელთა ქართველმა ლიდერმა მალხაზ ასათიანმა, დავით მუჯირი კი "ლოკომოტივის" განაცხადში ვერ მოხვდა.

ანანიძე თითქმის ყველა რუსულმა გამოცემამ ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. მატჩის შემდეგ ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელის შექება არავის დაზარებია.

"ანანიძემ ის გააკეთა, რაც შეუძლია. მას რომ ასეთ მაღალ დონეზე თამაში შეეძლო, ჩვენ ისედაც ვიცოდით. ჯანო "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში ხშირად არ ჩნდება. ასე რომ, მისთვის "ლოკომოტივთან" მატჩი საუკეთესო იყო", - აღნიშნა "სპარტაკის" თავკაცმა ვალერი კარპინმა.

თანამემამულის გარჯას გამოეხმაურა მალხაზ ასათიანი, რომელმაც "სპარტაკის" გამარჯვებას დამსახურებული უწოდა, ანანიძის თამაშზე კი აღმატებით ხარისხში ისაუბრა.

"ვიცოდით, რომ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველოდა და ფსიქოლოგიურად კარგად მოვემზადეთ, თუმცა, არაფერი გამოგვივიდა. უამრავი შეცდომა დავუშვით და მეტოქემ შანსი გამოიყენა. ანანიძემ ჩინებული მატჩი ჩაატარა. თამაშის შემდეგ მივულოცე კიდეც".

"გაზეტა რუსთვის" მიცემულ ინტერვიუში "სპარტაკის" ბრაზილიელი ლიდერი ალექსიც ჯანოზე საუბრობდა: "უნიჭიერესი ბიჭია. დღეს მშვენივრად ითამაშა. მასთან ერთად მოედანზე ყოფნა სიამოვნებას მანიჭებს. ჯანო ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებს მაგონებს. ძალიან ჭკვიანია, ბრწყინვალედ ხედავს მინდორს. სულ მალე დამსახურებულად გახდება ჩვენი გუნდის ლიდერი".

რუსეთის ჩემპიონატში მხოლოდ ერთმა ქართველმა როდი იზეიმა გოლი. ალექსანდრე ამისულაშვილის, გოგიტა გოგუასა და დავით სირაძის "სპარტაკ-ნალჩიკი" ჩემპიონობისთვის მებრძოლ მოსკოვის "ცსკას" დაუხვდა და ამისულაშვილის გოლის წყალობით არმიელებს ქულაც აართვა.

26-ე წუთზე, როდესაც მასპინძლები უკვე მარცხდებოდნენ, სტანდარტული მდგომარეობის შესრულების დროს მეტოქის საჯარიმოში მყოფმა ამისულაშვილმა გაიტანა გოლი, რომელმაც მის გუნდს მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა. ამისულაშვილის გარდა, ნალჩიკელთა განაცხადში სირაძეც მოხვდა, მაგრამ მას მოედანზე შესვლის საშუალება არ მისცემია.

რუსეთის ჩემპიონატის ლიდერობას ინარჩუნებს ყაზანის "რუბინი", რომელშიც ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე და დავით კვირკველია ირიცხებიან. ყაზანელებმა ბოლო ადგილზე მყოფ "ხიმკის" უმასპინძლეს და მინიმალური სხვაობით - 2:1 გაიმარჯვეს.

ქართველთაგან მოედანზე გამოჩნდა მხოლოდ კვირკველია, რომელმაც მატჩი სრულად ჩაატარა.

ლევან გვაზავას გარეშე მოთამაშე გროზნოს "ტერეკი" "როსტოვთან" 1:3 დამარცხდა.

გერმანულ ბუნდესლიგაში გამართულ მორიგ ტურში ორმა ქართველმა ითამაშა. "შტუტგარტისა" და "შალკეს" მატჩში მაგათს ყენია ძირითადში არ დაუყენებია, თუმცა ყენია მოედანზე მაინც შევიდა. როდესაც მაგათმა ქართველი სათამაშოდ შეუშვა, "შალკე" თამაშს 1:0 იგებდა. თუმცა მალე მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს. გელზენკირხენელებმა გამარჯვების გოლი სწორედ ლევანის წყალობით გაიტანეს. ყენიამ საგოლე კომბინაცია ფლანგზე წამოიწყო, რაფინიას გადააწოდა, ამ უკანასკნელმა კი კურანი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე და "შალკემ" მოიგო. რაც შეეხება ლევან კობიაშვილს, ის მინდორზე არ გამოჩენილა.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა დავით თარგამაძის "ფრაიბურგი". გერმანული ფეხბურთის გრანდ "ბაიერნთან" ჭიდილში "ფრაი" ვერაფერს გახდა და თამაში 1:2 დათმო. ყენიას მსგავსად, 30-ნომრიანი მაისურით მოთამაშე თარგამაძე მოედანზე იმ დროს შევიდა, როდესაც მისი გუნდი 0:2 მარცხდებოდა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის მე-9 ტურში მათე ღვინიანიძის გარეშე გაიმარჯვა "მიუნხენ 1860"-მა. ბავარიელებმა "ალიანს არენაზე" "დუისბურგს" 3:1 სძლიეს. ქართველი მცველი სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა. ფრედ - 1:1 დასრულდა ოთარ ხიზანეიშვილის "აუგსბურგისა" და ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუეს" დაპირისპირება. ხიზანეიშვილი მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა, კაპიტნის სამკლაურით მოთამაშე იაშვილი კი 89-ე წუთზე შეცვალეს.

ინგლისური პრემიერლიგის საგზურისთვის მებრძოლმა ზურაბ ხიზანიშვილის "ნიუკასლმა" "ნოტინგემ ფორესტთან" გასვლითი მატჩი 0:1 დათმო. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა და მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. "ნიუკასლს" 12 ტურში 24 ქულა შერჩა და პირველ ადგილზე აღზევებულ "ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" ბურთების სხვაობით ჩამორჩება.

ქართველი მეკარის გიორგი მაკარიძის გარეშე ჩაიარა საფრანგეთის ჩემპიონატის მეცხრე ტურმა. "ლე მანის" მთავარმა მწვრთნელმა რებელო დუარტემ ჩვენებური "ბულონთან" მატჩის განაცხადში არ შეიყვანა, თამაში კი 1:1 დასრულდა.

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში ქართველები მინდორზე არ გამოჩენილან. კახა კალაძის "მილანმა" რონალდინიოსა და პატოს გოლების წყალობით "რომა" დაამარცხა, ლევან მჭედლიძის "პალერმო" კი გასვლით მატჩში "ლივორნოსთან" მინიმალური ანგარიშით - 0:1 დამარცხდა.

ავსტრიის ჩემპიონატის დასკვნით ტურში ილია კანდელაკის "შტურმმა" ვენის "რაპიდს" უმასპინძლა და პირველობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ კონკურენტს 1:0 სძლია.

ქართველმა მცველმა ტრადიციულად შეუცვლელად ითამაშა, გრაცელები კი 20 ქულით მესამე ადგილზე დამკვიდრდნენ. "შტურმი" ლიდერებს - "ზალცბურგსა" და "აუსტრიას" 3 ქულით ჩამორჩება, თუმცა, მათზე მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

ჩეხეთის გამბრინუსლიგაში პრალის "სლავიასთან" საშინაო მატჩში 0:2 დამარცხდა დიმიტრი ტატანაშვილის "კლადნო". ქართველი თავდამსხმელი მინდორზე მე-60 წუთზე გამოჩნდა.

ბოლოს კი - უკრაინის პირველობაზე. ვასილ გიგიაძის წყალობით სიმფეროპოლის "ტავრიამ" ქულა გადაარჩინა კიევის "არსენალთან" მატჩში, რომელიც 2:2 დასრულდა.

გიგიაძემ მე-60 წუთზე გაიტანა გოლი და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ქართველი ფორვარდი შეუცვლელად გაისარჯა. ალექსანდრე კობახიძის "კრივბასმა" "ზარიას" უმასპინძლა და, თითო ტაიმში გატანილი ორ-ორი გოლის წყალობით, მეტოქე 4:0 გაანადგურა. კობახიძემ მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და შეუცვლელად ითამაშა.

ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" სტუმრად 3:1 გაიმარჯვა დნეპროპეტროვსკის "დნიპრომ", რომლის რიგებში კანკავა და გოცირიძე ირიცხებიან, მაგრამ გასულ მატჩში არც ერთი მათგანი განაცხადში არ ყოფილა.

"მეტალურგის" რიგებში, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, მეორე ტაიმში გამოჩნდა ირაკლი მოდებაძე. ზაპოროჟიელები 7 ქულით მე-14 პოზიციაზე დარჩნენ.



დავით კოვზირიძის სვეტი

## როგორ არ უნდა იცხოვრო

მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრებმა უკვე მეორედ წააგო 2:6 "ლევსკიზე" ბულგარელებთან, დაიწყო კამათი იმაზე, ჩაუშვეს თუ არა ეს თამაში ფეხბურთელებმა. ამაზე წინა ბულგარული მარაზმის შემდეგაც იყო ლაპარაკი. ამაზე ყოველთვის არის ლაპარაკი. თუმცა გავა კიდევ რამდენიმე დღე, ისტორია ყველას დაავიწყდება და ახალ ციკლს იმედით შევხვდებით. მერე იმედს ისევ ეჭვები და სირცხვილი შეცვლის, სირცხვილს - იმედი და ვიქნებით ასე მუშტაიდის მატარებელივით.

ამიტომ ერთხელ და საბოლოოდ უნდა გავარკვიოთ, რა სჭირთ ქართველ ფეხბურთელებს და პასუხი მოვთხოვოთ. ამის გაკეთება ბევრნაირად შეიძლება, თუმცა უკეთესი იქნება, თუ პროცესს მედია წამოიწყებს. წამოიწყებს და ნამდვილ ქომაგებთან ერთად ბოლომდე მიიყვანს, ანუ გადაჭრის ქართული ფეხბურთის უზარმაზარ პრობლემას. იმიტომ რომ, თუ ფეხბურთელი პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს, ესე იგი, ის არაა პროფესიონალი სპორტსმენი.

პროფესიონალი სპორტსმენი არის ის, ვინც შეკრებაზე ჩამოდის, ემორჩილება მწვრთნელის ყველა მოთხოვნას, უსმენს მის ყველა შენიშვნას, იცავს დისციპლინას, თამაშზე აკეთებს ყველაფერს, რაც შეუძლია და ხანდახან - რაც არ შეუძლია, მერე ბრუნდება მუდმივ სამსახურში, კლუბში და იქაც ასე აგრძელებს.

კლაუს ტოპმიოლერი გაოგნებული იყო, როცა ნაკრების ნახევარმა სადილზე ხორცი არ მიირთვა, ვმარხულობთო! როგორ შეიძლება ასეთმა ფეხბურთელმა წინააღმდეგობა გაუწიოს ლუკა ტონის? ზოგს საერთოდ ეზარება ნაკრების შეკრებაზე ჩასვლა და, მტრისას, თუ მაინც მოუწია. ცხვირში ამოადენს ყველას. ზოგმა ფეხბურთი არც თეორიულად იცის კარგად და შესაბამისად, არც პრაქტიკულად. და კიდევ არსებობს გამოკვეთილი უმცირესობა, რომელიც აკეთებს იმას, რასაც პროფესიონალი უნდა აკეთებდეს.

ამ საკადრო პრობლემას საზარელ პერსპექტივებს უხატავს ქართველი ფეხბურთელების ხარისხი. დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები ბრაზილიელებსაც აქვთ, ისინი სულ აგვიანებენ შეკრებებზე ჩასვლას და ყველამ იცის, რომ ამ დროს ღამის კლუბებში გრიალებენ. მაგრამ ხარისხის ამბავი მოგეხსენებათ, ყველაფერს დაგავიწყებს. ჩვენთან კი ეს ხარისხი თითქმის არ არსებობს.

რატომღაც სულ ვამბობთ, რომ მაღალი დონის ლეგიონერები გვყავს. სად გვყავს? სად არიან? რომელი ქართველი ფეხბურთელია საკუთარი კლუბის ლიდერი? ლიდერი კი არა, რომელი მათგანია თუნდაც საშუალოზე დაბალი დონის გუნდის ძირითადში მუდმივად? რამდენი მათგანი ირიცხება (და არა თამაშობს) ნორმალურ კლუბში? ლეგიონერებთან დაკავშირებული ზღაპარი აქ თავდება. ამ კონტინგენტს ემატება ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთა ანალოგიური ხარისხის ჯგუფი და ეს ჩვენი ნაკრებია.

მიუხედავად ამისა, ხანდახან სასწაული ხდება და ჩვენც ვთამაშობთ ფეხბურთს. შორს ნუ წავალთ, ბულგარელებს ნუ გავცდებით და მათთან თბილისში შეხვედრა გავიხსენოთ სულ რამდენიმე თვის წინ. რა მოხდა ამ პერიოდში? საერთოდ, რა ხდება ყოველი ციკლის ბოლოს?

ბოლო დღეების მთავარ თემასაც მივადექით - მუშაობს თუ არა ნაკრებში ჩაშვების ინსტიტუტი. ერთადერთი არგუმენტი, რომელიც განგებ წაგების ვერსიის გასამართლებლად მოვისმინე, იყო ის, რომ "ფეხბურთელებმა ექტორას გაუჩალიჩეს." "როგორც კლაუსას". ასეც რომ იყოს, ამის დამტკიცება ძალიან ძნელია, თუმცა მე მაინც მგონია, რომ ამ ადამიანებს ნაკრები და ზოგადად ფეხბურთი, რბილად რომ ვთქვათ, სულ ფეხზე ჰკიდიათ. ძალიან უბრალოდ. ვინმე პასუხს მოსთხოვს თუ რა.

ამიტომაც უნდა მოხდეს ლუსტრაცია ნაკრებში. ჩვენ უნდა გავიგოთ, ზუსტად გავიგოთ, თუ ვინაა ეს ხალხი და რა უნდა ჩვენგან. რასაკვირველია, ყველას არ ვგულისხმობ, მაგრამ უმრავლესობამ უნდა შეიგნოს, რომ ნებისმიერი მათგანის ერთი არასწორი ნაბიჯი და ის გახდება უსარგებლო, ნაკრებიდან გაგდებული, ყველასთვის მიუღებელი ადამიანი. მასზე მომავალი თაობები ისწავლიან, როგორ არ უნდა იცხოვრო.

*მომავალ სამშაბათამდე*

### ევროპა დაწყვილდა

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი გრძელდება. ევროპაში ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ გასამართი დარჩა პლეი-ოფები. გუშინ ფიფას შტაბბინაში წილისყრა გაიმართა. პლეი-ოფში გასული რვა გუნდი ორ ჯგუფად გაიყო. მოხდა გუნდების განთესვა. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ რეიტინგით მაღლა მდგომი გუნდები ერთმანეთს არ შეხვდებოდნენ.

წილისყრის შედეგად გუნდები ასე დაწყვილდნენ:

რუსეთი - სლოვენია

ირლანდია - საფრანგეთი

პორტუგალია - ბოსნია

საბერძნეთი - უკრაინა

პლეი-ოფის მატჩები 14 და 18 ნოემბერს გაიმართება.

### გედევანიშვილი პარიზში მეშვიდე ადგილს დასჯერდა

მალე ოქტომბერი მიიწურება და სპორტში ზამთრის სეზონი დადგება. ზამთრის სახეობებში საგულშემატკივრო ქართველებს ბევრი არავინ გვყავს. ერთადერთი, ვინც მეტნაკლები წარმატებებით გვახარებს, 19 წლის ელენე გედევანიშვილია. ამას წინათ პარიზში გამართულ ერიკ ბომპარის თასზე მან კარგად იასპარეზა და ფიგურული სრიალის აღიარებულ ლიდერებთან ჭიდილში მე-7 ადგილი დაიკავა. რობინ ვაგნერის მიერ გაწვრთნილმა გედევანიშვილმა მოკლე პროგრამა (10 მონაწილეს შორის) მე-8 ადგილზე დაასრულა. ელენემ ტექნიკურ კომპონენტებში 24.20 ქულა მიიღო, პროგრამულ ელემენტებში კი - 24.48 და ჯამური 48.68 ქულა დააგროვა.

ქართველმა გოგონამ უკეთ იასპარეზა თავისუფალ პროგრამაში, რომელიც ჟორჟ ბიზეს "კარმენის" ფონზე შეასრულა და მსაჯებისგან 94.75 ქულა (47.99+47.76) მიიღო. არბიტრებმა ელენეს ერთი ქულა დაცემისთვის დააკლეს. ის მე-6 ადგილზე აღმოჩნდა. ორი პროგრამის ჯამური მაჩვენებლით, გედევანიშვილს 143.43 ქულა დაუგროვდა და მე-7 პოზიციაზე გავიდა. ის სახელოვან იტალიელ კაროლინ კოსტნერს 4.2 ქულით ჩამორჩა, მოწინავე სამეულმა კი მას საგრძნობლად გაუსწრო. გედევანიშვილის უკან ფინელი კიირა კორპი, ფრანგი გვენდონ დიდიე და პოლონელი ანა იურკევიჩი აღმოჩნდნენ.

### ქართველი გოგონების ანტირეკორდები

საქართველოს ნაკრები ფეხბურთში 17 წლამდე გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ასპარეზობს, თუმცა იმას, რასაც ქართველი გოგონები აკეთებენ, ფეხბურთის თამაში არ ჰქვია. პირველი მატჩი მათ შვეიცარიასთან 0:23 დათმეს. მეორე შედეგი კი უფრო შთამბეჭდავი გამოდგა. ჩვენი ნაკრები იტალიელ გოგონებს დაუპირისპირდა და 0:27 დამარცხდა. შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრაში ჩვენები ფარერების გუნდს დაუპირისპირდებიან. როგორც ჩანს, კარგი დღე არც იმ მატჩში გველის. ამის თქმის საფუძველს სტატისტიკა იძლევა. ორი თამაშის შემდეგ ჩვენს გუნდს საკუთარ კარში 50 გოლი აქვს გაშვებული. ფარერების ნაკრები კი უფრო სერიოზული გუნდია. პირველ ორ მატჩში კუნძულელმა გოგონებმა მხოლოდ 14 გოლი გაუშვეს.

### პირესი: "ბარსელონა" საუკეთესოა!"

"ვილიარეალის" ნახევარმცველის რობერტ პირესის აზრით, "ბარსელონა", ყველაფრის მიუხედავად, დარჩება ყველაზე ძლიერ გუნდად ევროპაში და მთელ მსოფლიოში.

"ბარსელონა" საუკეთესოა როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოში და ეს იცის ყველა გულშემატკივარმა. მიუხედავად იმისა, თუ როგორ გაძლიერდა მადრიდის "რეალი", "ბარსელონა" ჩემპიონატის ფავორიტია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირველი ორი ადგილი უკვე ეკუთვნით "ბარსელონას" და "რეალს". არსებობენ სხვა კლუბებიც, რომლებიც იბრძოლებენ კარგი ადგილებისთვის - "ვალენსია", "ატლეტიკო", "სევილია" და "ვილიარეალი". ჩვენი გუნდი ყველას დიდ კონკურენციას გაუწევს!" - დაასრულა ფრანგმა ვეტერანმა.

### რუმინეთის ტესტ-მატჩი

რუმინეთის სარაგბო ნაკრები, რომელიც ევროპის ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ეროვნული გუნდის კონკურენტია, 28 ნოემბერს ტესტ-მატჩს ფიჯის ნაკრებთან გამართავს. The Fiji Times-ის ცნობით, კუნძულელებს, ხსენებულ დროს, აშშ-ს ეროვნულ გუნდთან ჰქონდათ სპარინგი დაგეგმილი, თუმცა, მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა თამაშზე უარი თქვეს, ბუქარესტში ჩასვლაზე თანხმობა განაცხადეს. "წლის ამ დროს ახალი ტესტ-მატჩის დაგეგმვა ძალიან ძნელი იყო. ასე რომ, თამაშის ჩატარების ნებისმიერი საშუალება უნდა გამოგვეყენებინა. რუმინეთმა უკვე დაიგდო ძლიერი გუნდის სახელი. მას ევროპაში თავისი სიტყვა ეთქმის. დარწმუნებული ვარ, მძიმე მატჩი გველის", - განაცხადა ფიჯის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა კენი დაკუიდრეკატიმ. ცნობილია, რომ, ხსენებული შეხვედრის გარდა, ფიჯელებს კიდევ ორი ტესტ-მატჩი აქვთ დაგეგმილი. 14 ნოემბერს ისინი შოტლანდიას ეთამაშებიან, 21-ში კი - ირლანდიას.

### მოსალოდნელი დისკვალიფიკაცია

არგენტინის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიეგო მარადონა ბოდიშის მოხდას არ აპირებს ჟურნალისტებისთვის, რომლებიც ურუგვაისთან გამართული 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასკვნითი მატჩის შემდეგ უცენზუროდ გააკრიტიკა. "სამწუხაროა, რომ ასე ნეგატიურად არიან ჩემს მიმართ განწყობილი. საკუთარ სიტყვებს უკან არ წავიღებ. ბოდიში დედაჩემს მოვუხადე, ქალბატონებს, რომლებიც ამ პრესკონფერენციას უყურებდნენ. მაგრამ სხვების მიმართ თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ. ჩვენს ქვეყანაში ბევრი ცუდი რამ ხდება - ყოველდღიურად კლავენ ადამიანებს, ხშირია ძარცვა, სულ უფრო მეტი ადამიანი ღატაკდება და ამის შესახებ არავინ არაფერს ამბობს. მისაბაძი არ ვარ. ასეთები მშობლები უნდა იყვნენ. არ მინდა, რომ არგენტინელმა ბავშვებმა ჩემგან აიღონ მაგალითი. ის, რაც პრესკონფერენციაზე მოხდა, ორთქლის გამოშვება იყო", - ავრცელებს მარადონას კომენტარს Sky.

## რევაზ ჩომახიძე:

# "ჩემი მიზანი ნაკრებისთვის წყალბურთელების მომზადებაა"

ბოლო წლების უდავოდ გამორჩეულმა ქართველმა წყალბურთელმა რევაზ ჩომახიძემ რუსულ "შტურმთან" მოქმედი კონტრაქტი აღარ გააგრძელა და კარიერა დაამთავრა. ისე გამოვიდა, რომ რეზომ კარიერის უკანასკნელი მატჩები სექტემბერში, შვეიცარიაში გამართულ ევროპის B დივიზიონის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებში ითამაშა, რითაც დიდი ხნის ოცნება აისრულა.

ჩომახიძე ყოველთვის ამბობდა, საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებააო. თუმცა, მანამდე იყო ძალიან საინტერესო და ტიტულებით მდიდარი კარიერა. წყალბურთის თამაში კი მშობლიურ ქალაქში - ქუთაისში დაიწყო.

გამოდიოდა თბილისის "დინამოშიც", საიდანაც საზღვარგარეთ წავიდა და იტალიაში, ხორვატიაში და ბოლოს რუსეთში წარმატებით ითამაშა საკლუბო დონეზე, უფრო მეტი წარმატებით კი სანაკრებო კარიერა მოიწყო. რუსეთის ნაკრებთან ერთად 2000 წლის სიდნეის და 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი, 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, 2002 წლის მსოფლიო ლიგის თამაშებისა და მსოფლიო თასის გამარჯვებული...

ახლახან რეზო საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების კურატორად დაინიშნა და, სხვა საკითხებთან ერთად, ცხადია, ამ ამბავზეც ვისაუბრეთ. ქართული წყალბურთის ვარსკვლავს საქართველოში დიდი გეგმები აქვს.

- კარიერის დასრულებაზე 2006 წლიდან ვფიქრობდი, - გვიყვება რევაზ ჩომახიძე, - წლეულს დადგა ის მომენტი, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. ეს ამბავი იცოდნენ ოჯახში და მეც ფსიქოლოგიურად შემზადებული ვიყავი. თან, საქართველოდანაც საინტერესო წინადადება მივიღე. ჩემი მხრიდან ამ შემოთავაზებაზე უარის თქმა შეიძლება დიდი შეცდომაც ყოფილიყო. ამიტომ აქ მუშაობაზე დავთანხმდი.



*ჩომახიძე (მარჯვნივ) ქართულ წყალბურთს დაუბრუნდა*

**- ბოლო წლებში რუსული "შტურმის" ლიდერი იყავი. როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას?**

- ბუნებრივია, არ გაუხარდათ, მაგრამ არა მგონია "შტურმი" დასუსტდეს. მაინც ძლიერი გუნდი იქნება და ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ორი გამორჩეული მოთამაშე დაიმატეს და პოზიციების დათმობას არ აპირებენ. კონტრაქტის მიხედვით ერთი წელი კიდევ მქონდა დარჩენილი, მაგრამ ეს გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. გადადება აღარ ივარგებდა. შეგნებულად ისეთი კონტრაქტი მქონდა დადებული, რომ საჭიროების შემთხვევაში თამაშისთვის თავის დანებება შემძლებოდა. ეს პუნქტი გამოვიყენე და ახლა თავისუფალი ვარ.

**- კარიერის ბოლო მატჩები საქართველოს ნაკრებში ითამაშე...**

- ძალინ გახარებული ვიყავი იმით, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშის საშუალება მომეცა. ჩემთვის შედეგს დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. ყველაზე უფრო იმან გამახარა, რომ ბიჭები საოცარი შემართებით და თავგამოდებით თამაშობდნენ. ასეთი მუხტი და თავდადება აქამდე არსად მინახავს!

ესეც დამატებითი მოტივაცია იყო იმისთვის, რომ საქართველოში დავბრუნებულიყავი და პატარა წყალბურთელების გაზრდაზე მემუშავა... ურიგოდ არ გვითამაშია. პირიქით, ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს. რისი გაკეთებაც შეეძლოთ, გააკეთეს. მაგრამ ყველაფერი ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. მსაჯების ფაქტორიც იყო... თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკი არ ღირს.

**- ახალგაზრდული ნაკრებების კურატორად დაინიშნე. როგორი გეგმები გაქვს?**

- საქართველოში უნიკალური პირობები შეიქმნა წყალბურთის განვითარებისთვის. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, აქ მუშაობაზე რომ დავთანხმდი. არც მახსოვს, ჩვენს ქვეყანაში ასეთი პირობები ოდესმე თუ ყოფილა. ყველა ძალიან მეხმარება. ვგრძნობ თანადგომას და იმის სურვილს, რომ დამეხმარონ, რაც ძალიან სასიამოვნოა. ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას დიდი სიამოვნებით გავუზიარებ არა მარტო წყალბურთელებს, არამედ მწვრთნელებსაც.

არ ვიცი, როგორი მწვრთნელი გამოვალ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ბევრი რამის სწავლება შემიძლია სხვებისთვის, რადგან ამის გამოცდილება ნამდვილად მაქვს. მინდა, რომ, რაც შეიძლება, ბევრი ნიჭიერი წყალბურთელი გავზარდო.

**- რეგიონებში როგორ არის საქმე, მათთან როგორ აპირებ მუშაობას?**

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეგიონებში წყალბურთი ბევრმა ახალგაზრდამ ითამაშოს. ჩაქვში არის ამის საშუალება. მათ ავტობუსი ემსახურებათ და იმ რეგიონის პატარებს პრობლემა არა აქვთ. გუნდი ჰყავთ ქუთაისშიც და, როგორც მითხრეს, მალე აუზის პრობლემაც უნდა მოგვარდეს. მალე აუზი იმუშავებს რუსთავშიც.

**- ნაკრებს დავუბრუნდეთ. გაისად საქართველოს ნაკრებში ხუთი ნატურალიზებული წყალბურთელი ითამაშებს. რისი თქმა შეგიძლია მათზე?**

- ეს ბიჭები საშუალო ევროპული დონის მოთამაშეები არიან, საკმაოდ გამოცდილები და ნაკრებს უდავოდ გააძლიერებენ. ჩემი აზრით, მათი ჩამოყვანა ურიგო ნაბიჯი არ იყო.

**- საქართველოს ნაკრებს ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვება აქვს მიზნად დასახული. რას იტყვი, სწორი გზით მივდივართ?**

- მგონია, რომ სწორი გზით მივდივართ. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეა. მთავარი მიზანი ნაკრების ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრაა. ზოგს გამოსდის ეს, ზოგს - არა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საამისოდ. მით უმეტეს, რომ მონდომება და პირობები გვაქვს. ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ხელს გვიწყობს.

მთავარი საქმე, რომელსაც გავაკეთებ, ეროვნული ნაკრებისთვის 2012 წელს მაღალი დონის წყალბურთელების მიწოდება იქნება. რვა წყალბურთელი სათანადოდ უნდა მოვამზადო. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კი აქედან ოთხი უკეთესი უნდა გამოარჩიოს. ეს ყველაფერი ორ-სამ წელიწადშია გასაკეთებელი. საქმე ძალიან ბევრია, თუმცა, სამუშაოდ მზად ვარ.

www.sport.gov.ge

# ბატონი ფორმულა 1-ის 31-ე ჩემპიონია

აბუ დაბიმდე ლოდინი აღარ მოგვიწევს - ფორმულა ერთს ბრიტანელი ჯენსონ ბატონის სახით ახალი, 31-ე ჩემპიონი შეეძინა. კონსტრუქტორთა პირველობა კი მსოფლიო ჩემპიონატის ახალბედას - "ბრაუნის" ტრიუმფით დასრულდა.

მართალია, ბატონს არც რბოლა მოუგია და ის არც კვარცხლბეკზე ასულა, მაგრამ ფინიშთან მეხუთე მივიდა, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ტიტული სან პაულუშივე გაენაღდებინა. ეს კი იმიტომ, რომ პოულის მფლობელი მისი თანაგუნდელი რუბენს ბარიკელო მხოლოდ მერვე ადგილს დასჯერდა.

"რედ ბულის" სებასტიან ფეტელმა კი, მართალია რბოლა ბრიტანელზე ადრე დაასრულა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ ბატონის კორონაცია ორი კვირით გადადებულიყო.

ბატონს, რბოლაში მე-14 საფეხურიდან ჩაერთო, თავიდანვე გაუმართლა - სტარტიდან ცოტა ხანში, რბოლას მის წინ მყოფი სამი მრბოლი - ადრიან სუტილი, იარნო ტრული და ფერნანდო ალონსო გამოეთიშა. ჯერ სუტილმა და ტრულიმ გზა ვერ გაიყვეს და ერთმანეთი დაამტვრიეს, შემდეგ კი ტრულის უკონტროლო "ტოიოტამ" ალონსოს "რენოც" მოცელა. გზა ნამსხვრევებით აივსო და ტრასაზე პეისკარი გამოვიდა.

ბატონმა ერთბაშად სამი საფეხურით წინ წაიწია და რაც მთავარია, ძალიან სწრაფი იყო - რამდენიმე მეტოქე უცებ ჩამოიტოვა და ქულების ზონას მიუახლოვდა. ამ დროს, ბარიკელო ისევ ლიდერი იყო - მან სტარტზე კარგად დაიცვა საკუთარი სალიდერო პოზიცია, მაგრამ მარკ უებერის და რობერტ კუბიცას შორის ჩამოტოვება ვერ მოახერხა, რაც პირველივე პიტსტოპის შემდეგ ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა.

ბარიკელოს რბოლის ბოლოსაც არ გაუმართლა - მის მანქანას ვიბრაციები დაეწყო, რის გამოც, ბრაზილიელ მრბოლს ბოქსში ზედმეტად შესვლამ მოუწია. თუმცა, ასეც რომ არ მომხდარიყო, ბატონი მაინც ჩემპიონი გახდებოდა, რადგან ბარიკელო უებერის და კუბიცას დამწევი იყო, კვარცხლბეკის მესამე საფეხურის დაკავება კი მისთვის დიდი ვერაფერი ბედენა იქნებოდა...

"ოჰ, რა რბოლა იყო. მე მსოფლიო ჩემპიონი ვარ, მე მსოფლიო ჩემპიონი ვარ. ძალიან საინტერესო სეზონი გვქონდა. ეს მართლა სასწაულია. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ფორმულა ერთში მსოფლიო ჩემპიონი გავხდებოდი", - ნარბოლევს განაცხადა ბატონმა, ვინც საპატიო წრეზე მყოფმა, რადიოთი "ვი არ დი ჩემპიონს, მაი ფრენდს" დაამღერა.

ახალ ჩემპიონს ერთ-ერთმა პირველმა მამამისმა, შემდეგ კი ფორმულა ერთის კომერციულ უფლებათა გამგებელმა ბერნი ეკლსტოუნმა მიულოცა.

ბრაზილიური რბოლის შემდეგ, ბატონს, ვინც სეზონის დასაწყისში, პირველი შვიდი ეტაპიდან ექვსი მოიგო, 89 ქულა დაუგროვდა ფეტელის 74-სა და ბარიკელოს 72-ის წინააღმდეგ. "ბრაუნი" კი, რომელსაც კონსტრუქტორთა თასის გასანაღდებლად ერთადერთი ქულაც ჰყოფნიდა (161.0 ქულა დააგროვა), ფორმულა ერთის პირველი გუნდი გახდა, რომელიც ჩემპიონის ტიტულს სადებიუტო სეზონშივე დაეუფლა.




AFP © 2009

**ბრაზილიის დიდი პრიზი. სან პაულუ, ინტერლაგოსი. 71 წრე.
მანძილი: 4.309 კმ. დისტანცია: 305.909 კმ**

| | |
|---|---|
| 1. მარკ უებერი ("რედ ბული") | 1:32:23.081 |
| 2. რობერტ კუბიცა (BMW ზაუბერი) | + 7.626 |
| 3. ლუის ჰამილტონი ("მაკლარენი") | + 18.944 |
| 4. სებასტიან ფეტელი ("რედ ბული") | + 19.652 |
| 5. ჯენსონ ბატონი (ბრაუნ GP) | + 29.005 |
| 6. კიმი რაიკონენი ("ფერარი") | + 33.340 |
| 7. სებასტიან ბუემი ("ტორო როსო") | + 35.991 |
| 8. რუბენს ბარიკელო (ბრაუნ GP) | + 45.454 |
| 9. ჰეიკი კოვალაინენი ("მაკლარენი") | + 48.499 |
| 10. კამუი კობაიაში ("ტოიოტა") | + 1:03.324 |
| 11. ჯანკარლო ფიზიკელა ("ფერარი") | + 1:10.665 |
| 12. ვიტანტონიო ლიუცი ("ფორს ინდია") | + 1:11.388 |
| 13. რომენ გროჟანი ("რენო") | + 1 წრე |
| 14. ხაიმე ალგერსუარი ("ტორო როსო") | + 1 წრე |

უსწრაფესი წრე: მარკ უებერი - 1:13.733 (25-ე წრე, 210.386 კმ/სთ)

# მე-16 მიზეზი

მიუხედავად იმისა, რომ გასულ უქმეებზე "ატლანტა ჰოუქსს" მატჩი არ გაუმართავს, ქართულ საკალათბურთო ლეგიონზე საუბარს მაინც NBA-ში მოთამაშე ერთადერთი ქართველით დავიწყებთ.

ბოლო დროს ზაზა ფაჩულიას შესახებ რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. სანამ ევროპაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელების მონაგარზე გეტყოდეთ რამეს, ამ ინფორმაციებს გაგაცნობთ.

გამოცემა peachtreehoops.com-ის ჟურნალისტმა მკითხველს გააცნო ის 72 მიზეზი, რისთვისაც უნდა უყვარდეს კაცს "ატლანტა ჰოუქსი". 72-ვეს გაცნობით თავს არ შეგაწყენთ. მხოლოდ მეთექვსმეტე მიზეზზე გეტყვით. ჟურნალისტის აზრით, ეს მიზეზი ზაზა ფაჩულიაა: "ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ზაზას დაყენება მეთექვსმეტე ადგილზე ნამეტანია, თუმცა, მე თუ მკითხავთ, ატლანტელთა ცენტრი მეტსაც იმსახურებს. მე მიყვარს ზაზა იმიტომ, რომ ვიცი, რას უნდა ველოდე მისგან ყოველ საღამოს. როდესაც თამაშზე მივდივარ, ვიცი, რომ ეს ბიჭი ბოლომდე იბრძოლებს და გამარჯვებისთვის არაფერს დაიშურებს. მე მითქვამს ხალხისთვის, რომ ის ჩემი ნამდვილი მეგობარია. არადა, ნორმალურად არც ვიცნობ."

ცნობილმა საკალათბურთო მიმომხილველმა სეკიუ სმითმა განაცხადა, რომ მომავალი სეზონი ზაზა ფაჩულიასი იქნება. ამის თქმის საშუალება ჟურნალისტს მას შემდეგ მიეცა, რაც ზაზამ საგამოფენო მატჩებში ბრწყინვალე თამაში აჩვენა. "ჰოუქსის" ფანების გამოკითხვის შედეგად კი დადგინდა, რომ გულშემატკივრებს ზაზას ხილვა ძირითად ხუთეულში სურთ. ზაზამ გამოკითხულთა ხმების სოლიდური რაოდენობა მიიღო და თვით მაიკ ბიბიც კი უკან ჩამოიტოვა.

ევროპელებს შორის გასულ უქმეებზე ყველაზე გამორჩეული ლაშა გამყრელიძე იყო. მან გერმანიის საკალათბურთო ჩემპიონატში დასამახსოვრებელი მატჩი გამართა და, შეიძლება ითქვას, რომ "მიტელდოიჩერის" ლიდერად ყალიბდება.

მე-4 ტურის ცენტრალურ შეხვედრაში "მგლები" დაუმარცხებელ "არტლანდ დრაგონსს" ეწვივნენ და, გამყრელიძის ჩინებული გარჯის მიუხედავად, 91:101 წააგეს.

ლაშამ "მიტელდოიჩერის" სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე ყველაზე მეტი - 32 წუთი გაატარა. ქართველმა გამთამაშებელმა 5-დან 4 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო და 18 ქულით და 4 პასით სტუმართა რიგებში საუკეთესო იყო.

იტალიის პირველობაზე ქართველები ვერაფრით დაიკვეხნიან. ვიქტორ სანიკიძის "ვიროტუსი" "ანჯელიკო ბიელასთან" გასვლით მატჩში 76:79 დამარცხდა.

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე მხოლოდ 7 წუთი გაატარა და გუნდს 3 ქულა და 3 მოხსნა შესძინა.




დიდი ბრძოლა გადახდა მანუჩარ მარკოიშვილის "მედიკალ კანტუს", რომელმაც კრემონას "ვანოლასთან" გასვლით მატჩში ოვერტაიმში 104:103 გაიმარჯვა.

ქართველმა კალათბურთელმა 11 წუთში 2 ქულა მიითვალა. მანუჩარმა 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, თითო სამქულიანი და საჯარიმო კი ააცილა.

ესპანეთის ჩემპიონატში მოედანზე გამოვიდა საქართველოს ნაკრების ამერიკელი გამთამაშებელი ტაირონ ელისი, რომელიც გასულ ტურში დაშავდა და, წინასწარი ინფორმაციით, რამდენიმე კვირა უნდა დაესვენა.

ბილბაოს "ლაგუნ აროსთან" მატჩში ელისმა 25 წუთს ითამაშა და "კახასოლს" 4 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი შესძინა. ტაირონმა 2-დან 1 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, 4 სამქულიანი კი გააცუდა.

გიორგი შერმადინის "პანათინაიკოსი" საკონტროლო მატჩში "პერისტერის" შეხვდა და 69:65 გაიმარჯვა. ქართველმა კალათბურთელმა 7 ქულა მიითვალა. პირეოსის "ოლიმპიაკოსთან" ამხანაგურ შეხვედრაში 70:92 დამარცხდა გიორგი ცინცაძის "ტრიკალა 2000", ჩვენებურმა 4 ქულა დააგროვა.

საბერძნეთის საკალათბურთო ჩემპიონატი 24 ოქტომბერს აიღებს სტარტს. "პანათინაიკოსი" ლარისას "ოლიმპიას" ეთამაშება, "ტრიკალა" - აეკ-ს, ხოლო ნიკოლოზ ცქიტიშვილის "პანიონისი" - "პერისტერის".



## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის სატენდერო კომისია ადგენს: 2009 წლის 16 ოქტომბერს, 4 ლოტად დაყოფილი კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის შესასყიდად გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

| ლოტი | დასახელება | სპეციფიკაცია | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| პირველი ლოტი | 1.COMPUTERS | CPU from 2,66 to 3,0 MHz/ Mazerboard 1xPCI-Express /from 2 to 6 PCI/ slots /Dual channel memory architecture /GLAN / RAM DDR2 DIMM 240pin/ 2GB/ HDD 320GB / 7200rpm SATA/ DVD+/-RW/ Keyboard With RUS /Mouse Optical /LCD monitor 19" / 1280x1024 60Hz / min 8ms / min500:1/ Speaker / Free DOS | 80 |
| | 2. NOTEBOOK | from 15" to 17" LED / CPU from 2.2 to 3.0 /SATA HDD from 160Gb to 250Gb (7200 rpm) / DDR2, 800 MHz, 1024MB / Wireless technologies 802.11a/b/g/n, b/g/n or a/b/g, / Ethernet (10/100/1000) / power connector, / RJ-45/ Keyboard / Full-sized chiclet keyboard with separate numeric keypad / Pointing device Touchpad with scroll zone | 1 |
| | 3. UPS | UPS 1000 VA | 85 |
| | 4. ROUTER | 1 WAN port + 8 LAN ports / MAC Address Modify/Clone / TCP/IP, DHCP, ICMP, NAT, PPPoE, SNTP / LAN and WAN Port Setting / Flow Statistics / Virtual Server / Static Routing / DMZ Host / UPnP / Firewall Rules Setting / MAC Address Filtering / Domain Name Filtering / IP/MAC Address Binding / DoS Protection / Remote Management / System Log | 20 |
| | 5. PRINTER | Multifunction Printer A4 / Print, copy, scan / 19 ppm / fpo 7sec / 1200 dpi /32 MB/ USB2.0 / With USB cable for connect to PC | 20 |
| | | A4, 23 ppm 1200 dpi 2mb 8000p/m; USB 2.0 / With USB cable for connect to PC | 46 |
| მეორე ლოტი | 1.RACK | სტანდარტული სერვერული კარადა (დასადგმელი) დაშლილი, 19", 42U, 600mm width, 1000mm deep, Front / Back door - Load up to 600kg | 1 |
| | | 8 Port PS/2&USB KVM with LCD 17" / Monitor; Console: PS/2 & USB PC: PS/2 & USB Rackmountable; | 1 |
| | | 1,8m Cable for KVM | 7 |
| | 2.UPS | UPS, "True On-Line", 1400 Watts / 2000 VA, Input 230V / Output 230V, Interface Port DB-9 RS-232, Rack Height 2U Includes: CD with software, Rack Mounting support rails, UPS signalling RS-232 cable, User Manual | 1 |
| | 3.SWITCH | Ethernet Switch / 24 port 10/100Mbps RJ-45 | 2 |
| | | Ethernet L3 Switch / Basic Specifications : 24 Port Gigabit Ethernet L3 Switch 4 SFP-based Gigabit Ethernet ports/ 128 MB DRAM,/ 32 MB Flash, / 12,000 MAC addresses, / 11000 unicast routes, /1000 IGMP groups and multicast routes, MTU- up to 9000 bytes with a maximum Ethernet frame size of 9018 bytes, for bridging on Gigabit Ethernet ports, and up to 1546 bytes for bridging of Multiprotocol Label Switching (MPLS) tagged frames on 10/100 ports. MTBF - 230,700 hours/ 38.7Mpps Forwarding Rate For 64-byte Packet Forwarding bandwidth : 32 Gbps / Data Link Protocol : Ethernet, Fast Ethernet, Gigabit Ethernet/ Routing protocols : RIP, WCCP, LACP, DHCP, DTP, PAgP, RSTP, HSRP, UDLD, RIP v1.0, RIP v2.0, OSPF, IGRP, EIGRP, PIM-SM, PIM-DM, DVMRP, STP, MSTP, ARP, TCP/IP, TACACS+, RADIUS, TFTP, NTP, SSH | 1 |
| | 4.PATCH PANEL | 48 Port Cat5E ( 2x24 port ) / 19 inch Rack Mount / This panel has 48 RJ-45 connectors on the front / Connecting: FCC port for Cat.5 patch cord and IDC for horizontal distribution cables. | 1 |
| | 5.PATCHCORD | UTP/ GMB/ PP12, Cat.5E , 0.5m / Blue | 40 |
| | 6. CD-DVD | External USB 2.0 SLIM DVD±RW Drive Black | 1 |
| მესამე ლოტი | 1. SCANNER | A3, Flatbed Colour Scanner - up to 10ppm colour and 16ppm mono Zero warm-up, RGB and Black for quick high quality scans Automatic Document Size Detection reduces user intervention and saves valuable time Substantial connectivity with USB 2.0 Hi-Speed, DOCUMENT SIZE 297 x 432mm (11.7 x 17.0 inches) / RESOLUTION Main Scan 600 dpi (optical resolution), Sub Scan 1,200 dpi, OUTPUT RESOLUTION 50 dpi to 4,800 dpi (in 1 dpi steps) (9,600 dpi scanning is achieved by 4800 dpi x 200%) Zoom 50 to 200% (in 1% steps) / EFFECTIVE PIXELS 7,020 (main) x 10,200 (sub) pixels (at 600 dpi) / Grayscale 16-bit (4,096 grey scale levels) internal, 8-bit (256 grey scale levels) external / Colour 48-bit (4,275.2 million colours) internal, 24-bit (16.7 million colours) external / SCANNING SPEED Monochrome (Draft mode) 1.3 msec/line Colour (Draft mode) 3.8 msec/line LINE ART Fixed Threshold, User Defined Dither (A, B) SUPPORTED PLATFORMS / INTERFACES USB 2.0 Hi-Speed LAN (RJ-45) | 20 |
| მეოთხე ლოტი | 1. COPIER | A3 / Speed: 18ppm/A4, 15ppm/ Resolution: Copy: 600 x 600 dpi / Print: 1200 x 1200dpi / First Copy Time: 6.9 seconds /Memory: 128 Mb / Minimum 1 year warranty | 17 |

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღონ შემდეგი პირისაგან:

ტარიელ კობერიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: საკონტაქტო ტელეფონები: 38 14 25; 899 28 90 74; ფაქსი: 37 28 02. მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 1, საქართველოს ეროვნული არქივის მეორე სართული, შესყიდვების განყოფილება.

# და მაინც "რუსთავი"!



ტურნირის გამარჯვებული "რუსთავი"

პირველი გვერდიდან

"რუსთავი" ძველებურად სწრაფი, აგრესიული და დაუნდობელია, კოტე ტუღუში კი საუკეთესოა სუპერლიგის წევრთა შორის, თუმცა...

"24 საათმა" ტურნირის ისტორიაში პირველად დააწესა თავისი ჯოლდო(ები) და საუკეთესოდ არა კოტე, არამედ ლევან ცეკვავა დავასახელეთ. მაგრად იომა ამ ბიჭმა - მოსახსნელი მოხსნა, ჩასაგდები ჩააგდო და, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ალალი იყო მისი უძვირფასესად გამოყოფა. ჩვენი გაზეთი მომავალშიც აპირებს საინტერესო ჯოლდოების დაწესებას და საკალათბურთო მარათონშიც თავიდან ბოლომდე იქნება ჩართული.

თსუ-ს სასტარტო ხუთეულში ჭეიშვილმა მიშა ფანჩულიძე, შიო ხეცურიანი (კაპიტანი), ბესო ლეჟავა, დავით ბარბაქაძე და გიორგი გაფრინდაშვილი დააყენა, ბერუაშვილმა კი ამ ხუთეულს სასტარტო გდებიდან ტუღუში, ზვიად ბაბიაშვილი, ჟულივეტ ტუჯანი, მიშა ჩიტაშვილი და მისი სეხნია ჭოჭუა დაუპირისპირა.

სწრაფ კალათბურთში თავიდან მასპინძელმა იმარჯვა, მერე და მერე კი წაუვიდა სროლა "რუსთავის" ყოფილ წევრს ლეჟავას, რომელიც პირველ მეოთხედში დროდადრო ჯობნიდა კიდეც პერსონალურად მეურვე ტუღუშს, მაგრამ პირველი ათი წუთის შემდეგ მიზანი გაუქრა და ბურთს, კალათის გარდა, ყველგან აგდებდა. ბესომ ენერგია რაციონალურად ვერ გაანაწილა.

ბოლოს მაინც ფანჩულიძის ზუსტი გდებით თსუ-მ მოიგო პირველი მეოთხედი, რომელშიც ტუჯანმა და მისმა შემცვლელმა კაკო დვალიშვილმა 2-2 ფოლი მიიღეს. ჟულიმ ამდენივე პერსონალური შენიშვნით დაამთავრა შეხვედრა და ორმაგ დუბლამდე ერთადერთი ქულა დააკლდა. ტუჯანმა თამაშიდან ცხრაჯერ ისროლა ბურთი და ოთხი ტყორცნა გამოიყენა.

მასპინძლები არ ჩქარობდნენ მეტოქისთვის უკანასკნელი დარტყმის მიყენებას, თსუ კი მეთოდურად ახერხებდა ანგარიშში სხვაობის შემცირებას, თუმცა, ჭეიშვილის ბიჭებს მხოლოდ მეოთხე მეოთხედამდე შერჩათ ენერგია.

"რუსთავი" დიდ შესვენებამდე 48:46 გავიდა წინ და, აქედან მოყოლებული, სულ ლიდერობდა. როგორც კი სტუდენტები ჰანდიკაპს ამცირებდნენ, მასპინძელთა შემადგენლობაში ან ტუღუში აგდებდა სამიანს (10 შორეული სროლიდან კოტემ 5 გამოიყენა), ან ტუჯანი ხსნიდა მეტოქის ფარზე ბურთს, ან ცეკვავას ენერგიას მიჰქონდა იქაურობა.

ვერ ჩაატარა საუკეთესო მატჩი თსუ-ს კაპიტანმა შიო ხეცურიანმა, რომელმაც ერთადერთი ზუსტი "ცოცხალი" სროლით დაასრულა თამაში, 6 საჯარიმოდან კი 5 გამოიყენა. შიომ 4 პერსონალური შენიშვნა მიიღო და მასზე ამდენჯერვე დაჯარიმდნენ მასპინძლები.

თსუ-ში არასტაბილურად ითამაშა დავით ბარბაქაძემ, რომელმაც მომენტებში შვიდქულიანი გაქცევა მარტომ გამოჭედა, მაგრამ პარალელურად დაცვაში ბევრი წუნი ჰქონდა. ზვიად ბაიაშვილის მარტივ ტრიალს ბარბაქაძე ან ჯარიმით პასუხობდა, ან "რუსთავის" ფორვარდს ქულათა მარაგი ეზრდებოდა.

მოკლედ, ფინალის ტოლფასი თამაში მხოლოდ პირველი სამი მეოთხედის დროს იყო, მერე კი ბერუაშვილმა და მისმა ასისტენტმა ბადრი კიკვიძემ მოედანზე სულ სხვა გუნდი შეუშვეს.

უკანასკნელი ათი წუთი მასპინძლებმა 25:7 მოიგეს, თსუ-მ კი თამაშიდან სროლების მხოლოდ 10 პროცენტი გამოიყენა. 6 შეცდომა დაუშვა მანამდე სტუდენტების რიგებში ერთ-ერთმა საუკეთესომ გიორგი გაფრინდაშვილმა. "წრიპას" არც შეტევაში წაუვიდა თამაში და საბოლოოდ მან მატჩი 4 პერსონალური შენიშვნით დაამთავრა.



გოგიტა ბახაიძის ფოტოები

თსუ-ს მიხეილ ჩიტაშვილი (6) უტევს

ერთხელაც მინდა გამოვყო ზურა მაჭავარიანის თამაში. ბერუაშვილმა ის მოედანზე მხოლოდ 3 წუთით შეუშვა. ამ მცირე დროში სათადარიგო უკანახაზელმა 4 მნიშვნელოვანი ქულა დააგროვა და პირველი ნახევრის ბოლო წუთზე ანგარიში გაათანაბრა - 46:46.

მოკლედ, თსუ-მ დათმო ფინალი, მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობისას გუნდი წელში მეტად გაიმართება და თამაშის ხარისხსაც გააუმჯობესებს. ყველა თამაშში ენერგიული კალათბურთი, არავითარი რიდი არც ერთი მეტოქისადმი. ან რატომ უნდა ჰქონდეს რიდი და შიში ჭეიშვილის გუნდს, როდესაც ამ შემადგენლობით სტუდენტები, სულ მცირე, საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებენ. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასე მგონია.

"რუსთავმა" კი სეზონი ტიტულით გახსნა და შემდგომშიც არ აპირებს რომელიმე ტურნირის წაგებულის რანგში დასრულებას. ბერუაშვილს დავით უსტიაშვილისგან ძლიერი გუნდი დარჩა და თუ "რუსთავის" სათამაშო კომპონენტები ზედმეტად არ განახლდება, არსებული კონტინგენტითა და სათამაშო არსენალით, გუნდს ყველგან ყველაფრის მოგება თავისუფლად შეუძლია.

მასპინძელთა შორის, სტატისტიკის მხრივ, ტრადიციულად, ტუღუში გამოირჩა - 23 ქულას 7 მოხსნა, ამდენივე შედეგიანი გადაცემა და ოთხიდან ყველა ზუსტი საჯარიმო დაურთო. ბაბიაშვილმა 15 ქულას მოუყარა თავი, თუმცა ბევრი სროლა ვერ გამოიყენა. მიშა ჩითაშვილმა ირბინა, ბურთი თავის და სხვის ფეხებში ატარა, მატჩი კი ათი ქულითა და ოთხი ფილიგრანული პასით დაასრულა. რაც შეეხება ცეკვავას, ჩვენი გაზეთის რჩეულს, მისი მონაგარი ასეთი იყო: 29 წუთი, 13 ქულა, 8 მოხსნა (5 - მეტოქის ფარზე), 2 შედეგიანი გადაცემა, ამდენივე ჩაჭრა და ერთი ეფექტური დაფარება. უნი-ვერ-სა-ლი!

სუპერლიგა კი მართლაც საინტერესო უნდა იყოს. გვეყოლება, ასე თუ ისე, ოთხი თანაბარი ძალის გუნდი "რუსთავის", "სასოფლოს" შსს-სა და თსუ-ს სახით. სხვებიც არ უნდა იყვნენ მოვალეობის მომხდელები და კარგი კალათბურთიც უნდა ვნახოთ. მიუხედავად იმისა, რომ, შარშანდელთან შედარებით, სუპერლიგას ექსტრაკლასის რამდენიმე მოთამაშე (ვატო ნაცვლიშვილი, დავით უგრეხელიძე, ლაშა გამყრელიძე და მიხეილ ბერიშვილი) აკლია, კარგი ტურნირი უნდა გამოდგეს. სულ ბოლოს კი გამარჯვებული გუნდის კაპიტნისა და "24 საათის" ვერსიით, დუდუ დადიანის მემორიალის აღმოჩენის, შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის უფროსის კომენტარებს შემოგთავაზებთ. მომავალ მიმოხილვამდე და ითამაშეთ კალათბურთი.

**კოტე ტუღუში ("რუსთავის" კაპიტანი, სუპერლიგის სამგზის MVP):** "გუნდმა ყველაფერი გააკეთა საბოლოო წარმატებისთვის და სრულიად დამსახურებულა მოიგო დუდუ დადიანის მემორიალი, რომელსაც ყველანი დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ეს არ არის რიგითი ტურნირი. ყველა უდიდეს პატივს ვცემდით დუდუ დადიანს და, უბრალოდ, უფლება არ გვაქვს, მისი ხსოვნისადმი გამართული ტურნირი უგულოდ ჩავატაროთ. მეამაყება, რომ ჩემპიონები გავხდით და გუნდის ერთგულ გულშემატკივრებს შემდგომში კიდევ არაერთი ტიტულის მოგებას ვპირდები".

**ლევან მიქაბერიძე (შსს-ს გუნდის უფროსი, მოთამაშე):** "ჩვენთვის მოულოდნელი იყო ამ თასის მიღება. გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია, შემადგენლობა სოლიდური გვყავს, მაგრამ აკლიმატიზაციის გავლასა და შეთამაშებას გარკვეული დრო სჭირდება. იმედი მაქვს, ამ თასს სეზონის ბოლოს საქართველოს თასსა და ჩემპიონობას შევმატებთ. დიდ მადლობას ვუხდით "24 საათს" აღიარებისთვის და, თქვენი რედაქციის გარდა, მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჩვენი სჯერა და გვენდობა".

JOHN DEERE
საუკეთესო ამერიკული
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა




ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
24-47-44, 24-47-44 (1219)
სერვის პარტნიორი
თეგეტა მოტორსი

## განცხადება ტენდერის შედეგების შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაციები:

1. 2009 წლის 31 აგვისტოს ქ. თერჯოლაში სახანძრო დაცვის შენობის მშენებლობის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში- ს.ს. „იბერია-21".
2. 2009 წლის 16 სექტემბერს ახალთერჯოლის საჯარო სკოლის შენობის შეკეთებითი სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში- შ.პ.ს. „მარჯი 2008".

## ც ვ ლ ი ლ ე ბ ა
## განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) მიერ 2009 წლის 13 ოქტომბერს გამოცხადებულ სერგი მესხისა და სახოკიას ქუჩების რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-2 პუნქტში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 1 აპრილამდე პერიოდი.

**სატენდერო კომისია**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

აუქციონზე საპრივატიზებოდ გამოტანილია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

| № | ქონების დასახელება | ადგილმდებარეობა | საწყისი გასაყიდი ფასი /ლარი/ | „ბე" /ლარი/ | „ბიჯი" /ლარი/ | ბილეთის ფასი /ლარი/ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წითელგორის დამშრობ-გაწყ. დაუმთავრებელი მშენებლობის მიწისქვეშ არსებული 2 კმ-ის სიგრძის 400 (მმ) აზბესტის მილები | ჭიაურის ტერ.ორგ. | 18000 | 1800 | 200 | 100 |
| 2 | წითელგორის დამშრობ-გაწყ. დაუმთავრებელი მშენებლობის მიწის ქვეშ არსებული 7 კმ-ის სიგრძის 300 (მმ) აზბესტის მილები | ჭიაურის ტერ.ორგ. | 49000 | 4900 | 200 | 100 |

განცხადების მიღების ადგილია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ.№23, განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10.00-17.00 სთ-მდე, ხოლო 30-ე დღეს განცხადებები მიიღება დღის 12.00 სთ-მდე. აუქციონი ჩატარდება იმავე დღეს 15.00 საათზე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

საბანკო რეკვიზიტები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდენტიფიკაციო კოდი 233144987; მიზნობრივი ანგარიში 33030003, სახალხო ბანკის ლაგოდეხის ფილიალი – ბანკის კოდი 220101442.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს ან ამ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 % - ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმში მითითებულ საბანკო ანგარიშზე მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა, თუ მყიდველი დათქმულ ვადაში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულ პირს „ბე" ეთვლება ანგარიშსწორებისას.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტები:**

ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციის მონაწილეზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების დასახელებას, იმ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების საწყისს ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

საააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს;

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის საწყის გასაყიდ ფასზე „ბიჯის" დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა;

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

## განცხადება
## რკინა -ბეტონის საძირკვლების შესყიდვის შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” ატარებს ფასთა გამოკითხვას 403 (ოთხასსამი) ცალი 220, 110კვ. დენის და ძაბვის ტრანსფორმატორების, 220კვ. ამომრთველების და 110კ. გამთიშველების ფუნდამენტების (რკინა- ბეტონის საძირკვლები) შესყიდვაზე (ორი ლოტი).

იმ შემთხვევაში თუ თქვენი კომპანია მზადაა სსე-თან თანამშრომლობისათვის გთხოვთ, მობრძანდეთ სსე-ს სათაო ოფისში ქ. თბილისი ბარათაშვილის ქუჩა N2, სადაც გადმოგეცემათ ტექნიკური პირობები (თანდართული ნახაზებით) და ფასების ცხრილი. კომერციული წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 45 დღე წინადადების წარმოდგენის დღიდან.

ფასთა გამოკითხვაში წარმოდგენილი უნდა იყოს კომერციული წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია კომერციული წინადადების ღირებულების 1% ოდენობის, მისი მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს კომერციული წინადადების მოქმედების ვადას.

კომერციული წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს 2009 წლის 26 ოქტომბერს 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა N2, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” სათაო ოფისი, შესყიდვების სამსახური, მე-4 სართული, ოთახი N419. თქვენი კომერციული წინადადება უნდა იყოს ხელმოწერილი (უფლებამოსილი პირის მიერ), ბეჭდით დამოწმებული და სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი თქვენი რეკვიზიტები (მისამართი და საბანკო რეკვიზიტები).

საქონლის მოწოდების სასურველი ვადაა „შემსყიდველის” წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე „შემსყიდველის” მიერ მითითებულ მისამართებზე.

საქონლის ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა გადასახადის გათვალისწინებით. ასევე ღირებულება უნდა ითვალისწინებდეს ტრანსპორტირების, ჩამოცლა - დასაწყობების (განთავსების) ხარჯებს „შემსყიდველის” მიერ მითითებულ მისამართდებზე . პრეტენდენტის მიერ მითითებული უნდა იყოს საქონლის მოწოდების ვადა და საგარანტიო მომსახურების ვადა ( არანაკლებ 3 წელი).

ანგარიშსწორება განხორციელდება წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრულ საქონლის სრულ მოცულობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში. შესაძლებელია ავანსის გადახდა (არაუმეტეს 70%-სა) შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის (საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს კომერციული ბანკიდან) წარმოდგენის შემთხვევაში.

ხელშეკრულებაში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობის, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, მისი მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

ხელშეკრულების დადება სავალდებულოა.

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

კომერციული წინადადება და ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე დახურულ კონვერტში შემდეგი აღნიშვნით: შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას”, ფასთა გამოკითხვა 220, 110კვ. დენის და ძაბვის ტრანსფორმატორების, 220კვ. ამომრთველების და 110კ. გამთიშველების ფუნდამენტების (რკინაბეტონის საძირკვლები) შესყიდვაზე.

საკონტაქტო პირი: შესყიდვების სამსახურის შესყიდვების აგენტი მანანა ამაღლობელი. ტელ/ფაქსი 989816, მობ. 877755430.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო და გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო-საკუთარი შემოსავლები

1. ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო და გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე 2 ლოტად.

შესყიდვის ობიექტი

ლოტი №1
ქ. თბილისში, დიდგორის ქ. №40-ში მდებარე, ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შენობის სამშენებლო–სარემონტო სამუშაოები.

ლოტი №2
ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №84-ში მდებარე სს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შენობაში გათბობის სისტემის მოწყობისა და არსებულ საქვაბესთან მიერთების სამუშაოები.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
3. სამუშაოების დასრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, ლოტი №1 მიხედვით, არაუგვიანეს 30 კალენდარულ დღეში. ლოტი №2-ის მიხედვით, არაუგვიანეს 7 კალენდარულ დღეში.
4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) 2009 წლის 10 ნოემბრის 09:00 საათიდან 15:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
5. საკვალიფიკაციო მოინაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირებისათვის:
ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

5.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
6. მე-5 პუნქტში აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.
7. პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განსახორციელებელი სამუშაოების ღირებულების 15%-ს და პრეტენდენტი ვალდებული იქნება წარმოადგინოს მოთხოვნილი თანხის ოდენობის საბანკო გარანტია.

8. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტი |
|---|---|---|
| 1 | სატენდერო წინადადების ღირებულება | 1,00 |
| სულ | | 1,00 |

9. სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნტში მოთხოვნილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-8 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
10. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.
11. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.
12. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.
13. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-17 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 20 ოქტომბრის 10:00 საათიდან 9 ნოემბრის 18:00 საათამდე, სამუშაო დღეებში, შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84 მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.
14. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.
15. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 10 ნოემბერს 15:00 საათზე.
16. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
17. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი—200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღების დასახელება: ს.ს.ი.პ.-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.
მიმღების ბანკი:—ს.ს. „ბაზისბანკი”, ბანკის კოდი 220101956, ანგ№234294.
გადახდის დანიშნულება—სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, გათბობის სისტემის მოწყობისა და არსებულ საქვაბესთან მიერთების სამუშაოები, ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

18. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატენდერო კომისიის აპარატში. მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84 მე-4 სართული.
საკონტაქტო პირი: ზურაბ წითლაური 893 32 25 82.
19. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან. ამასთან ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს**

**დაფინანსების წყარო-სახელმწიფო ბიუჯეტი**

**შესყიდვის ობიექტი-კომპიუტერული ტექნიკა**

1. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (მის. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42) ''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე.

**შესყიდვის ობიექტი:**

| # | მისაწოდებელი საქონლის დასახელება | რაოდენობა | განზომილების ერთეული |
|---|---|---|---|
| 1 | სერვერი - 1XQuad Core Intel Xeon X3330 4x2.66GHz CPU with EM64T / 1333MHz/ 6MB ECC L2 cache, 1GB PC2-5300 ECC DDR2 SDRAM (up to 8GB), SA-SCSI/SATA Controller using RAID 0,1, O/Bay HS SA-SCSI/SATA (up to 2TB) 3.5" HDD, 2xEthernet 1000Mb, DVD-CD/RW Combo, 3XUSB Ports, 350W p/s, 1U Rack. | 5 | ცალი |
| | სერვერის მახსოვრობა - 1GB (2x512MB) PC2-5300 ECC DDR2 SDRAM DIMM | 5 | ცალი |
| | სერვერის მყარი დისკი - 250GB S-ATA-II Hot-swap 3Gb/s HDD | 10 | ცალი |
| 2 | უწყვეტი კვების ბლოკის აკუმულატორი - UPS 3U Run Online Battery Pack | 3 | ცალი |
| 3 | კონსოლ სვიჩის კაბელი - Console Switch Cable 3M USB with mem. Chip | 5 | ცალი |
| 4 | პორტატიული კომპიუტერი - Celeron Based (2.0GHz), RAM 2 Gb,HDD 160Gb,1 5.4"( 12 80x800)H B, WLAN(b/g) | 1 | ცალი |
| 5 | უწყვეტი კვების ბლოკი - Smart-UPS, 2200VA/1980W, Input 230V/Output 230V, Interface Port DB-9 RS-232, USB, SmartSlot | 2 | ცალი |

ცხრილში მითითებულია შესასყიდი კომპიუტერული ტექნიკის მინიმალური პარამეტრები და იმ სისტემის ექვივალენტი, რომელიც უნდა იქნეს შესყიდული.

2. კომპიუტერული ტექნიკის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 20 ოქტომბრიდან იმავე წლის 12 ნოემბრის 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.№42, მეორე სართული, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შესყიდვების სამმართველო. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

**გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი, კომპიუტერული ტექნიკა, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აპარატი**
**მიმღები-ხაზინის ერთიანი ანგარიში**
**ანგ. №200122900,სახელმწიფო ხაზინა,**
**კოდი №220101222, სახაზინო კოდი №302005400**

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დახურულ კონვერტში) უნდა წარადგინონ 2009 წლის 12 ნოემბერს 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.№42, მეორე სართული, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შესყიდვების სამმართველო.
6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1. იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**6.2. ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შესახებ;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
8. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დახურულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით, ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო განცხადების მიღების თარიღამდე.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).
10. ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.
11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

პ

ნანა როსტობაია, მაგდანა ხარებავა ტელ: (995-32)31-27-39, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ალ.ყაზბეგის №42, მეორე სართული, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შესყიდვების სამმართველო.

**სატენდერო კომისია**

2009 წლის 26 ოქტომბერს სს "საქართველოს საზღვაო ბანკი", ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით განმეორებით მეოთხედ საწყისი ფასის 60% -ის ფარგლებში აცხადებს საჯარო აუქციონს. გასაყიდად გამოტანილი იქნება ბანკის საკუთრებაში არსებული ოქრო, კერძოდ:

1. 583 სინჯის (ჯართი) 11977.2 გრამი * 13.2 $ = 158 099.04 აშშ დოლარი.
2. ბრილიანტებში და ნაკეთობებში გადატანილები 30 857.4 აშშ დოლარის ღირებულების.

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 26 ოქტომბერს 12 საათზე. სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" შენობაში, მისამართი ქ. ბათუმი 26 მაისის ქ. N33.

აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადება და დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს 2009 წლის 26 ოქტომბრის 1100 სთ-სა და 30 წუთამდე, სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" შენობაში, მისამართი ქ. ბათუმი 26 მაისის ქ. N33.

ყველა სხვა პირს რომელთაც აქვთ უფლებები აუქციონზე გასაყიდად გატანილ ოქროს ნივთებზე ვალდებულნი არიან ამ უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: 7-60-03.

**სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" სააუქციონო კომისია**

2009 წლის 14 ოქტომბრის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულია განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საფინანსო-სარევიზიო სამმართველოს მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

გთხოვთ, განცხადებაში, კონკურსის ფორმის თაობაზე ინფორმაციას - კონკურსი ტარდება გასაუბრების ფორმით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა." დაემატოს ტესტირების ფორმა და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: კონკურსი ტარდება გასაუბრების და ტესტირების ფორმით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა.

წინასწარ გიხდით მადლობას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

ა) სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების: მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული), მეცნიერ თანამშრომელი (4 საშტატო ერთეული)

ბ) ფიხიკურ-ქიმიური პროცესების კვლევის ლაბორატორიის: მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (4 საშტატო ერთეული), მეცნიერ თანამშრომელი (10 საშტატო ერთეული)

გ) ორგანული სინთეზის ლაბორატორიის: უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული), მეცნიერ თანამშრომელი (4 საშტატო ერთეული)

დ) მაღალმოლეკულურ ნაერთთა ლაბორატორიის: მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული), მეცნიერ თანამშრომელი (5 საშტატო ერთეული)

ე) ნავთობის ქიმიის ლაბორატორიის: მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული), მეცნიერ თანამშრომელი (8 საშტატო ერთეული)

ვ) ქიმიური ეკოლოგიის პრობლემათა ლაბორატორიის: მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (6 საშტატო ერთეული), მეცნიერ თანამშრომელი (12 საშტატო ერთეული)

ზ) აგრარული ქიმიის პრობლემათა ლაბორატორიის: უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (3 საშტატო ერთეული), მეცნიერ თანამშრომელი (8 საშტატო ერთეული).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

a) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
b) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაძლებელია სამეცნიერო მოღვაწეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაციის (რეკომენდაციები, სამეცნიერო სიმპოზიუმების მასალები, საგრანტო თემატიკის შესრულების ამსახველი მასალები, პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები, გამოყენების აქტები და სხვ.) წარდგენა.

საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

საბუთების მიღება იწარმოებს პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში, მისამართი: 0186 თბილისი, ჯიქიას ქ. N5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 30 ოქტომბერი. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 12 ნოემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
0186 თბილისი, ჯიქიას ქ. N5, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, www.ipoc.org.ge, e-mail: physorgchem@pochta.ru, ტელ: 54-15-72/899157057.
პასუხისმგებელი პირი: ქ.მ.კ. ქეთევან ებრალიძე.

---

ცესკო

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე**

საოლქო საარჩევნო კომისია:

| N | საოლქო საარჩევნო კომისიის N და დასახელება | საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ვაკანსია | თანამდებობრივი განაკვეთი |
|---|---|---|---|
| 1 | №15 ლაგოდეხი | 1 | 400 |

საბუთები მიიღება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2009 წლის 20 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით. ქ.თბილისი, ალექსიძის №1.

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. კანდიდატის 2 ფოტოსურათი;
2. განცხადება (ივსება ადგილზე);
3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
4. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
5. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქსეროასლი;
6. შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს).
7. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 36 52 86

---

## ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში მდებარე კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობებისათვის ოთხი ახალი ლიფტის, თანმდევი მომსახურეობით (დემონტაჟი-მონტაჟი, გაშვება, გაწყობა) შესყიდვის ტენდერში (2009 წლის 04 სეტემბრის N192 გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნებული განცხადება) გამარჯვებულ - შპს "პალადა"-სთან გაფორმდა ხელშეკრულება, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში მდებარე კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობებისათვის საჭირო მაღალი ხარისხის საოფისე ავეჯის შესყიდვის ტენდერში (2009 წლის 21 აგვისტოს N184 გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნებული განცხადება) პირველ ლოტზე გამარჯვებულ შპს „მოდერნ-ვილა"-სთან გაფორმდა ხელშეკრულება, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მეორე ლოტზე შპს "ოფის 1"-თან გაფორმდა ხელშეკრულება, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

**საქართველოს კონტროლის პალატის**
**სატენდერო კომისიის აპარატი.**

---

 სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი" "სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ" საქართველოს კანონის 20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად აქვეყნებს დასახელებული ტესტირების ლაბორატორიების სიას, რომელსაც ენიჭება ლაბორატორიული ანალიზის განხორციელების უფლება სურსათის სახელმწიფო კონტროლისათვის.

**1. შპს "ექსპერტიზა+" კვების პროდუქტების ტესტირების ლაბორატორია**
ხელ: მ. ხარაძე; მის: შ. იამანიძის ქ. N3

**2. სსიპ "საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი"-ს ტესტირების ლაბორატორია**
ხელ: ლ. შუბლაძე მის: ქ. თბილისი, გელოვანის გამზ. N6

**3. შპს "ციტო 2"-ს მიკრობიოლოგიის ტესტირების ლაბორატორია**
ხელ: ნ. შავდია, მის: ქ. თბილისი, არაყიშვილის ქ. N2

**4. შპს "მომავალი საუკუნე"-ს კვების პროდუქტების ტესტირების ლაბორატორია**
ხელ: ო. მანჯგალაძე; მის: ქ. თბილისი, არბოს ქ. კორპუსი "ა"

**5. შპს "მიკრობიოლოგი"-ს კვების პროდუქტების ტესტირების ლაბორატორია**
ხელ: ქ. ებანოიძე; მის: ქ. ქუთაისი, განჯის ქ. N15

**6. შპს "ღვინის ლაბორატორია" ალკოჰოლური სასმელების ტესტირების ლაბორატორია**
ხელ: ი. ჭანტურია. მის: ქ. თბილისი, დ/დიღმიდან გლდანში მიმავალი მაგისტრალი 4/60

**7. შპს "მულტიტესტი"-ს კვების პროდუქტების ტესტირების ლაბორატორია**
ხელ: ნ. მგელაძე მის: ქ. თბილისი, სოფელ დიღომი, დიდგორის N13

**8. შპს "ეტალონი"-ს კვების პროდუქტების ტესტირების ლაბორატორია**
ხელ: თ. ფილიშვილი მის: ქ. თბილისი, ჩარგლის ქN73

**9. შპს "სპექტრი"-ს კვების პროდუქტების ტესტირების ლაბორატორია**
ხელ: ი. ზოსიძე მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. N53

**10. სს "სანიტარიისა და ჰიგიენის ს/კ ინსტიტუტის" კვების პროდუქტების ტესტირების ლაბორატორია**
ხელ: ა. ფირცხალავა. მის: ქ.თბილისი, დ.უზნაძის N78

**11. სსიპ "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს" კვების პროდუქტების ტესტირების ლაბორატორია**
ხელ. ი. მოდებაძე მის: ქ. ბათუმი, ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. სამება.

**12. S**xელ: ვ. გვახარია მის. ქ.თბილისი მ.ალექსიძის ქ.N9

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი პაატა გოგოლიძე

# მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველო

**რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი**

კრედიტის ნომერი: N4516 GE

**დაბა ქსანის კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია**

RMIDP/KSANI/CW/NCB/15-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: დაბა ქსანის კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციისათვის (კონტრაქტის # RMIDP/KSANI/CW/NCB/15-2009 ).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს დაბა ქსანის კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

სარეაბილიტაციო ობიექტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაბა ქსანის ტერიტორიაზე, თბილისიდან დასავლეთით 30 კმ მანძილზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებებლია როგორც სარკინიგზო, ასევე საავტომობილო გზით.

**სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:**

სამუშაოები მოიცავს ქსნის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის I ეტაპს, კერძოდ:

- არსებული საკნალიზაციო კოლექტორის გაწმენდას (L=900მ) და 4 ცალი რკ/ბ ჭის შეკეთებას;

- ახალი კოლექტორების მშენებლობას საერთო სიგრძით (D=200-400 მმ) - 6070მ;
- კანალიზაციის ანაკრები რკ/ბ ჭების მოწყობას - 188 ცალი;
- სახლების მიერთებების მოწყობას (D=160 მმ) - 2300 მ;
- კოლექტორის რკინიგზის ხაზთან 3 გადაკვეთის მოწყობას ფოლადის გარსაცმის მილით (D=1020/10 მმ), საერთო სიგრძით 115 მ;
- კანალიზაციის გამწმენდი სადგურის მოწყობას წარმადობით 125 მ3/დღ (რკ/ბ მიწისქვეშა ნაგებობა ზომებით 8.6X115 მ, h=3.6 მ; საწარმოო შენობა ზომებით 5.8X3.8 მ, h=3.6 მ);
- გამწმენდი სადგურის კომუნიკაციების მოწყობას (მილსადენები 690 მ, ჭები - 24 ცალი);
- გამწმენდი სადგურის სანიტარული დაცვის ღობის მოწყობას (h=1.5 მ) - 405 მ;
- წყლის გაუსნებოვანების შენობის (9X4.8 მ, h=3.6 მ) და სადარაჯო ჯიხურის (4X3 მ, h=3) მშენებლობას;
- აქტიური ლამის მოედნის მოწყობას (12.8X6.4 მ);
- სატრანსფორმატორო ქვესადგურის მოწყობას სიმძლავრით 160კვა.

სამუშაოების ხანგრძლივობაა 12 თვე.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული “რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში” აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**

**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**

**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**

**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**

**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 3,9 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 0,8 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 18 ნოემბრისა 12:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 78 000 (სამოცდათვრამეტი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 18 ნოემბერს 12:00 საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე, აღმასრულებელი დირექტორი**
მისამართი: ოთახი 405, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150,
თბილისი 0112, საქართველო,
ტელ: +995-32-48-45-09/10/11/15
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

# შპს “სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი” აცხადებს ა უ ქ ც ი ო ნ ს

**ქ.Dთბილისში, პეკინის ქ. (ყოფილი გამსახურდიას გამზ.) N28-ში მდებარე შენობის I სართულზე ყოფილი საყარაულო ოთახის მიმდებარედ 5 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობის რეალიზების მიზნით**

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
**მესაკუთრე:** შ.პ.ს. “სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი”.
**მისამართი:** ქ.Dთბილისში, პეკინის ქ. (ყოფილი გამსახურდიას გამზ.) N28.
**ობიექტის ფართობი:** 5 კვ.მ. წილობრივ მიწის ფართობთან ერთად.
**საწყისი გასაყიდი ფასი:** 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
**ობიექტის დახასიათება:** ფართი მდებარეობს შენობის I სართულზე, ყოფილი საყარაულო ოთახის მიმდებარედ.

**თანხის გადახდის ვადები:**
“მყიდველი” ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეზე და სარეალიზაციო ქონების დასახელებას;

b) “ბეს” გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შპს “სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისის” საანგარიშსწორებო ანგარიშზე (ს/ს “ბაზისბანკი”, ბანკის კოდი N220101956, მიმღები: შპს “სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი”, ანგარიშის N9836596);

g) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ქსეროასლები) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

d) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

e) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (წესდება, სასამართლოს დადგენილება დაფუძნების შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (წესდების შესაბამისად) აუქციონში მონაწილეობის შესახებ).

**ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:**
აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 5 ნოემბერს, 17 საათზე და 30 წუთზე მისამართი: ქ. თბილისში, პეკინის ქ. (ყოფილი გამსახურდიას გამზ.) N28, VI სართული.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 20 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით 12 სთ-დან 17 სთ-მდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი “ბეს” სიდიდე შეადგენს 500 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, ხოლო ბიჯის ოდენობა შეადგენს 500 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში.

**დამატებითი ინფორმაცია:**

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში (ჟურნალში) განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 50 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნეს გადახდილი შ.პ.ს. “სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისის” ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

აუქციონში გამარჯვებულის (მყიდველის) მიერ გადახდილი “ბეს” თანხა ჩაითვლება ქონების საბოლოო გასაყიდი ფასის გადახდისას. სხვა მონაწილეებს, აუქციონზე ვერგამარჯვების შემთხვევაში გადახდილი “ბეს” თანხა უბრუნდებათ უკან.

მონაწილეს უფლება აქვს “ბეს” დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში. სხვა შემთხვევაში (მათ შორის: აუქციონზე გამოუცხადებლობისას) მის მიერ გადახდილი “ბეს” თანხა უკან არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასის) გადახდა.

**შ.პ.ს. “სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი”**
საკონტაქტო ტელეფონი: 37-75-40

"დამტკიცებულია"
შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისის"

"      "                    2009წ N               ბრძანებით

## შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი" აცხადებს ა უ ქ ც ი ო ნ ს

**ქ.Dთბილისში, პეკინის ქ. (ყოფილი გამსახურდიას გამზ.) N28-ში მდებარე შენობის სხვენის ფართით 552 კვ.მ. (სასარგებლო ფართი - 418 კვ.მ.) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობის რეალიზების მიზნით**

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
**მესაკუთრე:** შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი".
**მისამართი:** ქ.Dთბილისში, პეკინის ქ. (ყოფილი გამსახურდიას გამზ.) N28.
**ობიექტის ფართობი:** 552 კვ.მ. (სასარგებლო ფართი - 418 კვ.მ.) წილობრივ მიწის ფართობთან ერთად.
**საწყისი გასაყიდი ფასი:** 78 000 (სამოცდათვრამეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
**თანხის გადახდის ვადები:**
"მყიდველი" ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**
ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეზე და სარეალიზაციო ქონების დასახელებას;
b) "ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისის" საანგარიშსწორებო ანგარიშზე (ს/ს "ბაზისბანკი", ბანკის კოდი N220101956, მიმღები: შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი", ანგარიშის N9836596);
g) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ქსეროასლები) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
d) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
e) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (წესდება, სასამართლოს დადგენილება დაფუძნების შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (წესდების შესაბამისად) აუქციონში მონაწილეობის შესახებ).

**ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:**
აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 5 ნოემბერს, 17 საათზე და 30 წუთზე მისამართი: ქ. თბილისში, პეკინის ქ. (ყოფილი გამსახურდიას გამზ.) N28, VI სართული.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 20 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით 12 სთ-დან 17 სთ-მდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი "ბეს" სიდიდე შეადგენს 10000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, ხოლო ბიჯის ოდენობა შეადგენს 5000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში.

**დამატებითი ინფორმაცია:**

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში (ჟურნალში) განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 50 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნეს გადახდილი შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისის" ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

აუქციონში გამარჯვებულის (მყიდველის) მიერ გადახდილი "ბეს" თანხა ჩაითვლება ქონების საბოლოო გასაყიდი ფასის გადახდისას. სხვა მონაწილეებს, აუქციონზე ვერგამარჯვების შემთხვევაში გადახდილი "ბეს" თანხა უბრუნდებათ უკან.

მონაწილეს უფლება აქვს "ბეს" დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში. სხვა შემთხვევაში (მათ შორის: აუქციონზე გამოუცხადებლობისას) მის მიერ გადახდილი "ბეს" თანხა უკან არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასის) გადახდა.

**შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი"**
საკონტაქტო ტელეფონი: 37-75-40

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობა ატარებს აუქციონს მის საკუთრებაში არსებული ქ. წალკაში, შაუმიანის ქუჩის მიმდებარედ 1657.3 კვ/მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს პრივატიზების მიზნით.

მიწის ნაკვეთების საწყისი გასაყიდი ფასია 1830.00 ლარი, "ბე" - 183.00 ლარი და "ბიჯი" - 91.50 ლარი.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
აუქციონი გაიმართება პრესაში გამოქვეყნებიდან 30-ე კალენდარულ დღეს 16 საათზე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, აუქციონი გაიმართება პირველსავე სამუშაო დღეს.
განცხადების მიღება წარმოებს გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10-დან 17 საათამდე (დასვენების დღეების გარდა) ქ. წალკაში არისტოტელს N22-ში წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა აუქციონის ჩატარების დღის 15 საათი.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში).
ბ) წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე საქართველოს ბანკი კოდი 220101502, ს/კ243125934, ა/ა248126400 მონაწილის ბილეთის ფასის 200 ლარი და "ბე"-ეს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები.
გ) პასპორტის ან პირადობის მოწმობის დამადასტურებელი მოწმობის
ასლი;
დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონის მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

საუქციონო კომისიის ზონაგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტაცის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე ბიჯის დანამატით მიღებული თანხა) გადახდა.
დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობას მისამართი .. ქ წალკა არისტოტელეს ქN22. ტელ:899 42-77-82

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის
კლინიკა
"ოფთალმიჯი"
ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი
მოძრავი საოპერაციო ბლოკით
ს ი ა ხ ლ ე !
მნიშვნელოვანი ფასდაკლება
კატარაქტის ოპერაციაზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

იყიდება!
მოქმედი მრავალფრაქციული "დრაბილკა",
ლიცენზირებული კარიერით
80 000 კბ. მ-ზე
ტექნიკასთან ერთად:
- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "T0-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"
ფასი შეთანხმებით
საკონტაქტო ტელეფონი:
897 56 20 60

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა 2010 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, აცხადებს საერთაშორისო ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 3826 უმწეო მოქალაქეებისათვის ყოველდღიური ერთჯერადი კვებით, უფასო სასადილოებით მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვაზე ცხრა ლოტად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**ლოტი N1 - ავჭალის დასახლების მ/ტერიტორია - 525 ბენეფიციარი**

**ლოტი N2 - გლდანი I (გლდანის I-II-III-IV მ/რ მ/ტერიტორია) - 430 ბენეფიციარი**

**ლოტი N3 - გლდანი II (გლდანის V-VI-VII-VIII მ/რ მ/ტერიტორია) - 430 ბენეფიციარი**

**ლოტი N4 - მუხიანის დასახლების მ/ტერიტორია - 365 ბენეფიციარი**

**ლოტი N5 - ზღვისუბანი I (თემქის დასახლება) - 430 ბენეფიციარი**

**ლოტი N6 - ზღვისუბანი II (თემქის დასახლება) - 344 ბენეფიციარი**

**ლოტი N7 - ნაძალადევი I (მ/სადგურ "ნაძალადევი"-სა და გადასასვლელ ხიდს შორის ტერიტორია) - 516 ბენეფიციარი**

**ლოტი N8 - ნაძალადევი II (მ/სადგურებს "ღრმაღელე"-ს და "ნაძალადევს" შორის ტერიტორია)**
**- 390 ბენეფიციარი**

**ლოტი N9 - ნაძალადევი III (მ/სადგურ "გურამიშვილი"-ს მ/ტერიტორია)- 396 ბენეფიციარი**

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა **2010 წლის 01 იანვრიდან - 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება 1 დედანი და 2 ასლი (დალუქულ კონვერტში) ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 10 ნოემბრის 11:00 საათიდან - 2009 წლის 10 მოემბრის 16:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, VI სართული, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:**

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);
- ცნობას იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს;
- საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს.
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);
- ცნობას ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

**4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:**

4.3.1 ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ.

4.3.2 ინფორმაციას მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

4.3.3 ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მომწოდებლების რეესტრში.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 /ორასი/ ლარის გადახდის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე გაიცემა **2009 წლის 20 ოქტომბრის 11:00 საათიდან - 2009 წლის 09 ნოემბრის 17:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. N1, VI სართული, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება.

7. თანხა გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - სახელმწიფო ხაზინა; სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300773174;

**დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი უფასო სასადილოებით მომსახურეობის შესყიდვაზე. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.**

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული ცალკეული ლოტების მიხედვით.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი 1%-ის ოდენობით საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის სახით;

10. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის სახით.

11. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შესმსყიდველ ორგანიზაციაში. ასევე, დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო კიკვაძე - საკონტაქტო ტელეფონი: 65-25-13, მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა VI სართული, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება.

12. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა 4.3.2 პუნქტის მოთხოვნისა.

* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

**სატენდერო კომისია**

# თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 16 ნოემბერს ატარებს აუქციონს

აუქციონზე გამოტანილი იქნება ქ.რუსთავის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კომერციული საქმიანობისათვის

| № | მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა | ფართობი | ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი | ფასი | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.რუსთავი, XXI მკრ.ბინა მ/ტ | 2500 | 02 | 01 | 05 | 336 | 24150 | 9660 | 2000 |

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებული საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
ს.ს. "საქართველოს ბანკი" რუსთავის ფილიალი
ბ.კ. 220101502
საიდენტიფიკაციო კოდი 216433287
ა.ნ №266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).
გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებული საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
220101222 სახელმწიფო ხაზინა, 200122900 ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (რუსთავი) სახაზინო კოდი 300063282
(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში):
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით:
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20

ტელ: (824) 12 12 66

## საქმე N2/3521-09
## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
## საქართველოს სახელით
## საჯარო შეტყობინების შესახებ
## 25 სექტემბერი, 2009 წელი თბილისი
## თბილისის საქალაქო სასამართლოს
## სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
## მოსამართლე სოსო ღურწკაია
## მოსარჩელე - სს "თიბისი ბანკი"

მოპასუხეები: 1. რევაზ ბაბუნაშვილი

2. სოფიო ბაბუნაშვილი

დავის საგანი - დავალიანების გადახდევინება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

2009 წლის 11 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა სს "თიბისი ბანკი"-ს წარმომადგენელმა მოპასუხეების: რევაზ ბაბუნაშვილის და სოფიო ბაბუნაშვილის მიმართ დავალიანების გადახდევინების და იპოთეკის საგნის რეალიზაციის თაობაზე.

წარმოდგენილი სარჩელით სს "თიბისი ბანკი" ითხოვს:

1. სოლიდარულად დაეკისროთ სოფიო ბაბუნაშვილს და რევაზ ბაბუნაშვილს დავალიანების 50347.56 (ორმოცდაათი ათას სამას ორმოცდაშვიდი და ორმოცდათექვსმეტი) აშშ დოლარის გადახდა.
2. სოლიდარულად დაეკისროთ სოფიო ბაბუნაშვილს და რევაზ ბაბუნაშვილს დავალიანების ძირ თანხაზე 38,367.37 (ოცდათვრამეტი ათას სამას სამოცდაშვიდი და ოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარზე დავალიანების სრულ დაფარვამდე, წლიური სარგებლის 17 %-ის დარიცხვა, რაც ყოველთვიურად შეადგენს 543.54 აშშ დოლარს.
3. სოლიდარულად დაეკისროთ სოფიო ბაბუნაშვილს და რევაზ ბაბუნაშვილს დავალიანების ძირ თანხაზე 38,367.37 (ოცდათვრამეტი ათას სამას სამოცდაშვიდი და ოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარზე დავალიანების სრულ დაფარვამდე, პირგასამტეხლოს 0.5 %-ის დარიცხვა, რაც ყოველდღიურად შეადგენს 191.84 აშშ დოლარს.
4. დავალიანების დაფარვის მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცეს სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული სოფიო ბაბუნაშვილის კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე მისამართზე სარეგისტრაციო ზონა დუშეთი, კოდი-71, სექტორი - ბაზალეთი, კოდი-27 კვარტალი - 08, ნაკვეთი N191, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საერთო საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, დაუზუსტებელი ფართობი - 7000, ნაკვეთის წინა ნომერი -N71/27/08/191
5. იმ შემთხვევაში თუ აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი ქონების რეალიზაციის შედეგად არ მოხდება მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, იძულებით აღსასრულებლად მიექცეს მოპასუხეების მთელი კუთვნილი ქონება.

სარჩელი დამყარებულია შემდეგ გარემოებებზე: 2007 წლის 31 ოქტომბერს სს "თიბისი ბანკსა" და სოფიო ბაბუნაშვილს შორის გაფორმდა N800106 ხელშეკრულება საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ, რომლის საფუძველზეც მსესხებელს კრედიტის სახით ასათვისებლად გამოეყო ფინანსური რესურსები. გასაცემი კრედიტის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 500000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 10/31/2007 - 10/31/2057-მდე, სარგებლის მაქსიმალური ოდენობა - 48%, პირგასამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა 05%.

N800106 ხელშეკრულება საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ფარგლებში, 2007 წლის 5 ნოემბერს, სს "თიბისი ბანკსა", რევაზ ბაბუნაშვილსა და სოფიო ბაბუნაშვილს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება N801006-762213 რომლის საფუძველზეც ბანკმა გასცა მსესხებელზე კრედიტი 39200 (ოცდაცხრამეტი ათას ორასი) აშშ დოლარი, 2017 წლის 10 ნოემბრამდე ვადით, წლიური განაკვეთი - 17% სარგებლით, პირგასამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა 05%.

საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების N800106 ხელშეკრულებისა და მის ფარგლებში გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

2007 წლის 31 ოქტომბერს სს "თიბისი ბანკსა" თეონა ხორნაულსა და სოფიო ბაბუნაშვილს შორის გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის და იპოთეკის ერთიანი ხელშეკრულება N878128-1, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ქონება, რომლის მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონა დუშეთი, კოდი-71, სექტორი - ბაზალეთი -27 კვარტალი - 08, ნაკვეთი N191, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საერთო საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, დაუზუსტებელი ფართობი - 7000კვ.მ,

მოპასუხეებს 2009 წლის 23 აპრილს გაეგზავნათ გაფრთხილების წერილები შეესრულებინათ ნაკისრი ვალდებულებები, რისთვისაც დაენიშნათ 14 დღის ვადა, მიუხედავად ამისა, ვალდებულება დღემდე შეუსრულებელია.

დღევანდელი მდგომარეობით მოპასუხის სრული დავალიანება N801006-762213 ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეადგენს 50347.56 (ორმოცდაათი ათას სამას ორმოცდაშვიდი და ორმოცდათექვსმეტი) აშშ დოლარს, საიდანაც დავალიანების ძირითადი თანხაა 38,367.37 (ოცდათვრამეტი ათას სამას სამოცდაშვიდი და ოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარი, სესხის სარგებელი 5932.73 (ხუთი ათას ცხრაას ოცდათორმეტი და სამოცდაცამეტი) აშშ დოლარი და ჯარიმა ვადაგადაცილებაზე 5796.19 (ხუთი ათას შვიდას ოთხმოცდათექვსმეტი და ცხრამეტი) აშშ დოლარი, დაზღვევის პრემია 251.27 (ორას ორმოცდათერთმეტი და ოცდაშვიდი) აშშ დოლარი.

მოპასუხეების ვალდებულების არსებობა სს "თიბისი ბანკის" წინაშე დასტურდება ცნობით დავალიანების შესახებ, სადაც დაფიქსირებულია დავალიანების ოდენობა.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული დავალიანების შესახებ ცნობა, გამომდინარეობს საბანკო პროგრამიდან, სადაც მოცემულია მიმდინარე, შეწყვეტილი, ბალანსიდან მოხსნილი და ჩამოწერილი სესხები და ვადაგადაცილების შემთხვევაში ზუსტად აღირიცხება ვადაგადაცილებულ სესხზე სარგებლისა და პირგასამტეხლოს დარიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც მსესხებლის მიერ შემოტანილი თანხით იფარება ჯერ ჯარიმა ვადაგადაცილებულ თანხაზე ასეთის არსებობის შემთხვევაში, შემდგომ პროცენტი და ბოლოს ძირითადი თანხა.

საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის მომზადების მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი და თანდართული საბუთები მოპასუხეებს: რევაზ ბაბუნაშვილს და სოფიო ბაბუნაშვილს გაეგზავნათ მოსარჩელისათვის ცნობილ ძირითად და საქმეში არსებულ სხვა მისამართზე, საიდანაც გზავნილები დაბრუნდა შემდეგი საფოსტო შეტყობინებებით: ძირითად მისამართზე (თბილისი, არაყიშვილის 1-ლი ჩიხი, N9) არის 3 სართულიანი სახლი. I სართულზე ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, II სართულზე-ინგლისური ენის შესწავლის ცენტი, ხოლო III სართულზე ცხოვრობენ გოგინავები. საქმეში არსებულ სხვა მისამართზე (თბილისი, ლ. ასათიანის ქ. N15) გაგზავნილი გზავნილი დაბრუნდა შემდეგი საფოსტო შეტყობინებით: ამ მისამართზე ადრესატი არ ცხოვრობს, რასაც ადასტურებენ მეზობლები.

2009 წლის 17 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა მოსარჩელემ და მოპასუხეების: რევაზ და სოფიო ბაბუნაშვილების ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო იშუამდგომლა მისივე ხარჯებით სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხეების: რევაზ ბაბუნაშვილის და სოფიო ბაბუნაშვილის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია, მათ უნდა ეცნობოთ მოცემული საქმის წარმოების შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ეცნობოს მოპასუხეებს: რევაზ ბაბუნაშვილს და სოფიო ბაბუნაშვილს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. N6) წარმოდგენილია სს "თიბისი ბანკი"-ს სარჩელი მოპასუხეების: რევაზ ბაბუნაშვილის და სოფიო ბაბუნაშვილის მიმართ დავალიანების გადახდევინების და იპოთეკის საგნის რეალიზაციის თაობაზე.

2. მოპასუხეებს: რევაზ ბაბუნაშვილს და სოფიო ბაბუნაშვილს პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენისათვის განესაზღვროთ ვადა სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღე;

3. ეცნობოთ მოპასუხეებს: რევაზ ბაბუნაშვილს და სოფიო ბაბუნაშვილს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია სარჩელი და შემდეგი თანდართული დოკუმენტები: საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება N801006; საბანკო კრედიტის ხელშეკრულება N801006-762213; უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ერთიანი ხელშეკრულება; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; გაფრთხილების წერილი სოფიო ბაბუნაშვილს; ცნობა დავალიანების შესახებ; სს. "თიბისი ბანკი"-ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; რწმუნებულება; სახელმწიფო ბაჟის ქვითარი. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა მოპასუხეებს აქვს სასამართლოში;

4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში";

5. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში"-ში საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;
6. საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების პუბლიკაცია უნდა განხორციელდეს გაზეთ "24 საათში", რის შესახებაც ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გაზეთ "24 საათის" შესაბამისი საგაზეთო ნომრის წარმოდგენით;
7. სარჩელი და თანდართული მასალები და სასამართლო უწყება მოპასუხეებისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
8. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე სოსო ღურწკაია**

**სამედიცინო დაწესებულება აცხადებს ვაკანსიას**
**დეზინფექტორის თანამდებობაზე**
**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- საშუალო სამედიცინო განათლება;
- დეზინფექტორის (დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია) გამოცდილება

საბუთები მიიღება: 2009 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით

გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი CV (ქართულ ენაზე) შემდეგ მისამართზე: info.gnmc@gmail.com

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა 2010 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიის მწვანე ზოლის მოვლისთვის საჭირო მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვაზე რვა ლოტად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**ლოტი N1 -** გლდანის კენტი მ/რ - სკვერი - 6 ერთეული - 4.3 ჰა; გაზონი - 1 ერთეული - 1 ჰა; შიდაკვარტალური მწვანე ზოლი - 11 ერთეული - 1.97 ჰა.

**ლოტი N2 -** გლდანის ლუწი მ/რ - სკვერი - 11 ერთეული - 5.2 ჰა; შიდაკვარტალური მწვანე ზოლი - 4 ერთეული - 0.54 ჰა.

**ლოტი N3 -** მუხიანი - სკვერი - 8 ერთეული - 2.8 ჰა; შიდაკვარტალური მწვანე ზოლი - 3 ერთეული - 0.51 ჰა.

**ლოტი N4 -** ავჭალა - სკვერი - 5 ერთეული - 0.75 ჰა; გაზონი - 2 ერთეული - 2.3 ჰა; ფერდობი - 2 ერთეული - 0.3 ჰა.

**ლოტი N5 -** ნაძალადევი - სკვერი - 1 ერთეული -0.08 ჰა; გაზონი - 2 ერთეული - 0.46 ჰა; **ლოტი N6 -** სან-ზონა - სკვერი - 8 ერთეული - 3.78 ჰა; გაზონი - 8 ერთეული - 1.81 ჰა; ფერდობი - ერთეული - ჰა.

**ლოტი N7 -** თემქა - სკვერი - 17 ერთეული - 14.9 ჰა; გაზონი - 3 ერთეული - 3.32 ჰა; ფერდობი - 1 ერთეული - 1.5 ჰა; შიდაკვარტალური მწვანე ზოლი - 7 ერთეული - 2.3 ჰა.

**ლოტი N8 -** ლოტკინი - სკვერი - 3 ერთეული - 1.22 ჰა; გაზონი - 3 ერთეული - 0.56 ჰა; შიდაკვარტალური მწვანე ზოლი - 1 ერთეული 0.01.

გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა (ლოტების მიხედვით) მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 25 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება 1 დედანი და 2 ასლი (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 10 ნოემბრის 11:00 საათიდან - 2009 წლის 10 ნოემბრის 17:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, VI სართული, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:**

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

4.1.1 ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

4.1.2 ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

4.1.3 ცნობას, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან).

4.1.4 ცნობას იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

4.2.1 პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს.

